ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნულ ბიბლიოთეკა

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათს და პარასკევს | №38 (1668) | 30.V – 1.VI, 1998წ. | ● ფასი 50 თეთრი

საით წავლენ დევნილები – გალისკენ თუ თბილისისკენ?..



ნოდარ ნათაძე:

რაც ვიცი

მეხუთე გვერდი

როგორ იქცა სეპარატისტთა პირსისხლიანი ლიდერი არძინბა ბაზონ ვლადისლავად



მესამე გვერდი

ხმა ხალხიდან

არსად არც ერთ ხელმძღვანელ „ამხანაგს" არ უხსენებია, რომ შიდა ქართლისა და აფხაზეთის ომი სამამულო ომიაო!..

მეშვიდე გვერდი

მეორე გვერდი

«ედუარდს შეუძლია მშვიდად იყოს. თუკი რომელიმე მანქანა აუფეთქდება და ამ «შემთხვევით შბედურებას» გადაყვება, მას პოლიტიკურ მსხვერპლად არავინ მიიჩნევს»

„ედუარდს შეუძლია მშვიდად იყოს, თუკი რომელიმე მანქანა აუფეთქდება და ამ „შემთხვევით უბედურებას“ გადაჰყვება, მას პოლიციკურ მსხვერპლად არავინ მიიჩნევს“

კომუნისტური ხელის ჩამორთმევით დავასრულეთ შეხვედრა. „ნახვამდის, ამხანაგოც“, იქნებ, ენის წვერზე გვადგა ორივეს (?!). არადა, მშვენიერი ფინალი იქნებოდა საუბრისა, ნაღდ კომუნისტებს ან ფერდაკარგულ წითლებს რომ ეხებოდა... (და არა მარტო მათ).

მწვავე იუმორი ჩემი რესპოდენტისა ბასრი ხმალივით ტრიალებდა პოლიტიკაში.

დრონი მეფობენ — არა მეფენო, კარგად უთქვამთ, ცხადად ვიგრძენი. ერთგული ამალა უთუოდ მიჰყვება ხოლმე თან მეფეთა გარდასვლისას (გამონაკლისს გარდა)... პოლიტიკიდან დიდი ხანია წავიდა პირველი პრეზიდენტის უახლოესი პირი, არა ფარხმალდაყრილი, არა გულხელდაკრეფილი, თუმცა მაინც მდუმარე (თავად სულაც არ ფიქრობს ასე!) **თემურ ძორიძე**, მაგრამ არა სამუდამოდ...

„მწერლობით და პუბლიცისტიკით შემოვიფარგლე. იმ მოვლენების ანალიზს ვაკეთებ, 80-90-იან წლებში რომ ხდებოდა საქართველოში. სამომავლოდ მეტი შეხება მექნება პოლიტიკასთან. ამას სულ მალე დაინახავთ. ერთადერთი, რაც პოლიტიკაში დაბრუნებას მაიძულებს, ჩემი ხალხის უბედური მდგომარეობაა“, — ამბობს პოლიტიკის ჭუჭყისა და ლაფისაგან დროებით მოსვენებული, ყოფილი ხელისუფლების ყოფილი წევრი თემურ ქორიძე.

პრეგნოზირება იმისა, დაბრუნდება თუ არა იგი პოლიტიკაში, საერთოდ, როგორც შეგვპირდა, შეუძლებელია... ამას ისევ დრო გვიჩვენებს, მანამდე კი... პოლიტიკაში ჩახედულ, მაგრამ მაყურებლის პოზიციებზე მდგარ ერთ ჩვეულებრივ მოქალაქესთან საჭირბოროტო საკითხებზე საუბარი, ალბათ, ფქვენც დაგაინტერესებთ.

— ბატონო თემურ, ხელისუფლებას, რომელსაც თავის დროზე თქვენც წარმოადგენდით, ძალზე გამოკვეთილ ეროვნულ პოზიციებზე იდგა, თუმცა მიზნის განხორციელება, რომელიც დასახული ჰქონდა, ვერ მოახერხა. უწინ ეროვნული საკითხების გადაწყვეტის აქტიური მონაწილე იყავით. თქვენს სათქმელს ხმამაღლა ამბობდით პრესით, ტელევიზიით. ახლა რატომღაც სდუმართ. დავიჯეროთ, კმაყოფილი ხართ, ყოველივე იმისა, რაც დღეს საქართველოში ხდება?

— დიდი პოლიტიკოსი (შევარდნაძე) ასე გეტყოდათ: რა შესანიშნავი შეკითხვა დამისვი, ნატო!

მე არ ვცდილობ აქტიურობას. იმ საშინელების შემდეგ, რაც საქართველოში მოხდა, ჯერ კიდევ ვერ გამოვედი მდგომარეობიდან ისე, რომ საზოგადოებასთან აქტიური კონტაქტები მქონდეს. ხელისუფლება, რომელიც დღეს საქართველოშია, უზარმაზარი ანაქრონიზმია ჩვენი ქვეყნისათვის. ეს ანტიქართული ხელისუფლება იმ ადამიანებით უნდა შეიცვალოს, ვინც არ იქნება კორუმპირებული, ხაზინას დახარბებული ნაძირალა. დღეს, ქვეყანას პატიოსანი ადამიანი სჭირდება, ნამდვილი ადამიანი, „ცხოვრების კაცი“, ვინც ამ საშინელი მდგომარეობიდან გამოიყვანს ხალხს.

ვინ არის არაკორუმპირებული, ხაზინაზე არდახარბებული, პატიოსანი ადამიანი? დღეს ბევრს აწუხებს ეს კითხვა საქართველოში. დიდი ნაწილი საზოგადოებისა, დღევანდელი პრეზიდენტის მიმართ ანტიპათიურადაა განწყობილი. ბევრი არც მალავს ამას, მაგრამ შევარდნაძის წინააღმდეგი მაინც არ არის (იშვიათზე იშვიათი პარადოქსი!) იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ უკეთესი კანდიდატი პრეზიდენტობისა ვერ გამონახა.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ახალი ამბები

„გალში მომხდარი მოვლენები ეროვნულ-მორალური კატასტროფაა“

ასეთი შეფასება მისცა გალის ბოლოდროინდელ მოვლენებს პრეს-კონფერენციაზე ფრაქ-

ცია „ლეიბორისტი“-ს ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა, რომელსაც სამარცხვინოდ მიაჩნია ტერმინის ხმარება — აფხაზეთში ღირსეულად დაბრუნება, მაშინ, როდესაც ამდენი შეცდომა დაიშვა. მისი თქმით, „სახელმწიფო კოლაფსი სახეზეა“.

ფრაქციის ლიდერს აინტერესებს, ვინ აგებს პასუხს იმაზე, რომ პარტიზანულ მოძრაობას ხელისუფლებამ ლახვარი ჩასცა და ისინი პირისპირ აღმოჩნდნენ მძიმე ტექნიკასთან? ვინ აგებს პასუხს რუსეთთან ურთიერთობის უკიდურესად გამწვავებაზე?. აღნიშნულ შეკითხვებს შ. ნათელაშვილი თავად პასუხობს — „ყოველივე ამაზე პასუხი საქართველოს პრეზიდენტმა და მოქალაქეთა კავშირმა უნდა აგონ“.

პარლამენტარის აზრით, საჭიროა პრეზიდენტი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე სასწრაფოდ შევიდეს კონსტიტუციური რეფორმების ნინადადებით, რასაც პარლამენტის ორპალატიანი სისტემა მოჰყვება, ასევე დაფიქსირდება აფხაზების სტატუსი. „წინაალმდეგ შემთხვევაში იგი უნდა გადადგეს და გზა მისცეს ახალ პოლიტიკურ ძალებს“- აცხადებს ლეიბორისტთა ლიდერი.

„მხედრიონი“ აფხაზეთის პრობლემის მოგვარების ორ გზას ხედავს

„საქართველოს მხედრიონი“ აგრძელებს ფუნქციონირებას, თუმცა, ორგანიზაციას არსებობა არ შეუწყვეტია“ — განაცხადეს „მხედრიონი“-ს მთავარი საბჭოს წევრებმა პრეს-კონფერენციაზე, რომელიც აფხაზეთში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს მიეძღვნა.

როგორც პრეს-კონფერენციის ორგანიზატორებმა განაცხადეს, გალის „მხედრიონი“-ს 140-დან საბრძოლო მოქმედებებში 100 წევრი მონაწილეობდა. რაც შეეხება გაგრაში ხელმოწერილ დოკუმენტს, „საქართველოს მხედრიონს“ მიაჩნია, რომ ნებისმიერი შეთანხმება გარანტიებით უნდა იყოს დაცული, რაც ამ შემთხვევაში არ არსებობს. აღნიშნულ დოკუმენტს საბჭოს წევრები აბსურდულად თვლიან.

„საქართველოს მხედრიონი“ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებისათვის ორ გზას ხედავს. კერძოდ, ქვეყანაში საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადება და ომის დაწყება და მეორე კაპიტულაცია და აღიარება იმისა, რომ დარღვეულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

მმართველი პარტიის მიერ ენგურის ხიდზე გამართულ აქციებთან დაკავშირებით „მხედრიონელებმა“ განაცხადეს, რომ ეს ომის დაწყების პროვოცირება იყო, რამაც სავალალო შედეგამდე მიგვიყვანა.

დევნილთა რიცხვი იზრდება

სახელმწიფო მინისტრმა ნიკოლეკიშვილმა მასობრივი ინფორმაციის ერთ-ერთ საშუალებასთან საუბრისას განაცხადა, რომ გალის რ-ნიდან დევნილი მოსახლეობის ერთმა ნაწილმა უკვე დაიწყო გალის რ-ნში დაბრუნება.

როგორც „იფრინდა“-სათვის სარწმუნო წყაროს საშუალებით გახდა ცნობილი, აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს. გალის რ-ნიდან მოსახლეობა კვლავ განაგრძობს გადმოსვლას ზუგდიდში. სავარაუდოა, რომ ამ დღეებში გადმოსულთა რიცხვს კიდევ 5000-მდე დევნილი დაემატოს. მოსალოდნელია, ასევე, 10 000 ლტოლვილის თბილისში ჩამოსვლა.

იფრინდა

აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი ხელისუფლებისგან პასუხს მოითხოვს

„იმ დევნილთა სახელით, რომლებიც მხარს გვიჭერენ, უნდობლობას ვუცხადებთ საქართველოს ხელისუფლებას და ვთვლით, რომ სწორედ მათი მიზეზით დავკარგეთ აფხაზეთი“ — განაცხადა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის თავმჯდომარემ, მურმან ბერიამ.

ბერიას თქმით, ხელისუფლების დანაშაული ის არის, რომ წამოეგო რუსეთისა და სხვა დესტრუქციული ძალების მიერ დაგებულ ანკესს და ვერ გათვალა მოსალოდნელი შედეგები. „ჩვენ ვთვლით, რომ ხელისუფლება უნდა გადადგეს და პასუხი აგოს თავისი უსუსურობისათვის“ — განაცხადა დევნილთა სახელით მურმან ბერიამ.

პირველმა გალმა მეზობლების ხვედრი გაიზიარა

აფხაზ ბოევიკთა თარეში გალის რაიონში კვლავ გრძელდება. ისინი უკვე გალის რაიონის ფარგლებს გასცდნენ. როგორც გეა-ს ზუგდიდიდან აცნობეს, 28 მაისს ბოევიკებმა სოფელი პირველი გალი გადაწვეს. აფხაზთა ადმინისტრაციული დაყოფით ეს სოფელი ტყვარჩელის რაიონში შედის. მოკლულია სოფლის ერთი მცხოვრები — ვაჟა ნარმანია.

დაიღუპა ქართველი ჟურნალისტი

იმ 11 დაღუპული ქართველის სიაში, რომლებიც დღეს აფხაზურმა მხარემ ტყვეთა გაცვლის კომისიას ორ აფხაზ პატიმარში უნდა გაუცვალოს, ერთ-ერთი გაზეთ „რეზონანსის“ კორესპონდენტი, გიორგი ჭანიაა.

გეა-ს კორესპონდენტს პარტიზანებთან დახლოებულმა წყარომ აცნობა, რომ იგი ბოლოს პოზიციებზე ფოტოკამერითა და ჩანაწერებით პარტიზანების გვერდით 24 მაისს ნახეს. როცა პარტიზანთა ჯგუფი ალყაში მოექცა, გიორგიმ ფოტოფირები და ჩანაწერები გაანადგურა, რათა მტერს არ ჩავარდნოდა ხელში და დამოუკიდებლად სცადა ალყიდან გასვლა. მას შემდეგ მისი ბედი უცნობი იყო.

გიორგი ჭანიას დაღუპვის ცნობა გეა-ს რამდენიმე წყარომ დაუდასტურა.

თანავუგრძნობთ „რეზონანსელ“ კოლეგებს.

გეა

საით წავლენ დევნილები — გალისკენ თუ თბილისისკენ?..

26 მაისს, როცა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 80 წლისთავი და ქვეყნის დამოუკიდებლობის დღე უნდა

აღგვენიშნა, გალის სოფლები ცეცხლის ალში იყო გახვეული და დევნილთა მოთქმა-გოდება ცისკენ ზანტად მიმავალ კვამლს უერთდებოდა.

იწვოდა გალის ათი სოფელი. იწვოდა ყველაფერი, რასაც კი ცეცხლი წაეკიდებოდა. აფსუათა დამსჯელი რაზმები ანადგურებდნენ ყველაფერს, რაც კი ქართველი კაცის ხელს შეუქმნია. უმოწყალოდ ხოცავდნენ იმათ, ვინც კი პარტიზანთა თანადგომაში ეეჭვებოდათ და ვაგლახ, რომ ნაცვლად იმისა, ხელისუფლებას საკადრისი პასუხი მიეგო გათავხედებული სეპარატისტებისათვის, შუაგულ თბილისში, ფილარმონიასთან და რესპუბლიკის მოედანზე თავმოყრილ დემონსტრანტებს, ასობით ჯანლონიანი სპეცრაზმელი ხელჯოხებითა და როგორც ამბობენ, ე. წ. ელექტროშოკებით „ებრძოდა“.

ზუგდიდის ცენტრში, გამგეობასთან თავშეყრილი დევნილები, ქალები და კაცები, დიდები და პატარები, გინებითა და წყევლით სხვადასხვა ბრუნვაში ახსენებდნენ არა მხოლოდ ხელისუფალთ, არამედ იმათაც, ვინც კი პოლიტიკაშია ჩართული და ტელეეკრანიდან ერთი-ორჯერ მაინც უნახავთ. მათი ეს აგრესიულობა, რაც მათს მდგომარეობაში სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნია, საკუთარ თავზეც გადმოცადეთ. მათი პრეტენზიები ხელისუფალთა მიმართ ასევე ლოგიკური და გასაგებია: რას გვერჩოდით, ვიყავით ჩვენთვის წყნარად, არც აფხაზები გვიშავებდნენ მაინცდამაინც არაფერს და მანამ არ მოისვენეთ, სანამ ჩვენც არ გამოგვყარეს საკუთარი სახლებიდან, სანამ ხალხი არ დაახოცინეთ და ჩვენი კარ-მიდამო არ გადააბუგინეთო.

მათს ამ მწარე კითხვებს, ბუნებრივია, ხელისუფლებმა უნდა გასცენ პასუხი, მაგრამ დასანანია, რომ ჯერჯერობით პარლამენტის დებატების იქით, საქმე არ დაძრულა და არც კონკრეტულ დამნაშავეებზე თქმულა რამე არსებითი. მეტიც, აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენელთ რომ მოუსმინო, თურმე ერთის მხრივ, კარგიც კი ყოფილა საქმისთვის, რაც გალში მოხდა. თურმე, საერთაშორისო ორგანიზაციები კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ ჩვენს სამშვიდობო ინიციატივებში. ცოტა არ იყოს, ძნე-



ლია იმ ადამიანებს გაუგო, ვინც ასეთ მოსაზრებას გამოთქვამს. ძნელია იმიტომ, რომ ამ გაუთავებელ სამშვიდობო ინიციატივებს ყოველთვის ასეთი მწარე შედეგი მოსდევს ხოლმე და ალბათ, სანამ ხელისუფალნი არ დააკონკრეტებენ რეალური მტრის სახეს და შესაბამისად, პოლიტიკურ კურსს არ შეიცვლიან, არც აფხაზეთს ეშველებათ რამე და არც დევნილებს.

არ გვინდა ისე გაგვიგოთ, რომ მშვიდობისა და სამშვიდობო ინიციატივების წინააღმდეგნი ვიყოთ, მაგრამ ყველაფერს თავისი ზღვარი აქვს და როგორც ჩანს ამ ზღვარს ბოლო ხანს გალში განვითარებული მოვლენებით დაესვა წერტილი. ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისათვის სრულიად ნათელი გახდა, რომ ხელისუფლება არსებულ პრობლემებს ვერ ართმევს თავს და საჯარო ტრიბუნებიდან მოსახლეობის დაიმედება ნათელი მომავლით, ნავთობსადენის მაგისტრალით, რბილად თუ ვიტყვით, კომუნისტების ყბადაღებულ კომუნიზმში ცხოვრებას გვაგონებს, რა თქმა უნდა, არარსებულ მომავალში.

დროა ხელისუფლებამ შეიგნოს, რომ ადამიანთა, უბრალო მოკვდავთა მოთმინებასაც აქვს საზღვარი. ქვეყნის აშენება ტყუილებით, დაპირებებით, ცრუ ილუზიებით არ შეიძლება. არც ის შეიძლება, ხუთი წელი უვარგის მინისტრს ეფერო და რომ გადააყენებ, ქვეყნის დამქცევი აღმოჩნდება. ასეთი საკადრო პოლიტიკა ღუპავს ქვეყანას და რაც მთავარია, ხელისუფალთა ნდობის ფაქტორს საბოლოოდ უთხრის საფუძველს. ჩვენ არ ვიცით როგორ დააბრუნებენ გალიდან დევნილებს საკუთარ კარმიდამოში, თუ ისინი საკუთარი ინიციატივით დაბრუნდებიან იქ, ან რა უსაფრთხოების გარანტია ექნებათ მათ სეპარატისტების ხელში, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად შეიძლება ვივარაუდოთ: დაბრუნების შემთხვევაში, ეს ადამიანები განწირულნი არიან მონობაში ცხოვრებისათვის და ყველაზე საშიში პერსპექტივა ისაა, რომ ახლო მომავალში მათი დიდი ნაწილი, შესაძლოა, სულაც დავკარგოთ, როგორც ჩვენი სისხლი და ხორცი და საქართველოს მოქალაქენი.

და ბოლოს: ხელისუფალნი, ჩვენი აზრით, შეეცდებიან დამნაშავენიც იპოვონ და ჯოხიც მათზე გადატეხონ, მაგრამ ეს დევნილებისთვის ვერაფერი ნუგეშია, ამით ისინი სამართალს მაინც ვერ იპოვიან და თუ ამ უკანასკნელის პოვნას დაპირებენ, მაშინ საკითხავია, გალისკენ აიღებენ კურსს თუ დედაქალაქისაკენ.

სერგო ჯანაშია

როგორ იქცა სეპარატისტთა პირსისხლიანი ლიდერი არძინბა ბატონ ვლადისლავად

სულ ცოტა ხნის წინ, საქართველოს ტელეარხები ამაყად გადმოსცემდნენ გალის რაიონში ქართველ პარლამენტართა ვოიაჟის ამსახველ კადრებს, არც ის ავიწყდებოდათ აღენიშნათ, რომ ამ ვოიაჟის სათავე ქართული პარლამენტარიზმის წიაღში ჩაისახა და მას გულოვნად უძღოდა წინ ბეჟან გუნავა. სამწუხაროდ, გუნავასა და საინფორმაციო საშუალებების მიერ გულზე მჯიღის ცემა ნაადრევი გამოდგა და აფხაზთა მხარემ იმისათვის, რომ საბოლოოდ გაერკვია გალის ფაქტობრივი მეპატრონის ვინაობა, საბრძოლო მოქმედებები დაიწყო.

იმ დროს, როცა გალში აფხაზი ბოევიკები შედიოდნენ, თბილისში საქართველოს დამოუკიდებლობის მე-80 წლისთავის აღსანიშნავ აღლუმს ამზადებდნენ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე განლაგებული საბრძოლო მანქანები გარეთ მტერს უკლავდა გულს და შინ — მოყვარეს. გულის მოსაკლავი კი მერე მოხდა, რაც მოხდა. თუმცა, შეიძლება ამაზე უარესიც იყო შედეგი... გადამწვარი სოფლები, 30 ათასი ლტოლვილი. ზუგდიდი ფრონტის ხაზად იქცა. თუმცა, ვერც ფრონტის ხაზს ვუწოდებთ, რადგან სადაც არ დგას ჯარი, იქ ფრონტის ხაზს რა უნდა.

მაშინ, როცა გაგრაში ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი აფხაზეთის ე. წ. საგარეო საქმეთა მინისტრთან მებრძოლი მხარეების დაშორების საკითხებზე მსჯელობდა და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ უთანხმდებოდა არძინბას დესპანები, გალის რაიონის სოფლები ცეცხლის ალში იყო გახვეული, მშვიელელი არ ჩანდა. მუხედავად იმისა, რომ მთავრობის წარმომადგენლებს უხვად შეხვდებოდით ზუგდიდში, ხალხს კონკრეტულად არავინ პასუხობდა, და კითხვა — რატომ? ისევ და ,ისევ უპასუხოდ რჩებოდა.

„არა ვარ მე ის კაცი"

ყვარყვარეს რომ არ ეთქვა ეს სიტყვები, ალბათ, თენგიზ ჯგუშია იტყოდა პრესკონფერენციაზე, რომელიც სოციალისტ-მაჟორიტარებმა, კერძოდ კი, ვახტანგ რჩეულიშვილმა და თენგიზ ჯგუშიამ გამართეს. როგორც პარლამენტის პრესცენტრის ანონსიდან შევიტყვეთ, ეს ღონისძიება გალში მიმდინარე პროცესებს უნდა შეხებოდა, მაგრამ იქ მისულებს იმისი იმედი, რომ გალიდან უახლეს ამბებს გავიგებდით, გაგვიცრუდა. ერთი ანდაზა „ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოო" — სწორედ რომ მაჟორიტარ სოციალისტებზე უთქვამთ (და არა მარტო მათზე, მათი მსგავსნი მრავლად მოიპოვებიან საქართველოს პარტია-ფრაქციებში). ბატონ ჯგუშიასა და ბატონ რჩეულიშვილს გალის საკითხი ნამდვილად რომ აღელვებდათ, იმით დაკრწმუნდით, რომ ჯგუშია ზუგდიდში ყოფილა, ხალხსაც შეხვედრია, მაგრამ ... პრესკონფერენციაც სწორედ ამ „მაგრამს" მიეძღვნა...

ზუგდიდში გამგეობის წინ შეკრებილი მოსახლეობა ამაოდ ელოდა პასუხის გაცემას კითხვებზე, ამაოდ ითხოვდნენ თანამდებობის პირთა მოსვლას და მომხდარზე პასუხისმგებლობის აღებას. ამაოდ... არავინ ჩანდა.

თუმცა, ეს არ ეხებოდა თენგიზ ჯგუშიას. იგი იყო კაცი, რომელმაც გაიზიარა ხალხის გასაჭირი, კაცი, რომელმაც არად ჩააგდო ხალხის რისხვა და მათთან მივიდა, მივიდა და ... ბატონ თენგიზს ნამდვილად არ მოუწოდებია ხალხისთვის არც სახელმწიფო წყობის დამხობისკენ, არც სხვა მსგავსისკენ. ჟურნალისტები კი სწორედ ამას აბრალებენ თურმე რატომღაც.

მოკლედ, არ არის ბატონი თენგიზი ის კაცი, ვინც სახელმწიფოს უღალატებს, ვინც მის ინტერესებს არ დაიცავს.

სამართალს სასამართლოში ეძებენ სოციალისტ-მაჟორიტარები (თუკი სადმე დარჩა მოსამართლე!), იქნება მართლაც იზეიმოს მართალმა სამართალმა და ბრალდებაც გაქარწყლდეს.

როგორ იქცა პირსისხლიანი სეპარატისტთა ლიდერი არძინბა ბატონ ვლადისლავად

იტყვიან, ,,საოცარია, მაგრამ ფაქტიაო", ჩემთვის (და თქვენთვისაც ალბათ) საოცარი ნამდვილად არ არის, ფაქტი კი ჯიუტია. ის, რაც გალში დატრიალდა, წინასწარ დაგეგმილი, გათვლილ-გაანგარიშებული გახლდათ. საკითხავი მხოლოდ ისაა, ვინ განსაზღვრა ასე გეგმაზომიერად ყოველივე... ამ „წყვეტა-კრულვიან კითხვას" აგერ უკვე მეექვსე წელია, მთელი საქართველო კითხულობს, პასუხი კი ...

არძინბა თავიდან სეპარატისტთა პირსისხლიანი ლიდერი და გენოციდის ავტორი იყო, შემდეგ ბატონი ვლადისლავი გახდა, ამ დღეებში კი ბატონ ვლადიმერად გარდაიქმნა, თუ ასე გაგრძელდა, ლადიკოდ ან ჩვენს ლადოდადაც იქცევა მალე, — არ ცხრება ლეიბორისტების ლიდერის მრისხანება, როცა თვალნათლივ ხედავს უსუსურობას, რომელსაც ხელისუფლება ამჟღავნებს აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საკითხში.

გალში დატრიალებული ტრაგედიის გამო პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებას ვერც დამნაშავე ბედავს, ვერც უდანაშაულო და ხელის შეხოცვაც, როგორც იტყვიან, პარტიზანებზე უნდათ... ხელისუფლება კი, რომელიც შესაძლებელია რუსეთის გარკვეული ძალების მორიგ ანკესს (მხარს გიჭერთო) ისევ წამოეგო და ფართო ნაბიჯებით მოურიდებლად ტორავდა გალის მიწას, დღეს პარტიზანულ მოძრაობას ლახვარსა სცემს ზურგში. ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა გაგრაში ორივე მხარის საგარეო საქმეთა მინისტრების (!!!) ხელმოწერილი ოქმი.

— მხარეები იბრძოლებენ დივერსიულ-ტერორისტული ჯგუფების წინააღმდეგ, ფორმულირდება „პრატაკოლში", სადაც არაპირდაპირ გაგებით ქართველი პარტიზანები იგულისხმებიან, პარტიზანები, რომელთაც ხელისუფლების უყურადღებობის მიუხედავად, ბევრი რამ გააკეთეს, — სამართლიანად ღელავს შალვა ნათელაშვილი.

არ ვიცით, როგორ გრძნობს თავს ამ დროს პრეზიდენტი შევარდნაძე, რაც შეეხება არძინბას, ალბათ, მშვენერი გუნება-განწყობილება ექნება, რადგან ჩვენ ხელისუფლების უთავო პოლიტიკა საამისოდ კარგ საფუძველს აძლევს.

აფხაზეთში უახლოეს ხანში ველარ დავბრუნდებით...

ამ უთავო პოლიტიკის შედეგია ისიც, რომ აფხაზეთში მოსახლეობის უკან დაბრუნება იმ უბრალო და მარტივი მიზეზითაც გაძნელდება, რომ იქ ფაქტიურად აღარ დარჩა საცხოვრებელი სახლები, — ლოგიკურად მსჯელობს ფრაქცია „სახალხოს" ლიდერი მამუკა გიორგაძე. ყველა სხვა პრობლემებთან ერთად „სახალხოელებს" უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისადმი რეალურად გასაწევი დახმარების დროულობის პრობლემაც აწუხებთ.

— ხელისუფლებამ წარმოადგინოს მატერიალური დახმარების პროგრამა, გამაგრებული საბიუჯეტო გადაწყვეტილებით, ბიუჯეტში ცვლილებებით, წყაროს დასახელებით, ხარჯების დაკონკრეტებით, რათა პარლამენტმა დროული გადაწყვეტილება მიიღოს, — ითხოვენ „სახალხოელები".

სად არის პრეზიდენტი?

მღელვარებას ყველა პარტიასა და ფრაქციაში, უმცროს-უმცროსსა და ხელმძღვანელ-ხელქვეითს შორის რუსეთის მიმართ დამოკიდებულება ინვევს. „შეცვალოს პრეზიდენტმა კურსი რუსეთთან მიმართებაში", „შეიცვალოს პრეზიდენტმა"... განუწყვეტლივ გაისმის რადიო-ტელევიზიით, მასმედიის ნებისმიერი საშუალებით სხდომებზე, თუ პრესკონფერენციებზე წარმოთქმული თხოვნა-მუდარის, თუ მუქარის ამსახველი ფრაზები, მაგრამ სად არის პრეზიდენტი?

იგი არათუ ხალხს ანგარიშ-ვალდებულებებს აბარებს ცისფერი ეკრანის საშუალებით, არამედ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას საკითხი, მიზანშეწონილია, თუ არა მისი გამოცხადება სასესიო სხდომებზე. მართლაც, ნეტავ რატომ სდუმს პრეზიდენტი? ნეტავ რას აპირებს პრეზიდენტი, ბოლოს და ბოლოს სად არის პრეზიდენტი?

ანა ჯულელი

CEERN-ისკენ ნაბიჯით მეტი

უახლოეს მომავალში საქართველო ქონების მართვის სამინისტროს სახით ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის პრივატიზაციის ქსელში (CEERN) გაერთიანდება. ამის თამამად თქმის საფუძველს იძლევა რამდენიმე დღის წინ აღნიშნული ორგანიზაციიდან მოსული მოწვევა მასში საქართველოს სრულუფლებიან წევრად გაერთიანების თაობაზე.

როგორ და რატომ დაინტერესდა ეს ორგანიზაცია ჩვენი ქვეყნით და აქ მიმდინარე პრივატიზაციის პროცესებით, ჯერჯერობით გაურკვეველია, იმის თქმა კი დაბეჯითებით შეგვიძლია, ჩვენი ქონების სამინისტრო რომ მასში განვრცობას მიზანშეწონილად მიიჩნევს.

— რაც მეტ საერთაშორისო ორგანიზაციებში გაერთიანდება ჩვენი ქვეყანა, მით უფრო აღიარებული ვიქნებით. ეს არის ორგანიზაცია, რომელშიც მივიღებთ ცოდნას, როგორ ვაკეთოთ რეფორმები ქვეყანაში. ორგანიზაცია სპეციალიზდება პრივატიზაციისა და რესტრუქტურიზაციის საკითხებზე, კაპიტალის ბაზრის, საფინანსო და კერძო სექტორის განვითარებისა და ევროპაში ინტეგრაციის პროცესებზე, — განუცხადა ჟურნალისტებს ოთხშაბათს პრესკონფერენციაზე ქონების მართვის მინისტრის მოადგილემ მერაბ გაბუნიამ.

CEERN-ის პროგრამაში ნათქვამია, რომ მათი მიზანია პრივატიზაციის განხორციელების საქმეში რეგიონალური თანამშრომლობა და ტექნიკური დახმარება. მასში გაწევრიანება მოგვიტანს თუ არა რაიმე სასიკეთო შედეგს, ამის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია (თუმცა კი, ქონების მართვის სამინისტროში იმედოვნებენ მის დადებით შედეგებზე), ისე კი ცნობისთვის, CEERN არაკომერციული სამთავრობათშორისო ორგანიზაციაა, 1991 წლიდან არსებობს, 12-მდე ქვეყანას აერთიანებს, რომელთა შორისაა ალბანეთი, ბულგარეთი, ლიტვა, ლატვია, მაკედონია, მოლდავეთი და სხვები, ... და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება საქართველოს მხრიდან არანაირ ფინანსურ გადასახადს არ ითვალისწინებს.

თავისთავად დადებითი ფაქტია, თუკი საქართველო გამოცდილებას შეიძენს პრივატიზების და კიდევ ბევრ სხვა საკითხში უცხო ქვეყნებისაგან, მანამდე კი, ვიდრე ყოველივე ეს მოხდებოდეს, ჩვენი ქონების მართვის სამინისტრო საკუთარ გამოცდილებასაც მშვენერად იყენებს აღნიშნული საკითხების გადაწყვეტისას.

მან პრივატიზების თანხების ამოღებისა და ბიუჯეტში მობილიზების გეგმა გასულ წელს 170%-ით შეასრულა, წელს კი პირველი ოთხი თვის განმავლობაში უკვე მობილიზებულია 14 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 70%-ზე მეტია. წლიური გეგმა კი 19 მლნ ლარს შეადგენს. ქონების მართვის სამინისტროში იმედოვნებენ, რომ გეგმის გადაჭარბება გარანტირებული იქნება ისეთი მსხვილი ობიექტების პრივატიზების ხარჯზე, როგორიცაა ენერგეტიკის გამანაწილებელი და ტელეკომუნიკაციების სფეროს ობიექტები. თანხების მოზიდვას, ალბათ, ფოთის გემთმშენებელზე და სააქციო საზოგადოება „თბილგაზზე" გამოცხადებული ტენდერებიც შეუწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ ფოთის პორტის რესტრუქტურიზაციისა და მისი პრივატიზების შესახებ სამინისტროში უკვე არსებობს „იუსაიდის" ექსპერიმენტების დასკვნა, თუმცა უახლოეს მომავალში ამ ობიექტთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება არაა მოსალოდნელი, რაც შეეხება სააქციო საზოგადოება „თბილგაზს", მისი აქციების (სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი) გაყიდვის მიზნით სამინისტრომ უკვე გამოაცხადა კომერციული კონკურსი. „თბილგაზის" აქციათა პაკეტის საწყისი გასაყიდი ფასი 6,0 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტური თანხაა ეროვნულ ვალუტაში, კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთაც ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

მოკლედ, ყოველივე ობიექტების პრივატიზება უკვე მოხდა, ზოგიც ახლა მიმდინარეობს, თუ არადა, უახლოეს მომავალში მაინც არის გათვალისწინებული მისი კერძო საკუთრებაში გადანაცვლება, საერთო ჯამში კი პრივატიზების შედეგების გამოკვლევა ცხადყოფს, როგორც ქონების მართვის მინისტრის მოადგილე ბატონი მერაბ გაბუნია ამბობს, რომ დღეისათვის შიდა პროდუქტების 80% კერძო და პრივატიზებული საწარმოები ჰქმნიან, რომელთა შორის სოფლის მეურნეობის დარგს წამყვანი ადგილი უჭირავს.

მანანა ლოგვინიძე

განცხადება

აფხაზეთის, კერძოდ, გალის რაიონის მოვლენების გამო

აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის გენოციდის ახალი აქტი განხორციელდა. გალის რაიონში სტიქიურად დაბრუნებულ ქართველ მაცხოვრებლებს, რომლებიც არ იყვნენ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ გაფრთხილებულნი, რომ მათი სიცოცხლის დაცვა ამ ხელისუფლებას არ შეეძლო და არ აპირებდა (უფრო მეტიც: ფოთში გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტმა თქვა, რომ ჩვენი მოსახლეობის დაცვა შეგვიძლია), თავს დაესხნენ „ბოევიკები" არძინბას ბანდებიდან და რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული მოქალაქეები — მათ შორის სამხედრო მოსამსახურენი რუსი ეროვნებისა, — რომელნიც აღჭურვილნი და გაწვრთნილნი არიან რუსეთის ფედერაციის მიერ და რუსეთის შეიარაღებული ძალების, მათ შორის ენგურზე მდგომი „სამშვიდობო" ძალების ხელმძღვანელობით მოქმედებენ. თავდამსხმელებმა დახოცეს რამდენიმე ასეული მშვიდობიანი მოსახლე და სიკვდილის შიშით აიძულეს დანარჩენები, მიეტოვებინათ საცხოვრებელი და თავი ენგურის მარცხენა ნაპირზე შეეფარებინათ. მათი სახლები ბრწმინდად დაწვეს. ამით ქართველი მოსახლეობისაგან გაწმინდეს ენგურის მარჯვენა ნაპირი მთლიანად, ზუგდიდის რაიონში შემავალი სოფლების ჩათვლით. სეპარატისტთა სამხედრო წარმატება ამ ოპერაციაში განაპირობა როგორც რუსეთის ფედერაციის ზემოხსენებულმა დახმარებამ, ერთის მხრივ, ისე საქართველოს ხელისუფლების სრულმა სამხედრო და სახელმწიფოებრივმა უპასუხისმგებლობამ, მეორეს მხრივ, საქართველოს ხელისუფლებამ თავისი ქმედებითაც და უმოქმედობითაც განირა ქართველი მოსახლეობა, ისევე როგორც ეს ადრე მომხდარა, და ამით მონაწილეობა მიიღო საკუთარი ხალხის გენოციდში. მან არანაირი ზომა არ მიიღო არც მოსახლეობის გადასარჩენად, არც რუსეთის ახალი აგრესიის აღსაკვეთად გაეროსადმი მიმართვის ან სხვა საერთაშორისო-პოლიტიკური მოქმედების გზით. უფრო მეტიც, მან ახალი მოლაპარაკება გამართა არძინბასთან და ახალი გარიგება მოახდინა მასთან, რომლის შინაარსი ცნობილი არ არის.

მოვლენათა ამგვარი განვითარების გადამწყეტი ფაქტორია ის, რომ საქართველოს ხელისუფლებას ე. შევარდნაძის მეთაურობით დღემდე არც ერთხელ არ დაუსახელებია არც საქართველოს მოსახლეობისათვის, არც მსოფლიო საზოგადოებისათვის ის, თუ ვინ არის აფხაზეთის ომში საქართველოს მოწინააღმდეგე, ამ ომის ორგანზატორი და ამ ომის შედეგად ჩატარებული ქართველი მოსახლეობის გენოციდის ავტორი. იმის გაუცხადებლობით, რომ საქართველოს მოწინააღმდეგე ამ ომში არის რუსეთი, რომელიც აწარმოებს ომს როგორც თავისი მოხალისე მოქალაქეების არაოფიციალური მონაწილეობით, ისე თავისი რეგულარული ძალების პირადი შემადგენლობის და შეიარაღების მონაწილეობით, საქართველოს ხელისუფლებამ დღემდე საშუალება მისცა რუსეთს, აწარმოოს ეს ომი. საქართველოს ხელისუფლება ვალდებული იყო და არის, განაცხადოს ეს ოფიციალურად მსოფლიოს წინაშე, სათანადო განცხადებით მიჰმართოს გაეროს და მთელი სიმწვავით დააყენოს აფხაზეთის ვითარების დარეგულირების პრობლემა, როგორც საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის აღკვეთის საერთაშორისო პრობლემა. მაგრამ საქართველოს არსებული ხელისუფლება შევარდნაძის მეთაურობით ამას არ აკეთებს და არ აპირებს. შესაბამისად, მას აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის არანაირი პერსპექტივა არა აქვს, რადგან სხვა გზა აფხაზეთის პრობლემის გადაჭრისა საქართველოს არ გააჩნია.

თქმულიდან გამომდინარე, ქვემორე ხელმომწერ პარტიებს მიაჩნიათ, რომ შევარდნაძის და მისი ხელისუფლების პოლიტიკა იყო და არის საქართველოს ტერიტორიის რუსეთისათვის დათმობის, საქართველოს ეკონომიკური და სტრატეგიული რღვევის, საქართველოში შეიარაღებულ ძალთა მშენებლობის საბოტირების, საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის ჩაშლის პოლიტიკა რუსეთისადმი მისი დაქვემდებარების მიზნით. ამასწინანდელი მოვლენები აფხაზეთში ნათლად მეტყველებს იმას, რომ პრეზიდენტ შევარდნაძის მხრიდან ამ პოლიტიკის შეცვლის არანაირი პერსპექტივა არ არსებობს. ამიტომ ქვემორე ხელის მომწერნი უნდობლობას ვუცხადებთ საქართველოს პრეზიდენტ შევარდნაძეს და მოვითხოვთ მის გადადგომას.

მზად ვართ ამ მოთხოვნის შესრულებისათვის ვიმოქმედოთ ყველა იმ საშუალებით, რომელიც არ გამოიწვევს არასტაბილობას ან კანონის წინააღმდეგ წასვლას.

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი — გ. ჯორჯაძე, ა. ასათიანი
საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირი — ა. იოსელიანი
ილია ჭავჭავაძის საზოგადოება — თ. ჩხეიძე
საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია — ნ. ნათაძე

პარასკევის კომენტარი ორშაბათის რადიოინტერვიუზე

პრეზიდენტი მართალს ამბობს

მართალი ამ ინტერვიუში, დაუფარავად რომ ვთქვათ, მხოლოდ ისაა, რომ ინტერვიუს მომდევნო დღე, 26 მაისი, მართლაც საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა, როგორც პრეზიდენტი ამბობს. დანარჩენი, ამჯერად, ან ღრმა შეცდომაა, რომელიც მოწმობს, რომ პრეზიდენტი რეალობაში კი არ ცხოვრობს, არამედ ოცნების სამყაროში, ან მკითხველის შეგნებული და მრავალსართულიანი დეზინფორმირებაა, რომელსაც ახალი ტრაგიკული შედეგები მოჰყვება.

პრეზიდენტი ცდება

პრეზიდენტი ცდება, მაგალითად, როცა ფიქრობს, რომ:

„ჩვენ ახალი აზროვნების ადამიანები ვართ და ამ ახალმა აზროვნებამ ოცდამეერთე საუკუნეში უნდა გაგვინათოს გზა“.

„ახალი“ აზროვნების შეძენა როდი ნიშნავს ძველზე ხელის აღებას, მაგალითად, ადამიანთა მიერ იმის დავიწყებას, რომ სიკვდილი სიკვდილია, მონობა — მონობა, მტერი მტერია და ა. შ., ხოლო თუ არ გინდათ, მტერმა მოგკლათ, მისგან თავი უნდა დაიცვათ იმის ნაცვლად, რომ იგი სვინდისზე შეაგდოთ „დემოკრატიის“, „ცივილიზაციის“, „სამიტების“ და სხვა ამგვარადვე შთამბეჭდავი ცნებების გამოყენებით. ყოველად უშინაარსო გამოთქმა „ახალი აზროვნება“ პრეზიდენტმა გორბაჩოვისგან ისესხა და ეს გამოთქმა, როგორც ჩანს, ისეთი ღირებული ჰგონია, რომ იმედი აქვს, მან ადამიანებს საჭმელის, სასმელის, კეთილდღეობის, უსაფრთხოების და თვით სიცოცხლის შენარჩუნების ინტერესებიც კი დაავიწყოს. ცდება იგი, უთუოდ, მაშინაც, როცა ჰგონია, რომ თუ საერთაშორისო ორგანიზაციები „დაგმობენ ეთნიკური წმენდის პოლიტიკას“ ოთხმოცდაათიათასიანი აფსუა ხალხის მხრიდან, ამით ჩვენი საქმე წინ წავა, ან რომ მის მიერ წარმოდგენილი ზერელე „დასაბუთებით“ რადიომსმენელი შეცდება და დაიჯერებს, თითქოს ის, რაც აფხაზეთში მოხდა და დღესაც ხდება, საქართველოს ხელისუფლების უმოქმედობის ჩათვლით, „მსოფლიო პოლიტიკოსის“ რაღაცა ბრძნული პოლიტიკის გამოვლინება იყოს, რომლის ღრმა ჩანაფიქრი ჯერ არ ჩანს, მაგრამ ოდესმე გამოჩნდება. ის, რაც მოხდა, რაც ხდება და აწ არსებული ხელისუფლების პირობებში მუდამ მოხდება, უკეთეს შემთხვევაში მძიმე შეცდომაა, რომელიც ათიათასობით ადამიანის სისხლად და ტერიტორიების დაკარგვად ჯდება. პრეზიდენტის იმედი, რომ რუსეთის რომელიღაცა მითიური „ძალები“, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ, „მოეგებიან გონს“ (მისი სიტყვებია) და მიხვდებიან, „რა მოვლენები და პროცესები“ განვითარდება „მათსავე ქვეყანაში“ ამ ბრმა პოლიტიკის შედეგად, ფუჭი იმედია. არ მოეგებიან! არ მოეგებიან სწორედ იმიტომ, რომ საქართველოს პრეზიდენტზე ბევრად უფრო ჭკვიანები არიან (რაც იმით დაამტკიცეს, რომ უკვე მრავალჯერ „მოატყუეს“ იგი დიპლომატიურსა და პოლიტიკურ ბრძოლაში) და კარგად ესმით, რომ ლამაზი სიტყვები ქრება, ხოლო ტერიტორიული დაპყრობები და მათი ძველი პატრონისაგან გამოძალული კაბალური შეთანხმებები რჩება და ისტორიის ახალ განვითარებას საფუძვლად ედება. ამ „ძალებს“ ეცინებათ, როცა საქართველოს პრეზიდენტის გულუბრყვილო შეგონებებს რუსულად თარგმნილს კითხულობენ და ხედავენ, რა უტოპიებით ცხოვრობს, თურმე, „მსოფლიო პოლიტიკოსი“, როცა იგი რეალური ქვეყნის რეალურად მართვის მძიმე ამოცანის წინაშე დგება.



პრეზიდენტი მართალს არ ამბობს

პრეზიდენტი მართალს არ ამბობს იმიტომ, რომ ვერ ამბობს, ხოლო ვერ ამბობს იმიტომ, რომ ის, რაც მოხდა და ხდება, მისი „მოღვაწეობის“ ერთი კერძო ეპიზოდი კი არაა, არამედ მისი, როგორც სახელმწიფოს მეთაურის, მთელი პოლიტიკის ძირფესვიანი და გამოუსწორებელი მანკიერების მაჩვენებელია და მამხილებელია. კერძოდ, იმის მაჩვენებლია, რომ შეუძლებელია ომში გამარჯვება (თუნდაც მართლაც გინდოდეთ ეს გამარჯვება), თუ საკუთარ ხალხს და მსოფლიოს არ უთხარით, ვინ არის თქვენი მოწინააღმდეგე და თუ მოწინააღმდეგის წყენის შიშით მის ბრძანებებს ასრულებთ ან, — კიდევ უარესი — მას არბიტრად ინვევთ თქვენს ქვეყანაში თქვენს თავსა და მის მტრის მიერ შექმნილ მარიონეტულ მეამბოხეებს შორის. საქართველო დღემდე ისე ომობს, მან ისე დაკარგა ტერიტორიები და ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე, რომ მისმა ხელისუფლებამ ერთხელაც არ მიმართა განცხადებით გაეროს, რათა შეაჩეროს ზესახელმწიფოს აგრესია ჩვენი ქვეყნის მიმართ, და არც ერთხელ არ მიჰმართა ამ ზესახელმწიფოს მოთხოვნით, რომ ეს აგრესია შეწყვიტოს. უფრო მეტიც, საქართველოს პრეზიდენტმა ერთხელაც კი არ თქვა, რომ ჩვენ ვილაცა „ძალები“ კი არ გვეომებიან, რომელთაც არც ფერი აქვთ რუკაზე და არც ადგილი გაეროში, არამედ კონკრეტული სახელმწიფო რუსეთი, რომელსაც რუკაზე ფერიც აქვს და გაეროს ნეკერიც არის. პრეზიდენტს რომ გაეროში ოდნავ მაინც უნარიანი და მონდომებული წარმომადგენელი გაეგზავნა, და არა ამერიკელებისათვის კარგად ცნობილი საბჭოთა ფუნქციონერი ჩხეიძე, და მსოფლიოს ამ მაღალ ფორუმზე მუდმივ თემად დაეფიქსირებინა რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ, აგრეთვე მსოფლიოს თვალწინ რომ რუსეთი ოფიციალური საპროტესტო ნოტებით ებომბა და საქართველოდან მისი ჯარების გაყვანა სრული კატეგორიულობით მოეთხოვა, იგი ამით დაზოგავდა საქართველოს ტერიტორიასაც და ათიათასობით ქართველი ადამიანის სისხლსაც. მაგრამ მან ეს არ გააკეთა და ვერ გააკეთა იმიტომ (და მხოლოდ იმიტომ), რომ იგი თავისი გონებითა და სულისკვეთებით რუსეთისგან თავისუფალი ადამიანი ვერაა, იგი ფსიქოლოგიურად და ბიოგრაფიით მიბმულია რუსეთზე და ხელის აღება არ შეუძლია ზეიმპერიის ხელის ლოკვის საბჭოურ ჩვევაზე იმ დროსაც კი, როცა ეს ზეიმპერია მეორე ხელით მის ქვეყანას სილას აწნის ან მისი თანამემამულეების სიცოცხლეს სპობს.

დღეს ამ „ქვე მთხლე“ ვარ, ბატონო, ქვე კაცი არ გეგონო“-ს პოლიტიკის სრული გაკოტრების მოწმენი ვართ და მის მწარე ნაყოფს ვიმკით. „მთხლეს“ არავინ ზოგავს. მაგრამ დღევანდელ ხელისუფლებას ამ ინერციისგან თავის დაღწევა არც შეუძლია, არც ჰსურს.

პრეზიდენტი მსმენელის პირდაპირსა და მიზანმიმართულ დეზინფორმირებას ეწევა, როცა ამბობს, რომ გენოციდის ახალი ტალღა აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების მიერ თავისი მთავრობის ბრძანების არშემსრულებელი ან ცუდად შემსრულებელი „სამშვიდობო ძალების“ მიერ გამოტარებულმა „ბოევიკებმა“ მოახდინეს. სინამდვილეში ეს ოპერაცია „გამოტარებულმა“ კი არა, რუსეთის მიერ აღჭურვილმა, განწრთნილმა და რუსეთის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობით დაკომპლექტებულმა ნაწილებმა შეასრულეს, რომლებიც ამ „სამშვიდობო“ ძალების სარდლის კორობკოს მოადგილის უშუალო ხელმძღვანელობით მოქმედებდნენ. პრეზიდენტს არა აქვს მსმენელისაგან ამისი დამალვის უფლება, მაგრამ იგი ამას მალავს, ისევე, როგორც მალავს სამხედრო საიდუმლოსავით იმასაც, თუ რა შინაარსის გარიგება მოხდა ლორთქიფანიძესა და არძინბას შორის, რომლის ფასადაც — პრეზიდენტის აზრითა და სიტყვით — ქართველ მოსახლეობას მონყალედ უნდა დაერთოს უფლება, თავის დამწვარ სახლებში დაბრუნდეს არძინბას მონებად და ამიერიდან ქართველობისა და საქართველოს ფიქრის გულში გავლებაც ვეღარ გაბედოს. მსმენელი და მოქალაქე ვალდებულია პრეზიდენტის ამ უცნაური პოლიტიკის ასახსნელად დაუშვას და გაითვალისწინოს შემდეგი ჰიპოტეზა: იმისთვის ხომ არ ქმნიან საქართველოს პრეზიდენტი და მისი სტრატეგიული მოკავშირე რუსეთი ქართველი ხალხის დიდი მასებისათვის სასიკვდილოდ სახიფათო სიტუაციებს, რომ შემდეგ საქართველოს ხელისუფლებას საბაბი ჰქონდეს თქვას, „რა ვქნათ, ადამიანთა დახოცვას ისევ პოლიტიკური უფლებებისა და ტერიტორიების დათმობა გვირჩევნიაო“. შეგახსენებთ ამ „არჩევანის“ რომელსაც გნებავთ ანალოგიას უახლესი ისტორიიდან, მაგალითად, შემდეგს: ინგლისმა მეორე მსოფლიო ომი პროპორციულად ყველაზე ნაკლები მსხვერპლით დაამთავრა: დაიღუპა სულ 380 ათასი კაცი (ოდნავ მეტი, ვიდრე ქართველები). როგორ ფიქრობს ჩვენი პრეზიდენტი: ხომ არ ჯობდა ინგლისისთვის ამ ადამიანთა სიცოცხლე დაეზოგა და თავიდანვე ჰიტლერს დაჰნებებოდა?

აუცილებელია ჩამოვთვალოთ ის ძირითადი მიზეზები და მიზნები, რომლებმაც გაანაპირობეს რუსეთის მხრიდან ეს ახალი აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. ქართველ ხელისუფალთა და აფსუა სეპარატისტთა ქმედების ერთი მიზანი ისაა, რომ გალის ქართველი მოსახლეობის თვალში მოახდინონ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, როგორც ასეთის, დისკრედიტაცია: აჩვენონ მისი უძლურება, ერთის მხრივ, და მისი დაუნდობლობა ამ მოსახლეობისადმი, ამ მოსახლეობის საგენოციდოდ გამეტება, მეორეს მხრივ. ამით ჰსურთ ამ მოსახლეობას საქართველოსათვის საერთოდ ზურგი აქცევინონ და ნიადაგი მოამზადონ ჩვენი სახელმწიფოსგან მთელი ზღვისპირეთის მოცილება ანუ ამიერკავკასიისა და შუაზიის კვლავ რუსეთის მონოპოლიური გავლენის სფეროში დატოვება. შევარდნაძის მმართველობისას და მასზე ცოტა ადრე ჩაბარებული „ლაშქრობები“ დასავლეთ საქართველოში ამ გეგმის ორგანული ნაწილები იყო. უდავოა, რომ ეს მიზანი პირველია ამ ბოლო ოპერაციის მიზანთა შორის.

გარდა ამისა, რუსეთსა და მის ქართველ დამქაშებს ამ „ოპერაციით“ განზრახული აქვთ ქართველობის ეთნიკური პოზიციის შესუსტება და ამით რუსეთის მიერ აფხაზეთის მისაკუთრებისათვის ხელის შეწყობა, ეს მისაკუთრება კი ნაწილია კავკასიონს აქეთ რუსული ჩექმებით გადმობიჯების და „დერეფნის“ ზონის პოტენციური დაუფლების საპერსპექტივო გეგმისა. ეს გეგმა გულისხმობს არა მხოლოდ „დერეფნისთვის“ ხელის შეშლას დღეს, არამედ (რაც მთავარია) ბაზის მომზადებას იმ დროისათვის (ნახევარი საუკუნის შემდეგ), როცა უძლეველი დასავლეთის უძლეველი ეკონომიკური ინტერესების ცენტრი სხვა რეგიონებისკენ გადაინაცვლებს და რუსეთის „მცოცავ იმპერიალიზმს“ კვლავ დაუდგება (ასე ფიქრობენ ეს ბრიყვები) ამიერკავკასიაში დამკვიდრების დრო.

მესამეც, ეს ახალი ლახვარი საქართველოს გულში ნაწილია საქართველოს საერთო დასუსტების გეგმისა, რომელიც წინ უნდა უძღოდეს საქართველოს იურიდიული დანაწევრების (მის ე. წ. ფედერალურ სახელმწიფოდ ქცევის) მომაკვდინებელ გეგმას.

დასასრულ, ამ ოპერაციის „დამკვეთი“ შეიძლება იყოს ხელისუფლების გარემოცვაც, რომელიც დაინტერესებულია, რომ დღევანდელ სიტუაციაში, როცა ელცინს თავის მოსახლეობასთან ურთიერთობა ძალიან უჭირს, ამ მარად და მარად აგრესიულად განწყობილი მოსახლეობის ყურადღება მისთვის საძულველი საქართველოს წინაალმდეგ წარმოებულ ახალ „ძლევამოსილ“ ოპერაციაზე გადაიტანონ.

შემატკივარი

საუბარი საშემოდგომო გამოცდებს მოსამართლეებიც ჩააბარებენ

მამაკაცთა საპირფარეშოში მობილურით შესულ გამოსაცდელ მოსამართლეს ფეხდაფეხ შეჰყოლია ქალი დამკვირვებელი და გამოცდის პეროდში ტელეფონით სარგებლობის გამო ოქმიც იქვე შეუდგენია. ბედმა უმტყუნა საცოდავ მოსამართლეს, თუმცა ოქმი საქმეს მაინც გაუფუჭებდა, ალბათ. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდებზე, თურმე, ყოველი პირის ყოველი კონკრეტული მოქმედება ფიქსირდებოდა. არც დამკვირვებლები, არც ჟურნალისტები ხელისუფალთ „ცუღლუტობის“ ნებას არ აძლევდნენ. ცოტაც და უმოსამართლოდ დავრჩებოდით, ალბათ. მადლობა ღმერთს, მშვიდობიანად დასრულდა მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდები. იმ ოცდათუთმეტიოდე მოსამართლესაც, გამოცდებს რომ „გადაურჩნენ“, სტანდარტების კიდევ არასაკმარისად მაღალ დონეს უნდა ვუმადლოდეთ თორემ... (უცხოელმა დამკვირვებლებმა კი განსაკუთრებულად მაღალი შეფასება მისცეს საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმას...) მართალია, შედეგების მაჩვენებლები ძალზე დაბალია, მაგრამ ერთი ნუგეში მაინც დაგვრჩენია. თურმე, როცა სხვა ქვეყნებში, მაგალითად ესპანეთში, კანდიდატები მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდებზე გადიან, მხოლოდ ერთი ან ორი პროცენტი, ხოლო ჰოლანდიაში მხოლოდ სამი პროცენტი აბარებს ხოლმე წარმატებით...

ასე რომ, მთელი სიმკაცრის და ობიექტურობის მიუხედავად (საგამოცდო ბილეთები კალიფორნიაში დაიბეჭდა და ბერლინის გავლით, დიპლომატიური ფოსტით ჩამოვიდა საქართველოში. ხოლო თავად გამოცდებს უცხოელი დამკვირვებლები ესწრებოდნენ), როგორც ბატონმა მიშა სააკაშვილმა ბრძანა უცხოეთთან შედარებით გამოცდის სტანდარტები კიდევ საკმარისად მაღალი არ ყოფილა.

— ჩვენ მოსამართლეთა გასული კანდიდატების რაოდენობრივი მონაცემებით კმაყოფილი არა ვართ. რაოდენობა იმ ხალხისა, ვინც გამოცდები ჩააბარა, ძალიან ცოტაა, მაგრამ ეს არც სისტემის ბრალია და არც საგამოცდო კომისიის, ეს არის უბედურება. მაჩვენებლები საგანგაშოა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ოქტომბერში ანალოგიურ გამოცდაზე, რომელიც ასევე მკაცრად ჩატარდება, მეტი ხალხი გავა — სწუხს და იმედოვნებს ბატონი მიშა სააკაშვილი.

სამწუხაროდ, როგორც გაირკვა, ყოველი მეცხრე კანდიდატიდან მხოლოდ ერთი გასულა... უხეშად რომ ვთქვათ, ეს იმაზე მეტყველებს, რომ არაკომპეტენტური მოსამართლეების ხელში ყოფილა ყველა უდანაშაულო-დამნაშავის ბედი და სასამართლო სტრუქტურაში არსებულ კორუფციის დონესაც თუ გავითვალისწინებთ, ყველა გასამართლებული მისჯილ-გათავისუფლებულის საქმეები ხელახლა გადასახედი გახდება. თუმცა, ამ საკითხით ჯერ არავინ დაინტერესებულა...

რაც შეეხება ძველ მოსამართლეებს ანუ უფრო სწორად ყოფილ მოსამართლეებს (რადგან ძველი და ახალის გარჩევა ცოტა ხანში მოისპობა), მეორე გამოცდებამდე კი გაუხანგრძლივდებათ უფლებამოსილება, მაგრამ იქ თუ არ „იმარჯვეს“, უსამსახუროდ დარჩებიან! იქნებ, იმ 500 ლარიანმა ხელფასმა მაინც უბიძგოთ, 1 აგვისტოდან რომ ეჭნებათ მოსამართლეებს, და საშემოდგომო გამოცდებისთვის მოემზადონ?

მანანა ლოგვინიძე

სატირა

ნიკოლოზ იოსებიძე

ვარადა

(ნოდარ დუმბაძისებურად)

ეობოდა ბიჭო, ეობოდა,
ობობეი გეგედეს ობოდა,
ხელგასი გექონდა,ეცხოეობდით
ჩეენთეის ძეიდდ და ხუხობოდა.
სკოლისთეის ობოლი გეზიღდა,
ობლი ის, ობლი ძობოდა,
ოგეული გეეობინეენთ
ძეიდეთ ბლბო გეგეობოდა.
ხობობ ხეენის ხბი ისოდა,
დაჯდილთ კეთესი გეხობოდა,
სისხლი ადინა ძაძ ძისა,
ყოდა კი ობო, ლეობოდა.
ძე ჯიბი იყო ბბეყიბ
ეინ ოსდეენს ძოიბობოდა,
ქართეული საქართეულოდინ
გეიქცა ეობო-ეობოდა.
სოლ ეთეოს ეოლობდ გეეყიდეთ
სკოლი, ძეიდა, კობოდა,
გეესხბილეთ, ოდეინ ეობჩინოთ
ოჯახი თოლიძეც ლობოდა.
ოდეიდეე ეისხდეთ ოსაქმოდ,
ესე ძუყოეიეთ, ხუხობოდ?!
ჯეი-ლონე გექონდა იდეენი
გეძოდეეობოდით სობოდ.

ხალხი დაძეიდა, ძეილდ იქცა,
ეიხს ძოეყენეე სობოდ,
ბლეხი ძოძილით დასოსდა,
ეერ ბადის დასბბობოდ.
ეინ გებძობილენს ქართეილენს
ძოლდ გეეხდეეოდით ობოდ,
ჩეენს კეყენს ოჯალთეს ძალოანისგინ
ბალოსი ექცეთ ჩეობოდ.
ქართეული ქალი ეეხის კოჯს
კბის კალთეით ბობეედ,
ეინ იეიქრეიდა ბბოდალის
ბნელ ბეხს თო ბეიკეალეედ.
სიძბობალოში ოსეებბ
დასყეხეს ოსოლი „ეობოდ“
სიძბობალოს და ბეხეზეთს
დეიბეეოონბ სხეე ობდ?!
ოოგოოც ყოეალთეის ოოსეებბ
ყეალ დიბბყოონალის დობოდ,
გბეგენეის, ბბეოეიყეთს
ლეთის ძესბნიობ ეხეობოდ.
ძეოის თებლის დასბთხბობდ,
ბბე ხიდესეი ხის ბყობოდ,
ბონყინებლე ბალიეიყოსი,
ბეებოდესეიბ ბეობოდ.

გაგრძელება. დას. იხ. „საქართველო“ № 35

ნოდარ ნათაძე

რაც ვიცი

იმ ეპოქის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქციებს შორის, რა თქმა უნდა, თავისი მასშტაბით, გამბედაობით და შეგნებული თავგანწირვით გამორჩეული იყო 1978 წლის 14 აპრილის სტუდენტური დემონსტრაცია ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, კონსტიტუციური სტატუსის დასაცავად. მისი მუხტი შორს სცილდებოდა დისიდენტური მოძრაობის ტიპობრივ საშუალო მუხტს და განპირობებული იყო იმით, რომ ქართული ენისათვის ამ სტატუსის მოხსნის მცდელობა იყო შეუქცევადი ნაბიჯი ერის ნიველირება-ასიმილაციისა და მისი სახელმწიფოებრივობის გაუქმების გზაზე. ამ დემონსტრაციაში თამრიკო ჩხეიძის ჯგუფის როლი განსაკუთრებით აქტიური იყო. ძალიან კარგად მახსოვს საზოგადოების რეაქცია ზვიად გამსახურდიას მონანიებით გამოსვლაზე მოსკოვის ტელევიზიით ამ დემონსტრაციიდან ცოტა ხნის შემდეგ (ჩანაწერი, თუ არ ვცდები, ცოტა ადრეული იყო), რომელიც ძალიან მძიმედ იყო აღქმული. ამ რეაქციის აზრი ასეთი იყო: ეროვნული მოძრაობის მედროშის ეს მონანება საშინელება იქნებოდა, მისი ვაჟკაცობისა და შემართების რეკორდი რომ ამ დროს უკვე გადალახული არ ყოფილიყო 14 აპრილის აქციის მიერო.

ეს იყო ჭეშმარიტად გმირული აქცია — პირველი წარმატებული ქუჩის აქცია საბჭოური დიქტატურის ისტორიაში საერთოდ, ისევე როგორც პირველი მასობრივი ქუჩური დემონსტრაცია სსრკ ტერიტორიაზე იყო თბილისის დემონსტრაცია 1956 წლის მარტში, რომელიც რუსულმა ჯარმა დახვრიტა და ხიშტებზე ააგო (მანამდეც, ცოტა ხნით ადრე იყო გამოსვლები, მაგრამ მხოლოდ საკონცენტრაციო ბანაკებში და არა ქალაქში). 1978 წლის 14 აპრილის აქცია იყო ამავე დროს პირველი გამოსვლა საქართველოში 1956 წლის ზემოხსენებული გამოსვლების მასობრივი დახვრეტის შემდეგ. ამიტომ სტუდენტები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელები და სხვანი, ვინც იმ დღეს ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის დასაცავად ქუჩაში გამოვიდნენ, ხელისუფლების მხრიდან დარბევასა და ხვრეტას ელოდნენ. ის, რომ კონსტიტუციის მიღების დღეს, თურმე, ქუჩაში სროლა მიღებული არ არის (14 აპრილი საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღების დღე) გახლდათ. უზენაესი საბჭოს შენობაში სესია მიმდინარეობდა, რომელიც მზად იყო ქართული ენის უფლებები ხელის მორჩილი აწევით დაესამარებინა) დემონსტრაციის მონაწილეებმა არ იცოდნენ. ისინი სიკვდილისთვის ემზადებოდნენ.

მე არ მაქვს უფლება ამ ამბის დრამატულ დეტალებზე ლაპარაკისა, რადგან იმათ, ვინც იმ აქციის მონაწილე და ორგანიზატორი იყო, ყოველივე ეს ჩემზე კარგად იციან. ჩემი კონტაქტი ამ ახალგაზრდებთან მხოლოდ იმით ამოინურა, რომ ნინაღამეს ორგანიზატორთა ერთ მცირე ჯგუფს ვესაუბრე დღევანდელ ჩუბინაშვილის ქუჩაზე იმ სახლში, სადაც ივ. ჯავახიშვილი ცხოვრობდა. მაგრამ იმას, რაც მერე სხვათა შორის მითხრეს სხვებმა, არამონაწილეებმა ამ დეტალთა შესახებ, მაინც გავიმეორებ. მითხრეს, რომ: ბიჭების ერთ მცირე ჯგუფს იარაღი ჰქონდა, რათა 9 მარტივით მართლა ცხრებივით არ დავხვრეტილიყავით. ისინი საკვანძო წერტილებში იყვნენ განლაგებულნი. გოგონებს კი ჩანთებში ბენზინის ბოთლები ედოთ იმ შემთხვევისთვის, თუ თავის დაწვა მოუხდებოდათ. ჯარი არ ჩანდა. ერთმა ჯარისკაცებიანმა ავტობუსმა დემონსტრაციულად გამოირა, მათ ავტომატები მუხლებზე ეყენათ. ეს კარგად ჩანს გარედან. მითხრეს (ეს არ მინახავს), რომ იმ ავტობუსს ახალგაზრდა რაიკომის მდივანი ქალბატონი ნათელა ალიიძე მიეჭრა და ავტომატები დაბლა დააწყობინა (მაგრამ ეს უკვე გამარჯვების შემდეგ მოხდა), დემონსტრანტები დაახლოებით 2 საათზე უნივერსიტეტიდან მოადგნენ რუსთაველის გამზირს, გაარღვიეს მილიციის კორდონი ოპერასთან და შეჩერდნენ მილიციის მეორე კორდონთან კავშირგაბმულობის სახლსა და რუსთაველის თეატრს შორის. იყო სიტყვები და ირ. აბაშიძის ლექსის „დედაო ენავ“ კითხვა (თვითონ ირ. აბაშიძე სესიაზე იმყოფებოდა, როგორც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე). სიტყვებში გამოსულნი მილიციის „კანარეიკის“ მიკროფონს იყენებდნენ და მათი ხმა მანქანის დინამიკებით ძლიერდებოდა. მანაქანა ორი თუ სამი იყო და მილიციის ოფიცრები დემონსტრანტებისადმი კეთილგანწყობილნი ჩანდნენ. იქ დგომა დაახლოებით ერთს საათს გაგრძელდა. რუსთაველის თეატრის კარები ღია იყო და მზად იყო ლტოლვილთა შესაფარავად იმ შემთხვევისათვის, თუ მათ თავის გადარჩენა დასჭირდებოდათ. მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თეატრის დირექტორი კაკო ბაქრაძე იყო. სხვა კარები მთელ რუსთაველის გამზირზე დაგმანული იყო — როგორც თქვეს, ბრძანებით, რათა დემონსტრანტებისთვის თავის გადარჩენის გზა მოეჭრათ (მართლა ასე იყო თუ არა, არ ვიცი). შემდეგ მილიციის ის ერთი კორდონიც გაირღვა (მართალი რომ ვთქვა, მილიციას წინააღმდეგობა არც გაუწევია) და დემონსტრაცია უზენაესი საბჭოს შენობის წინ გაჩერდა. აქ უსათუოდ უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან დიდი შიში იყო პროვოკაციისა, მაგალითად, გადაკეტავდნენ გზას ავტობუსებით. ერთზე დასვამდნენ რუს შოფერს. გვერდით მოუსვამდნენ „შვილს“, ვიზმე 14-15 წლის ბიჭს. შოფერი გამომწვევ რამეს იტყოდა, წამოარტყამდა ვიღაცა კეფაში და ატყდებოდა მერე პროპაგანდა, ქართველი ბრბო დიდ-პატარანადან რუსებს დაერიაო. ამიტომ დისციპლინა იმ დაახლოებით 5-10 ათასიან მასაში უკიდურესობამდე დახვეწილი იყო. ის ბოლო კორდონი რომ ირღვეოდა, ერთ მილიციის ოფიცერს ქუდი ასფალტზე დაუვარდა. ვიღაც ბიჭმა სწრაფად აიღო მონიწებით, გადაბერტყა, სული შეუბერა და ასევე მონიწებით მიაწოდა. მთავრობის სახლიდან გამოსული იყო ე. შევარდნაძე (იმ დროს ცკ პირველი მდივანი) თავისი გუნდით, რომელშიც მილიციის ყველა „ტუზი“ შევნიშნე, ვისაც კი სახით ვიცნობდი. ლაპარაკი იყო იმაზე, რომ მოსკოვში რეკავენ და ქართული ენის სტატუსის დატოვების ნებართვიას ითხოვენ რამდენიმე სხვადასხვა ვარიანტად. ბოლოს „ცენტრიდან“ ნებართვა მოვიდა და ქართული ენა საქართველოს სსრ სახელმწიფო ენად დარჩა. გამარჯვება მოპოვებული იქნა. მაგრამ მღელვარებისა ჯერ კიდევ ეშინოდათ. ა. შევარდნაძე ჩამოვიდა კიბეებზე და თავის მრავალრიცხოვან გუნდთან ერთად წრე დაარტყა კომუნარების ბაღის გავლით. თუ არ მეშლება, კეცხოველის ძეგლთან ამოუხვია ისევ ზევით. მას მთელი მასა გაჰყვა. ამან, რა თქმა უნდა, ატმოსფერო განმუხტა, რადგან მიმიტინგეები გამარჯვების ეიფორიამ მოიცვა. ერთი-ორი საათის შემდეგ ქუჩები უკვე ცარიელი იყო მთელი თბილისი ქეიფობდა და გამარჯვებას ზეიმობდა.

ე. შევარდნაძე იმ ეპიზოდის გმირად დარჩა. რატომ? იმიტომ, რომ მანამდე ორჯერ გამოვიდა ტელევიზიით საქართველოს ახალი კონსტიტუციის თემაზე და ისე ქნა, რომ მსმენელის ყურადღების ცენტრში კონსტიტუციის 75-ე მუხლი მოაქცია. სწორედ ეს მუხლი შეიცავდა ენათა უფლებების ახალ, ჩვენთვის მიუღებელ ფორმულირებას, რომელიც ქართულს საქართველოს სახელმწიფო ენის სტატუსს უკარგავდა. ეს გამოსვლები რომ არა, საზოგადოება პროექტის ამ მუხლის გაცნობიერებას და მასზე რეაგირების ორგანიზაციას ვერ მოასწრებდა.

მაგრამ ჩვენი ისტორიის ეს ეპიზოდი მაინც რთულია და მასზე ანალიტიკური წესით ორიოდე სიტყვით თქმა მაინც გვმართებს. ყოველ შემთხვევაში მე ჩემს თავს ვალდებულად ვთვლი ეს გავაკეთო. ჯერ ერთი, აკაკი ბაქრაძისაგან, რომელიც მაშინ რუსთაველის თეატრის დირექტორი იყო და ამიტომ ადმინისტრაციულ ზედაფენას თუ არ ეკუთვნოდა, მასში ტრიალებდა მაინც, ნაამბობი მაქვს, რომ დასაწყისში შევარდნაძე ცდილობდა თავისი კასტისთვის ჩვეული ზეწოლის მეთოდებით თავისი მორჩილი ზედაფენისათვის ამ მუხლის ენთუზიაზმით მიღება ეიძულებინა, ასე რომ თვით ა. ბაქრაძე ამათში თეთრ ყვავად დადიოდა იმ დროს. თუ არ ვცდები, ეს მას დაბეჭდილიც აქვს პრესაში. მეორეც, მე ამ თემაზე ჩემი ცნობებიც მაქვს და მინდა ახლა გადავცე მკითხველს. აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა, სპეციალობით ლინგვისტი, ერთ-ერთი ყველაზე რიხიანი და გავლენიანი კაცი იყო საქართველოს უმაღლესი ინტელიგენციის იმ ნაწილში, რომელსაც თავისი მგდომარეობა გამყიდველობითა და სხვა უბრალიპო ქმედებებით არ ჰქონდა ნაყიდი. ამ ფიზიკურად სუსტი და საშუალოზე პატარა ტანის კაცის გავლენისუნარიანობა, ხელისუფლებაზე ზემოქმედების ჩათვლით, დამყარებული იყო ერთის მხრივ მის პირად თვისებებზე, სახელდობრ მის „რიხიან“ ბუნებაზე, რომელიც ვახსენე, მეორეს მხრივ იმაზე, რომ იგი ის კაცი იყო, ვინც 1950 წელს სტალინი დაითანხმა ნიკო მარის ყოვლად ფანტასტიკური ზოგადეთნმეცნიერული კონცეფციისათვის (ე. წ. „ახალი მოძღვრებისათვის ენის შესახებ“) ერთადერთი „მარქსისტული ენათმეცნიერების“ სტატუსი არ მიეცა და ამით სსრკ-ში ლინგვისტური მეცნიერება არ დაეხრჩო. არნოლდ ჩიქობავამ მასზე გამარჯვება მრავალწლიანი და მტკიცე ბრძოლით მოიპოვა, რომელიც ჯერ კიდევ მარის სიცოცხლეში ჰქონდა დაწყებული (ნიკო მარი გარდაიცვალა 1934 წელს) და რომელიც შემდგომ წლებში მისთვის უკვე სახიფათო იყო. სტალინთან საუბრები (რომელსაც მისი თავი საქართველოს ცკ-მ წარუდგინა ბერიას დახმარებით) ამ ბრძოლის მხოლოდ უკანასკნელი ეპიზოდი იყო. შემდეგ, ხრუშჩოვის ინიციატივით სტალინის სიკვდილშემდგომი „კულტის“ დამხობა რომ დაიწყო, ა. ჩიქობავას შესთავაზეს, დაწერეთ, რომ სტალინს „გენიალური ნაშრომი ენათმეცნიერების შესახებ“ (1950 წ.), რომელმაც „პრავდაში“ სტალინს განკარგულებით გახსნილ საენათმეცნიერო დისკუსიის ბედი გადაწყვიტა მარქსიზმის საზარალოდ, თქვენი დაწერილი ან თქვენი გავლენით დაწერილი იყოო. ჩიქობავამ უარი თქვა, რისთვისაც იგი შერისხეს და სამუდამოდ გამოიყვანეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შემადგენლობიდან. სინამდვილეში ჩიქობავას როლი სტალინს შორმის შექმნაში ის იყო, რომ მან ხანგრძლივი საუბრის მანძილზე სტალინი რამდენიმე ზოგადლინგვისტური პრობლემის კურსში შეიყვანა, მაგრამ შეიყვანა, ცხადია, იმგვარად, როგორც ეს მის საკუთარ გაგებას შეესაბამებოდა. (ეს, რა თქმა უნდა, არ ეხება მარის კონცეფციის მარქსიზმთან მიმართების საკითხს: არის თუ არა ენა ბაზისს „ზედნაშენი“, და სხვა ამგვარივე, თითიდან გამოწოვილი და საგნისადმი სრულებით არაადექვატური მარქსისტული ფსევდოსაკითხები ჩიქობავას, ცხადია, არ აინტერესებდა). სიტყვას მოიტანა და უნდა ვთქვა. ჩემი უკანასკნელი შეხვედრისას არნოლდ ჩიქობავასთან მის ბინაში, როდესაც იგი უკვე საბოლოოდ იყო მიჯაჭვული ლოგინზე, მაგრამ უაღრესად საინტერესო და მახვილ ანალიტიკოს მოსაუბრედ რჩებოდა, მან გაიხსენა, რომ სტალინს ეშინოდა ამ დისკუსიის „პრავდაში“ დაწყებისა. დიახ, მას ეშინოდა რუსეთის ინტელიგენციისა და „ინტელიგენციისა“, რომლებიც ფეხქვეშ ჰყავდა გაგებული, რადგან არ უნდოდა იმის დაშვება, რომ მის ზურგს უკან მის არასაკმარის კომპეტენტურობაზე მითქმა-მოთქმა დაეწყოთ. „ა კაკ ნა ეტო პოსმოტრიტ რუსსკაია ნაუკა?“ — უკითხავს თურმე მას, როცა დისკუსიის დაწყება უკვე თითქმის გადაწყვეტილი ჰქონდა. მისი ეჭვები გააქრწყალა არნ. ჩიქობავას პასუხმა „აკადემიკოსი ვინოგრადოვი ჩვენს მხარეზეაო“ (ვინოგრადოვი იყო ფრიად ერუდირებული და რუსეთში დიდად პატივცემული ლინგვისტი და ფილოლოგი, რომლის ნაწერებშიც ასეული გვერდების მანძილზე ერთ ცოცხალ აზრს ვერ ნახავთ). მართლაც, „პრავდის“ ფურცლებზე ჩიქობავას წერილის შემდეგ მესამე წერილად ვინოგრადოვის ანტიმარისტული წერილი დაიბეჭდა. აი, ამ ჯიუტსა და უტეხ კაცს, რომელიც არაოფიციალურად ხელმძღვანელობდა საქართველოს იმ დროს ფრიად განშტოებული ლინგვისტური მეცნიერების ნახევარზე მეტს და რომელსაც, სხვათა შორის, დაწერილი ჰქონდა შესავალი წერილი სათაურით „ქართული ენა“ ქართული ენის რვატომიანი განმარტებითი ლექსიკონსათვის, საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტის წარმოდგენამდე რამდენიმე წლით ადრე დაევალა ქართული ენციკლოპედიისათვის ამავე სათაურთი წერილის დაწერა. არნ. ჩიქობავა ჭვიანი კაცი იყო და როგორც კარგად მახსოვს, მისი მოქმედებიდან და მასთან არაერთი საუბრიდან, მას კარგად ესმოდა სახელმწიფოებრივი სტატუსს, კონსტიტუციის დეტალების მანული იყო — როგორც თქვეს, ბრძანებით, რათა დემონსტრანტებისთვის თავის გადარჩენის გზა მოეჭრათ (მართლა ასე იყო თუ არა, არ ვიცი). შემდეგ მილიციის ის ერთი კორდონიც გაირღვა (მართალი რომ ვთქვა, მილიციას წინააღმდეგობა არც გაუწევია) და დემონსტრაცია უზენაესი საბჭოს შენობის წინ გაჩერდა. აქ უსათუოდ უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან დიდი შიში იყო პროვოკაციისა, მაგალითად, გადაკეტავდნენ გზას ავტობუსებით. ერთზე დასვამდნენ რუს შოფერს. გვერდით მოუსვამდნენ „შვილს“, ვიზმე 14-15 წლის ბიჭს. შოფერი გამომწვევ რამეს იტყოდა, წამოარტყამდა ვიღაცა კეფაში და ატყდებოდა მერე პროპაგანდა, ქართველი ბრბო დიდ-პატარანადან რუსებს დაერიაო. ამიტომ დისციპლინა იმ დაახლოებით 5-10 ათასიან მასაში უკიდურესობამდე დახვეწილი იყო. ის ბოლო კორდონი რომ ირღვეოდა, ერთ მილიციის ოფიცერს ქუდი ასფალტზე დაუვარდა. ვიღაც ბიჭმა სწრაფად აიღო მონიწებით, გადაბერტყა, სული შეუბერა და ასევე მონიწებით მიაწოდა. მთავრობის სახლიდან გამოსული იყო ე. შევარდნაძე (იმ დროს ცკ პირველი მდივანი) თავისი გუნდით, რომელშიც მილიციის ყველა „ტუზი“ შევნიშნე, ვისაც კი სახით ვიცნობდი. ლაპარაკი იყო იმაზე, რომ მოსკოვში რეკავენ და ქართული ენის სტატუსის დატოვების ნებართვიას ითხოვენ რამდენიმე სხვადასხვა ვარიანტად. ბოლოს „ცენტრიდან“ ნებართვა მოვიდა და ქართული ენა საქართველოს სსრ სახელმწიფო ენად დარჩა. გამარჯვება მოპოვებული იქნა. მაგრამ მღელვარებისა ჯერ კიდევ ეშინოდათ. ა. შევარდნაძე ჩამოვიდა კიბეებზე და თავის მრავალრიცხოვან გუნდთან ერთად წრე დაარტყა კომუნარების ბაღის გავლით. თუ არ მეშლება, კეცხოველის ძეგლთან ამოუხვია ისევ ზევით. მას მთელი მასა გაჰყვა. ამან, რა თქმა უნდა, ატმოსფერო განმუხტა, რადგან მიმიტინგეები გამარჯვების ეიფორიამ მოიცვა. ერთი-ორი საათის შემდეგ ქუჩები უკვე ცარიელი იყო მთელი თბილისი ქეიფობდა და გამარჯვებას ზეიმობდა.

ე. შევარდნაძე იმ ეპიზოდის გმირად დარჩა. რატომ? იმიტომ, რომ მანამდე ორჯერ გამოვიდა ტელევიზიით საქართველოს ახალი კონსტიტუციის თემაზე და ისე ქნა, რომ მსმენელის ყურადღების ცენტრში კონსტიტუციის 75-ე მუხლი მოაქცია. სწორედ ეს მუხლი შეიცავდა ენათა უფლებების ახალ, ჩვენთვის მიუღებელ ფორმულირებას, რომელიც ქართულს საქართველოს სახელმწიფო ენის სტატუსს უკარგავდა. ეს გამოსვლები რომ არა, საზოგადოება პროექტის ამ მუხლის გაცნობიერებას და მასზე რეაგირების ორგანიზაციას ვერ მოასწრებდა.

მაგრამ ჩვენი ისტორიის ეს ეპიზოდი მაინც რთულია და მასზე ანალიტიკური წესით ორიოდე სიტყვით თქმა მაინც გვმართებს. ყოველ შემთხვევაში მე ჩემს თავს ვალდებულად ვთვლი ეს გავაკეთო. ჯერ ერთი, აკაკი ბაქრაძისაგან, რომელიც მაშინ რუსთაველის თეატრის დირექტორი იყო და ამიტომ ადმინისტრაციულ ზედაფენას თუ არ ეკუთვნოდა, მასში ტრიალებდა მაინც, ნაამბობი მაქვს, რომ დასაწყისში შევარდნაძე ცდილობდა თავისი კასტისთვის ჩვეული ზეწოლის მეთოდებით თავისი მორჩილი ზედაფენისათვის ამ მუხლის ენთუზიაზმით მიღება ეიძულებინა, ასე რომ თვით ა. ბაქრაძე ამათში თეთრ ყვავად დადიოდა იმ დროს. თუ არ ვცდები, ეს მას დაბეჭდილიც აქვს პრესაში. მეორეც, მე ამ თემაზე ჩემი ცნობებიც მაქვს და მინდა ახლა გადავცე მკითხველს. აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა, სპეციალობით ლინგვისტი, ერთ-ერთი ყველაზე რიხიანი და გავლენიანი კაცი იყო საქართველოს უმაღლესი ინტელიგენციის იმ ნაწილში, რომელსაც თავისი მგდომარეობა გამყიდველობითა და სხვა უბრალიპო ქმედებებით არ ჰქონდა ნაყიდი. ამ ფიზიკურად სუსტი და საშუალოზე პატარა ტანის კაცის გავლენისუნარიანობა, ხელისუფლებაზე ზემოქმედების ჩათვლით, დამყარებული იყო ერთის მხრივ მის პირად თვისებებზე, სახელდობრ მის „რიხიან“ ბუნებაზე, რომელიც ვახსენე, მეორეს მხრივ იმაზე, რომ იგი ის კაცი იყო, ვინც 1950 წელს სტალინი დაითანხმა ნიკო მარის ყოვლად ფანტასტიკური ზოგადეთნმეცნიერული კონცეფციისათვის (ე. წ. „ახალი მოძღვრებისათვის ენის შესახებ“) ერთადერთი „მარქსისტული ენათმეცნიერების“ სტატუსი არ მიეცა და ამით სსრკ-ში ლინგვისტური მეცნიერება არ დაეხრჩო. არნოლდ ჩიქობავამ მასზე გამარჯვება მრავალწლიანი და მტკიცე ბრძოლით მოიპოვა, რომელიც ჯერ კიდევ მარის სიცოცხლეში ჰქონდა დაწყებული (ნიკო მარი გარდაიცვალა 1934 წელს) და რომელიც შემდგომ წლებში მისთვის უკვე სახიფათო იყო. სტალინთან საუბრები (რომელსაც მისი თავი საქართველოს ცკ-მ წარუდგინა ბერიას დახმარებით) ამ ბრძოლის მხოლოდ უკანასკნელი ეპიზოდი იყო. შემდეგ, ხრუშჩოვის ინიციატივით სტალინის სიკვდილშემდგომი „კულტის“ დამხობა რომ დაიწყო, ა. ჩიქობავას შესთავაზეს, დაწერეთ, რომ სტალინს „გენიალური ნაშრომი ენათმეცნიერების შესახებ“ (1950 წ.), რომელმაც „პრავდაში“ სტალინს განკარგულებით გახსნილ საენათმეცნიერო დისკუსიის ბედი გადაწყვიტა მარქსიზმის საზარალოდ, თქვენი დაწერილი ან თქვენი გავლენით დაწერილი იყოო. ჩიქობავამ უარი თქვა, რისთვისაც იგი შერისხეს და სამუდამოდ გამოიყვანეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შემადგენლობიდან. სინამდვილეში ჩიქობავას როლი სტალინს შორმის შექმნაში ის იყო, რომ მან ხანგრძლივი საუბრის მანძილზე სტალინი რამდენიმე ზოგადლინგვისტური პრობლემის კურსში შეიყვანა, მაგრამ შეიყვანა, ცხადია, იმგვარად, როგორც ეს მის საკუთარ გაგებას შეესაბამებოდა. (ეს, რა თქმა უნდა, არ ეხება მარის კონცეფციის მარქსიზმთან მიმართების საკითხს: არის თუ არა ენა ბაზისს „ზედნაშენი“, და სხვა ამგვარივე, თითიდან გამოწოვილი და საგნისადმი სრულებით არაადექვატური მარქსისტული ფსევდოსაკითხები ჩიქობავას, ცხადია, არ აინტერესებდა). სიტყვას მოიტანა და უნდა ვთქვა. ჩემი უკანასკნელი შეხვედრისას არნოლდ ჩიქობავასთან მის ბინაში, როდესაც იგი უკვე საბოლოოდ იყო მიჯაჭვული ლოგინზე, მაგრამ უაღრესად საინტერესო და მახვილ ანალიტიკოს მოსაუბრედ რჩებოდა, მან გაიხსენა, რომ სტალინს ეშინოდა ამ დისკუსიის „პრავდაში“ დაწყებისა. დიახ, მას ეშინოდა რუსეთის ინტელიგენციისა და „ინტელიგენციისა“, რომლებიც ფეხქვეშ ჰყავდა გაგებული, რადგან არ უნდოდა იმის დაშვება, რომ მის ზურგს უკან მის არასაკმარის კომპეტენტურობაზე მითქმა-მოთქმა დაეწყოთ. „ა კაკ ნა ეტო პოსმოტრიტ რუსსკაია ნაუკა?“ — უკითხავს თურმე მას, როცა დისკუსიის დაწყება უკვე თითქმის გადაწყვეტილი ჰქონდა. მისი ეჭვები გააქრწყალა არნ. ჩიქობავას პასუხმა „აკადემიკოსი ვინოგრადოვი ჩვენს მხარეზეაო“ (ვინოგრადოვი იყო ფრიად ერუდირებული და რუსეთში დიდად პატივცემული ლინგვისტი და ფილოლოგი, რომლის ნაწერებშიც ასეული გვერდების მანძილზე ერთ ცოცხალ აზრს ვერ ნახავთ). მართლაც, „პრავდის“ ფურცლებზე ჩიქობავას წერილის შემდეგ მესამე წერილად ვინოგრადოვის ანტიმარისტული წერილი დაიბეჭდა. აი, ამ ჯიუტსა და უტეხ კაცს, რომელიც არაოფიციალურად ხელმძღვანელობდა საქართველოს იმ დროს ფრიად განშტოებული ლინგვისტური მეცნიერების ნახევარზე მეტს და რომელსაც, სხვათა შორის, დაწერილი ჰქონდა შესავალი წერილი სათაურით „ქართული ენა“ ქართული ენის რვატომიანი განმარტებითი ლექსიკონსათვის, საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტის წარმოდგენამდე რამდენიმე წლით ადრე დაევალა ქართული ენციკლოპედიისათვის ამავე სათაურთი წერილის დაწერა. არნ. ჩიქობავა ჭვიანი კაცი იყო და როგორც კარგად მახსოვს, მისი მოქმედებიდან და მასთან არაერთი საუბრიდან, მას კარგად ესმოდა სახელმწიფოებრივი სტატუსს, კონსტიტუციის დეტალების მუხლი, სადაც ნათქვამი იყო, რომ საქართველოს სსრ ტერიტორიის საბჭოს უფლება აქვს [illegible] ტორიული ავტონომიები შექმნას (თუმცა არსად იყო ნათქვამი, რომ მას უფლება აქვს არსებულ ავტონომიათა გაუქმებისა). ბუნებრივად იბადება კითხვა: ხომ არ იყო ქართველი ერის მიერ ქართული ენის სტატუსის სამკვიდრო-სასიცოცხლო დაცვა 14 აპრილის სადემონსტრაციით მოსკოვის მიერ გათვლილი ერთ-ერთი (რა თქმა, უნდა თვისთავად არასასურველ, მაგრამ დასაშვებ) ვარიანტად მოვლენათა განვითარების მათთვის სამომავლოდ საჭირო ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლის — ტერიტორიულ ავტონომიათა შექმნის უფლების დაკანონების პირობით?

ვინ მრევლი და იდეური მემკვიდრენი იყვნენ ის ახალგაზრდები, რომლებმაც 1978 წლის 14 აპრილის დემონსტრაცია მოაწყვეს, ეს უკვე ვახსენეთ ზემოთ: მათი აღზრდა თუ არა (რადგან ეროვნულ აღმზრდელად საქართველოში, ჯერჯერობით მაინც, ისევ ქართული ისტორია რჩება), მათი ეროვნული მოქმედებისათვის მობილიზება მაინც შედეგი იყო ა. ბაქრაძის ლექციებისა და ზ. გამსახურდიასა და მისი ჯგუფის დისიდენტურ ფორმაში მოქცეული მოღვაწეობისა. ამ ახალგაზრდებზე მაშინ მიხ. ნანეიშვილმა თქვა „ესენი თავისი გარყვნილი მშობლების შვილები კი არ აღმოჩნდნენ, არამედ თავისი უფრო შორეული წინაპრების შთამომავალნიო.“ თავისუფლების, ეროვნული ღირსებისა და იმედის სულისკვეთება, რომელიც 14 აპრილის გამარჯვებამ განამტკიცა, ამ დღის მომდევნო რამდენიმე წლის მანძილზე განურყველად იზრდებოდა. რეპრესიული რეჟიმი შევარდნაძის ხელმძღვანელობით, შეიძლება ითქვას, მძიმე იყო, — ყოველ შემთხვევაში, უფრო მძიმე ვიდრე მჟავანაძისა (ამ უკანასკნელს აკმარეს 9 მარტის სისხლი და იმპერიის ერთგულების ახალ საბუთებს აღარ სთხოვდნენ) და, მე მგონი, უფრო მძიმე, ვიდრე ამას აუცილებლობა ან მხოლოდ შევარდნაძის კარიერის ინტერესები მოითხოვდა. 14 აპრილის ერთი წლის თავზე ძირითადად სტუდენტობის მონაწილეობით (და თამარ ჩხეიძის ჯგუფის დიდი აქტივობით) მოეწყო ამ დღის აღნიშნვა სვეტიცხოველთან, რომელზეც ფართოდ ფიგურირებდა ზ. გამსახურდიასა და მ. კოსტავას სახელი. ამ აქციას მილიციის ძალიან მკაცრი წინააღმდეგობა შეხვდა.

1983 წლისათვის მიღებული იყო უაღრესად უნიჭო და, ამასთან, ანტიმეცნიერული გადაწყვეტილება 1783 წლის ტრატატების, როგორც, რუსეთთან საქართველოს შეერთების თარიღის, საზეიმოდ აღნიშვნის შესახებ. შევარდნაძე, როგორც იტყვიან, ნემსის ყუნწში ძვრებოდა, რომ მოსკოვის ყურადღება მიექცია, და, შესაძლოა, მისი დროის ამ მეტჩრული აქტივობის დამსახურებაც იყო, სოციალისტური სუპერსამშობლოს წინაშეც „რუსეთთან ნებაყოფლობითი შეერთების“ ფორმულა რომ ცეხცლითა და მახვილით დაპჯრობილ „მომეე რესპუბლიკებზე“ და ავტონომიურ რესპუბლიკებზე მექანიკურად გავრცელდა. ამ დროს გაკეთდა გ. ლორთქიფანიძის ყოვლად უნიჭო მრავალსერიანი ფილმი ამ თემაზე „წიგნი ფიცისა“. ამ იუბილესთან ბრძოლის კამპანის მსვლელობაში, რომელსაც ძირითადად გ. მამულია უდგა სათავეში, დააპატიმრეს. ჯგუფურად და ცალ-ცალკე რამდენმე ადამიანი, მათ შორის ირ. წერეთელი, გ. ჭანტურია, თ. ჩხეიძე და ზ. ცინცაძე. ეს დაპატიმრებები პრიმიტიულ პროვოკაციას წარმოადგენდა, რადგან პროკლამაციები, რომლებსაც ავრცელებდნენ, კანონსაწინააღმდეგოს არაფერს შეიცავდა, ხოლო დემონსტრანტების მიერ ვითომცდა „ნესრიგის დარღვევა“ ლაღიძის წყლებთან, რისთვისაც დაპატიმრეს თ. ჩხეიძე და ზ. ცინცაძე, თეთრი ძაფით შეკერილი ყალბი ბრალდება იყო. სასამართლომ ყველას რამდენიმე წლით პატიმრობა მიუსაჯა. ეს ბინძური რეპრესიები, ისევე როგორც უნიჭო იუბილე, რამდენადაც უაზრო იყო, იმდენადვე კანონსაწინააღმდეგო: მათ არაფერი მოჰქონდათ არც იმპერიის ინტერესებისათვის, არც შევარდაძის წინსვლისათვის. მაგრამ ყველა მნიშვნელოვან ფაქტს ახნა უნდა და მათ შორის ამ რეპრესიების ფაქტსაც, ჩემი გაგებით, ეს იყო რუსეთისადმი ერთხელ და სამუდამოდ შინაგანად დაქვემდებარებული კაცის ქვეცნობიერებიდან ამოფრქვეული ბოლმა იყო იმ აზრის წინააღმდეგ, რომ რუსეთის ბატონობას საქართველოში, ადრე თუ გვიან, ბოლო უნდა მოჰქლებოდა. ეს უაღრესად მუხტიანი მძულვარება მე ისევე პათოლოგიურ მიზნად მქსახება, როგორც ვერგატაკებული და კვლავ თბილისში დასმული 180 მგზავრიანი თვითმფრინავისთვის ტყვიამფრქვევის ცეცხლის გახსნა დაჯდომის დროს და შემდეგ გამტაცებელთა უგამონაკლისო დახვრეტა. იმის გამო, რომ მათ საბჭოთა სინამდვილის და კერძოდ — საქართველოს სსრ-ის მიტოვება არჩიეს. იმ ბნელ ქველცნობიერებას იმ დროს სრული და შეუზღუდავი გალაღების ობიექტური შესაძლებლობა ჰქონდა.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ ნათაძე
რაც ვიცი

მეექვსე გვერდიდან



რაც შეეხება დათრგუნული მასის, და ამ მასაში — ნაიძულები უკანონობითა და ხაზინის ქურდობით მაცხოვრებელი ოჯახების შვილთა სულისკვეთებას, იგი, შეიძლება ითქვას, გამოლვიძების იმ ნეტარებაში ცურავდა, რომელსაც, ალბათ, ბუნება განიცდის გაზაფხულის დადგომისას. მაგრამ მოვლენებში მასა ჯერ ჩართული არ იყო, იგი მათ გვერდით იდგა ჯერ და გვერდიდან შეპყურებდა და შეეხაროდა. იმ ადრინან ფრთხილ პროკლამაციაზე, რომელიც „ტრაქტატის იუბელეზე" გაავრცელეს, ორი ქალი მელაპარაკა. ერთმა, პოლიკლინიკის ახალგაზრდა ექიმმა, მაჩვენა და წამაკითხა, უცნობ კაცს, სასოებით შენახული პატარა ფურცელი და თავის ქნევით მის შემქმნელთ და გამავრცელებელთ გადარჩენა უსურვა. მეორემ, ჩემი ბიძაშვილის ცოლმა, ყურში მითხრა, ჩვენ სადარბაზოში ვნახე გაკრული, შიშით ჩამოვგლიჯე და გავანადგურეო, „რატომ გაანადგურეთეთქი? იცი, რომ ეს პროკლამაცია ახალგაზრდებს სიცოცხლის ფასად უჯდებათ-მეთქი?" თავი დამიქნია, მაგრამ ამ ჭეშმარიტების გათავისების დრო ჯერ მთლად არ იყო მოსული.

ნოდარ ნათაძე

გაგრძელება იძნება

ავტორისაგან: ბუნებრივია, რომ წინამდებარე პუბლიკაცია, რომელიც მხვავე ფაქტებს და ბიოგრაფიების მწვავე მომენტებს ეხება, ძალიან ბევრ გამოპასუხებას, შედავებას, დაზუსტებას, შევსებას და სხვა სახის კორექტირებას გამოიწვევს. ეს საურველია და პუბლიკაციის მიზანს შეესაბამება, რადგან ხელს უწყობს მთლიანი სურათის სისრულეს. „საქართველოს" წინა ნომერში ვიქტორ (დოდო) რცხილაძის ბედის თხრობისას მე გამომრჩა (რადგან არ ვიცოდი) ის ფაქტი, რომ ზ. გამსახურდიასა და მ. კოსტავას დაპატიმრებიდან (რაც 1976 წელს მოხდა და არა 1977 წელს) რამდენიმე თვის შემდეგ იგიც დაპატიმრებულ იქნა, პატიმრობა მიესაჯა 2 წლით და 6 თვით, ხოლო ამ ვადის მოხდის შემდეგ გადასახლებული იყო კაზახსტან-ჩინეთის საზღვარზე კიდევ ორი წლით. ბოდიშს ვუხდი ბატონ ვ. რცხილაძეს ამ შეცდომისთვის და მადლობას მოვახსენებ ინფორმაციისათვის. აქვე ვაქვეყნებ ერთ-ერთ დოკუმენტს, რომლითაც ეს ფაქტი ჩანს.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო
29 იანვარი, 1998 წ;
ქ. თბილისი

ცნობა

ეძლევა მოქ. ვიქტორ გიორგის ძე რცხილაძეს დაბ. 1941 წ. ქ. თბილისში, მასზედ, რომ ნამდვილად დაპატიმრებული იქნა 1978 წ. 25 იანვარს საქართველოს სსრ ყოფილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამოძიებო განყოფილების მიერ და შემდგომ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 1978 წლის 6 სექტემბერის განაჩენით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე (ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტების ან ცალკეული განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩადენის მიზნით, გავრცელება იმავე მიზნით ცილისმწამებლური მონაჭორისა, რომელიც სახელს უტეხს საბჭოთა სახელმწიფოს და საზოგადოებრივ წყობილებას, აგრეთვე იმავე მიზნით ასეთივე შინაარსის ლიტერატურის გავრცელება, დამზადება ან შენახვა) მუხლის საფუძველზე მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 6 თვის ვადით შემდგომი გასახლებით — 2 წლით. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილი ჩაეთვალა პირობითად სამი წლის გამოსაცდელი ვადით და დაეტოვა გასახლება 2 წლით.

გასახლებას, იხდიდა ყაზახეთის სსრ ტალდი-კურგანის ოლქის კარაბელის რაიონში.

განყოფილების უფროსი
ი. ბირონოვი

გულაბერ კლარჯი
სომხეთის ხელისუფლების რუსულენოვანი გაზეთიც ებრძვის საქართველოს

პატიოსან ქართველ ისტორიკოსს დღეს, სამწუხაროდ, ისეთ მძიმე პირობებში უხდება ცხოვრება და მუშაობა, რომ მას ქართული ჟურნალ-გაზეთების შესაძენი სახსრებიც არ მოეპოვება და მით უფრო არ მიუწვდება ხელი სომხურ პრესაზე. სომხური ჟურნალ-გაზეთები აღარც ჩვენს ბიბლიოთეკებში შემოდის. ახალქალაქში გამოდის საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სომხური გაზეთი „ჯავახქ" და ჩვენთვის მისი წაკითხვაც გადაუჭრელი პრობლემაა, ვერც ამ გაზეთს ვშოულობთ. მხოლოდ იშვიათად, კანტი-კუნტად ვიგებთ, რომ სომხურ პრესაში იბეჭდება ქართველი ხალხისთვის მიუღებელი მასალები. ამგვარი წერილები თავისუფალ სომხურ პრესაში რომ უხვად იქნება (სხვათა შორის, სომეხი მკვლევარები, ჩვენგან განსხვავებით, ყველაფერს იგებენ, ქართულ პრესაში საქართველო-სომხეთის ურთიერთობის თაობაზე რაც კი დაისტამბება), ამას ადასტურებს ის, რომ სომხეთის სამთავრობო გაზეთიც, ოფიციოზი, რუსულენოვანი „რესპუბლიკა არმენია" (დაარსებულია 1990 წ. სექტემბერში სომხეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ) ილაშქრებს საქართველოს წინააღმდეგ. მოსალოდნელია, თავისუფალი სომხური პრესა გაცილებით შორს მიდის, მაგრამ ჩვენში რატომღაც არავინ ზრუნავს, რომ მათ საკადრისი პასუხი გავცეთ. როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლებას ეშინია სომხეთისა და არსებული დაძაბულობის მიფუჩეჩებას ცდილობს. ამგვარ პოლიტიკას ჩვენი ქვეყნისთვის სარგებლობა არასოდეს მოუტანია და, ალბათ, არც ამჟამად დაგვაყრის ხეირს. სომხეთმა შეძლო 1921 წელს ძირძველი ქართული მინა-წყლის, ქვემო ქართლის სამხრეთ ნაწილის, ლორე-ტაშირის მისაკუთრება, ხოლო დღეს დიდი საფრთხე ემუქრება შოთა რუსთაველის მშობლიურ მხარეს, ჯავახეთს (აქ სომხები რუსეთის იმპერიის ნებით ჩამოასახლეს XIX ს-ის 30-იანი წლებიდან). სომხები ყველაფერს აკეთებენ საქართველოსგან მის მოსაგლეჯად და სომხეთთან შესაერთებლად. შემდეგ სამცხეზე, ახალციხის რეგიონზე მიიტანენ იერიშს და ბათუმისკენაც ეცდებიან გზის გახსნას.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გვესახება სერგო ტერ-აკოფიანცის ნერილიც — „რევოლუციის დოლაბში" (ქვესათაურით — „ბოლშევიკების აღმოსავლური პოლიტიკა"), რომელიც გაგრძელებებით დაიბეჭდა 22, 23, 24 აპრილის გაზეთ „რესპუბლიკა არმენიაში". მოვიტანთ რამდენიმე ადგილს ამ წერილიდან. ბრესტ-ლიტოვსკის ზავით, თურქეთს გადაეცაო არა მარტო დასავლეთი სომხეთი, „არამედ აღმოსავლეთ სომხეთის დიდი ნაწილიც — ყარსი, არდაგანი, სურამლუ." ტერ-აკოფიანცი მეორეგანაც აცხადებს არტაანს, არდაგანს სომხურ მინა-წყლად. ბრესტის ზავით, ბოლშევიკურმა რუსეთმა ბათუმიც თურქეთს გადასცა. ჯერჯერობით ტერ-აკოფიანცი და სომხეთის სამთავრობო გაზეთი თავს იკავებენ და ბათუმს აშკარად არ აცხადებენ სომხეთის ნაწილად, მაგრამ ამას შეფარვით, შენიღბულად მაინც აკეთებენ. სეფრის ხელშეკრულებით, რომელსაც 1920 წლის 10 აგვისტოს ანტანტის სახელმწიფოებთან ერთად ხელი მოაწერაო დაშნაკური სომხეთის პარლამენტის თავჯდომარემ ავეტის აარონიანმა, „სომხეთს გადაეცა 170 ათასი კვ. კმ. ტერიტორია შავ ზღვაზე გასასვლელით." აქ მკითხველთა ფართო წრე, (მათ შორის რუსი მკითხველიც) ბათუმსაც სომხეთის ნაწილად მიიჩნევს. ტერ-აკოფიანცსაც და სამთავრობო გაზეთის რედაქციასაც, ეტყობა, ეს უნდათ. მათაც იგივე გეგმები აქვთ, რაც სომხეთის დაშნაკურ მთავრობას ჰქონდა 1918-1920 წლებში. ტერ-აკოფიანცს მოაქვს აარონიანის სიტყვებიც: „ის, ვინც თავზე გადაგვახია სევრის ხელშეკრულება — სომეხი ხალხის თავისუფლების ქარტია, საუკუნო მტერია სომეხი ერისა." სომხეთის განთავისუფლების საწინააღმდეგო ჩვენ არაფერი გვაქვს, მაგრამ თუკი სომხეთის სახელმწიფოს ტერიტორია, დღევანდელთან შედარებით დაახლოებით ექვსჯერ გაიზრდებოდა, 170 ათასი კვ. კმ. გახდებოდა და შავ ზღვაზე გასასვლელსაც მოიპოვებდა, ეს იმას ნიშნავს, რომ თითქმის ნახევარი საქართველო სომხეთის ნაწილი უნდა გამხდარიყო. ყოველ შემთხვევაში, ფართო მკითხველი ამ მასალებს სხვანაირად ვერ გაიაზრებს. არადა, ავტორიც და რედაქციაც აშკარად აძალევენ თავიანთ მკითხველებს შესაძლებლობას, მინოდებული ინფორმაციის საფუძველზე ისეთი დასკვნები გააკეთონ, როგორიც გაეხარდებათ. სომხეთის სამთავრობო გაზეთის მკითხველთა დიდ უმრავლესობას კი სამცხე-ჯავახეთი, კოლა-არტაანი, ტაო-კლარჯეთი, ლაზისტანი, ბათუმის რეგიონი სომხურ მინა-წყლად რომ მიაჩნია, ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. ეს მკითხველები (იგულისხმება ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები ის სომხებიც, რომლებსაც ეროვნული ცნობიერება შენარჩუნებული აქვთ) საამისოდ დიდი ხანია საფუძვლიანად არიან მომზადებული. ამგვარ საკითხებში სომხეთში საქართველოსავით გულგრილობას (რბილად რომ ვთქვათ) არ იჩენენ.

ტერ-აკოფიანცს მოტანილი აქვს დაშნაკური სომხეთის მთავრობის თავმჯდომარის, ა. ხატისოვის სიტყვებიც: 1918 წ. 22 მაისს „ბათუმში მოლაპარაკებაზე ჩამოვიდა თურქეთის სამხედრო-საზღვაო მინისტრი ჯემალ-ფაშა. მოლაპარაკების დასაწყისში მან თავის სიტყვაში თქვა: „აზერბაიჯანლები თურქების საყვარელი ძმებია და თურქები მოვიდნენ, რათა გაანთავისუფლონ ისინი"... მიმართა რა ქართველებს, ჯემალი ასევე თავაზიანად ლაპარაკობდა. დაბოლოს, როდესაც მან მიმართა სომხებს, ის სუსტი ხმით ლაპარაკობდა, თვალებში კი ულმობელი, შავბენელი ნაპერწკლები უელავდნენ. მან თქვა: „დავა თურქებსა და სომხებს შორის ძველია. სომხები არ დგამენ არც ერთ ნაბიჯს თურქებთან შესარიგებლად. ასეთი საქციელი გახდება მიზეზი სომეხთა ახალი უბედურებისა." ჯემალმა მოიხსენია სომეხთა კავშირი ბოლშევიკებთან. მის თითოეულ სიტყვაში იგრძნობოდა, თუ როგორი უსაშველო სიძულვილით ჰქონდა გული აღსავსე სომხების მიმართ." ისე გამოდის, თითქოს ქართველებიც აზერბაიჯანელებთან ერთად თურქეთის მოკავშირეები იყვნენ სომხების წინააღმდეგ ბრძოლაში. ვითომ მართლა ასე იყო? განა იმ დროისათვის თურქეთს თითქმის ნახევარი საქართველო დაპყრობილი არ ჰქონდა და მთელი საქართველოს დაპყრობას არ აპირებდა? მარქსიზმის უტოპიური იდეებით გაბრუებულმა საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეძლო ქართველი ხალხის სულის ათნება დამპყრობლის წინააღმდეგ ისეთი თავდაუზოგავი ბრძოლის გასაჩაღებლად, როგორი შემართებითაც, სულის მდუღარებით ებრძოდნენ ჩვენი წინაპრები გადამთიელებს ათასწლეულთა განმავლობაში. საქართველოს საუბედუროდ, მის სათავეში მოქცეულ მენშევიკებს ეგონათ, რომ მარქსიზმი ყოვლისშემძლეა და ამ იარაღის მომარჯვებით თურქეთსაც გაუმკლავდებოდნენ. ასე რომ, ტერ-აკოფიანცს ტყუილად ჰგონია, თითქოს, 1918 წ. მაისში თურქეთი საქართველოს მეგობარი იყო. სხვა ამბავია, რომ თურქები ქართველებთან დიალოგს უფრო თვლიდნენ შესაძლებლად, ვიდრე სომხებთან. ამისთვის ქართველები გაკიცხვას არ იმსახურებენ.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

რა არის ჩვენთვის აფხაზეთის ომი?!

ის, რომ დღეს აფხაზეთში კერძოდ, გალში, ქართველი კაცი არცერთ გოჯ მიწას უბრძოლველად და სისხლის დაუღვრელად არ თმობს, ის, რომ მებრძოლების პირით ითქვა: ან ვაჟკაცურად დავიხოცებით ან ჩვენს მინა-წყალს შევინარჩუნებთო, გამოხატულებაა საქართველოში სამამულო ომის პერსპექტიული მიმდინარეობისა, რომელიც მეტ-ნაკლები სიმწვავით, აგერ უკვე მე-7 წელიწადია, გრძელდება.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის უძლურებიდან და ხელისუფლების პოლიტიკიდან გამომდინარე, დღეს ამ ომში ბრძოლისუნარიანი ქართველი მოსახლეობის ნახევარი პროცენტიც კი არ მონაწილეობს, მაგრამ მთელი ქართველი ხალხის სულიერი ერთობა აფხაზეთში მებრძოლ ვაჟკაცებთან სრულიად აშკარა და უდაოა, რაც გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ საქართველო ნამდვილ სამამულო ომში იმყოფება დაუნდობელ მტრთან. სრულიად არა აქვს მნიშვნელობა ბრძოლის ხაზზე მტრის ვინაობას, ის აფხაზი იქნება, რუსი, კაზაკი, სომეხი, ჩერქეზი, მოღალატე ქართველი, ქრისტიანი თუ მუსულმანი. ბრძოლის ხაზზე მონინააღმდეგედ დგას საქართველოს პირსისხლიანი მტერი, მისი მოსპობისა და განადგურების ერთად შეპყრობილი არსება, რომელსაც თუ არ მოკლავ და გასრეს, მაშინ თვითონ მოგიღებს ბოლოს. ეს ქვეცნობიერად იცის მთელმა ქართველმა ხალხმა. ეს იცის დიდმა და პატარამ, ხელისუფლების მაღალ სავარძელში მჯდომმაც და უბრალო მოქალაქემაც, ეს იცის ფუფუნებაში განებივრებულმაც და ღღიური ლუკმისთვის ჭაპანწყვეტით მშრომელმაც. დღეს ყველა მთგანის სულისკვეთება აფხაზეთისკენ არის მიმართული.

აფხაზეთია დღეს ყველას საფიქრალი და სადარდებელი, რადგან აფხაზეთში წყდება დღეს ქართველის ბედი და მიუხედავად ამისა, ხალხი მაინც თითქოს მონუსხული, დამბლადაცემული, პასიურ მდგომარეობაში იმყოფება. ეს თითქოს პარადოქსული მოვლენაა ჩვენი საზოგადოებისათვის, მაგრამ თუ ღრმად ჩავნვდებით საკითხს, მაშინ იგი იოლად ასახსნელი გახდება. ერმა რომ ერობა გასწიოს, გათითოებული ადამიანები ერთი მიზნისათვის მებრძოლ ძალად რომ იქცეს, გამარჯვება რომ მოიპოვოს, მას სჭირდება ღირსეული ლიდერი, თავისი მოღვაწეობით საკუთარი ხალხის სულიერი ლტოლვის გამომხატველი და ხორცშემსხმელი. ტყუილად კი არ სწერს ლევან სანიკიძე წიგნში: „მესამე დასის საქართველო": „არა, ხალხი არა ქმნის ისტორიას. ხალხი მხოლოდ მასალაა ისტორიისა, — საშენი მასალა. ისტორიის შენობას კი, გმირები ქმნიან — ძლიერნი სულნი"... ასეთი გმირის გამოჩენის იმედით ამბობდა ილია ჭავჭავაძე ლექსში „ბაზალეთის ტბა" — „იქნებ, აკვანში ის ყრმა წევს, ვისიც არ ითქმის სახელი, ვისაც დღედაღამ ჰნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი"-ო.



სამწუხაროდ, ის ყრმა, რომელსაც ნატრულობს ქართველი, ჯერ არ გამოჩენილა, თორემ ასე სამარცხვინო ყოფაში ჩვენი ქვეყანა არ იქნებოდა. მშიერი, იმედგაცრუებული, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი, დამარცხებას შეგუებული, თვითგანადგურებისა და მოსპობის იობის გზაზე შემდგარი, აი, ასეთ დღეშია ჩავარდნილი ქართველი ერი და ამ მდგომარეობას ვერ აქარწყლებს ცალკეულ მამულიშვილთა თავგანწირვა, მტრის თავზარდამცემი გმირული ბრძოლის ეპიზოდები, რადგან ეს ეპიზოდები ეპიზოდებად რჩება, ეს გმირული ფურცლები ფურცლებადვე რჩება და არ იკვრება იმ ერთიან სურათად და წიგნად, რომელიც ერის მთელ ცხოვრებას განაახლებს და გარდაქმნის. ამ სურათისა და წიგნის შექმნას ნამდვილი შემოქმედი სჭირდება, საქართველოს დიდი ისტორიის გამომჭედი სასახელო წინაპრების დარი შთამომავალი სჭირდება, კაცი, რომელშიც განსხეულდება მთელი ერის ძალმოსილება, პოტენცია, რომ ქვეყანა ფეხზე დააყენოს, მტერს საკადრისი პასუხი გასცეს, ჯარისკაცი ჯარისკაცს დაამსგავსოს, მოსწავლე მოსწავლეს, მასწავლებელი მასწავლებელს, გლეხი გლეხს, მუშა მუშას, თანამდებობის პირი თანამდებობის პირს და საერთო ჯამში, ყველა ერის სამსახურში ჩადგეს. დღეს კი რა ხდება, ნიკო ლორთქიფანიძის თქმისა არ იყოს, იყიდება საქართველო, ნაწილ-ნაწილ და მთლიანად. იყიდება უპატრონობით, გულაუტკივრობით, უსინდისობით და მოღალატეობით. მტკიცებულება გინდათ? კი, ბატონო! დღევანდელი აფხაზეთი, ათასობით ქართველი ქალი და ბავშვი, მოხუცი თუ ახალგაზრდა კბილეებამდე შეიარაღებული მტრის საჯიჯგნად და საწამებლად განწირული, აი, თქვენ მტკიცებულება. 2000 ქართველი — ხელისუფლების ვითომ სამშვიდობო პოლიტიკის დროს ყელგამოჭრილი, თავფეხმოკვეთილი, გულში ტყვიანაცემი. აი, თქვენ მტკიცებულება და ეს ყველაფერი ვისი მიზეზითაც მოხდა, ვისაც მიუძღვის ამ საშინელებების ჩადენაში ბრალი, ვის კისერზეც არის ეს უზღვავი სისხლი, უპასუხისმგებლობით გამედიდურებული, გაყოყოჩებული, კვლავ თბილ სავარძლებში სხედან, აი, თქვენ მტკიცებულება.

ამ ორიოდე წლის წინ ვწერდი: „აფხაზთა ლიდერმა, არძინბამ განაცხადა: ქართველები აფხაზეთზე აგრესიას ნუ გაბედავენ, თორემ სამ დღეში 10000 კაცის იარაღის ქვეშ დაყენება შემიძლიაო.

ვაი, ბეჩავო საქართველო! ვაი, ბედკრულო ქართველო ერო! შენი დიდი წინაპრების პატრონს 10000 კაცით გემუქრება შენს უბეში გამოზრდილი გველის წიწილი და თავისიც გააქვს.

10000 კაცით დავაჩოქებო საქართველოს. თუნდაც 20000 ეთქვა და თუნდაც 100 ათასი, შენ რომ ღირსებას და პატივს არ გილახავდნენ, შენ რომ ქართულ სისხლს არ გიშრობდნენ და არ გიყინავდნენ, შენ რომ შენზე მოფიქრალი, გონიერი და გულანთებული პატრონი გყავდეს, ვიღაც აღრეული სისხლისა და თესლის კაცი, რომელიც ეპოტინება წმინდათა წმინდა ქართულ მინა-წყალს, გაბედავდა კი ამ სიტყვების თქმას?

მას შემდეგ არაფერი შეცვლილა: ქართულ ჯარს ქართული გვარს მატარებელი, მაგრამ სულით და გულით რუსი გენერალი მთელი ეს სამი წელიწადი განაგებდა, ამიტომაც ამ ჯარის ბრძოლისუნარიანობა ძნელად დასაჯერებელია. და არის ისევ მოხალისეთა იმედზე საქართველო, დღეს რომ პარტიზანებს ეძახიან, დიახაც, ვაჟკაცურად იბრძვიან ეს ბიჭები და სისხლსაც უმრობენ მტერს, მაგრამ მარტო ისინი მთელი საქართველოს თანადგომის გარეშე, ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერის გარეშე, აფხაზეთის დაბრუნებას ვერ შეძლებენ.

ბოლომდე იმედი მაინც არ კვდება. თავდაცვის მინისტრად გენერალ დავით თევზაძის დანიშვნამ შესაძლოა საქართველოს თავდაცვისუნარიანობა გააძლიეროს, თუ პრეზიდენტიც ამისათვის რეალურ ძალისხმევას გამოიჩენს. თორემ ჯერჯერობით შევარდნაძის ხელისუფლების პოლიტიკა ტყუბისცალივით ჰგავს ჟორდანიას ხელისუფლების პოლიტიკას უსუსურობით, ცრუ ინტერნაციონალიზმით, მარონეტობით და საერთო ჯამში, ანტიეროვნულობით. ამგვარი პოლიტიკის შედეგად, 1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა უსახელოდ დაეცა. ღმერთმა არა ქნას, რომ საუკუნის ბოლოს გაჩენილი დამოუკიდებელი საქართველოს შექმნისა და შენარჩუნების შანსი ხელისუფლების უძლურების მიზეზით დაიკარგოს.

გია თევზაძე

„ედუარდს შეუძლია მშვიდად იყოს, თუკი რომელიმე მანქანა აუფეთქდება და პმ „შემთხვევით უბედურებას“ გადაკიკვება, მას პოლიტიკურ მსხვერპლად არავინ მიიჩნევს“

მეორე გვერდიდან

საზოგადოების გარკვეულ ნაწილში კარგა ხანია მუსირებს აზრი, რომ შევარდნაძის გარეშე ქვეყანა დაიღუპება. ერთიც უნახოთ, ერთადერთი კანდიდატი ლიფტში გაიჭედოს (ჩვენში ასეთი რამ არ ხდება თუ რა!) და გულმა უმტყუნოს (ღმერთმა მზეგრძელი სიცოცხლე მისცეს)... ობლად დარჩენილი საქართველო მართლა უფსკრულში ჩაიჩეხება?!

დასამალი რა არის? პრეზიდენტობაზე ბევრს უჭირავს თვალი. მთავარი მაინც ისაა, ხალხი რას ფიქრობს, ხალხი! ამბობენ, ნახევარი საქართველო აჭარისკენ აპარებსო თვალს... პატიოსანი ადამიანის ძებნაში კი, სადაც არის საპრეზიდენტო არჩევნებმაც მოგვიკაკუნა.

— **ბოლო ხანს გახმაურებულ ამბავს — აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე პრეზიდენტობას აპირებსო, არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა საზოგადოების მხრიდან. ზოგს იგი შევარდნაძის შესაშურ მეტოქედ დაუსახავს, ბევრიც მისი ლანძღვა-გინებით ითქვამს სულს. პირდაპირ რომ ვთქვათ, თქვენი აზრით, არის ასლან აბაშიძე საპრეზიდენტო კაცი?**

— პრეზიდენტს რომ მომავალ არჩევნებში ალტერნატივა ჰყავდეს, ამას დანაშაულად ან ბოროტებად რატომ აღიქვამს ვინმე, არ მესმის. რატომ უნდა შევჩერებოდეთ ხელებში იმ კაცს, ვინც საქართველო ასეთ დღეში ჩააგდო?

დღევანდელ პრეზიდენტს იმ ტონით ვერავინ დაელაპარაკება, როგორც 1991 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ზვიად გამსახურდიას ელაპარაკებოდნენ. გახსოვთ, უამრავი კონკურენტი ჰყავდა ზვიადს და ერთიანი ფრონტით იბრძოდნენ მის წინააღმდეგ.

თუკი ასლან აბაშიძე გადაწყვეტს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა, ამაში უცნაური არაფერი უნდა იყოს. პირიქით, ეს დემოკრატიული ნორმის აღიარება იქნება, რა არის ამაში ცუდი? მე შემიძლია, ხმამაღლა განვაცხადო, რომ კარგად ვიცნობ ასლან აბაშიძეს. ეს არის ღრმა ანალიზის მქონე პოლიტიკოსი, რომელსაც დიდი ნაბიჯების გადადგმა შეუძლია, საქართველოსთვის ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება — არანაკლებ, ვიდრე შევარდნაძეს. იგი არის თხემით ტერფამდე ქართველი კაცი მთელი თავისი ცხოვრებით, თავისი წინაპრებით.

მანამდე კი, ვიდრე გაირკვევა, ვინ არის თანამდებობის შესაფერისი, ვინ არა, ვინ არის საპრეზიდენტო კაცი, ვინ არა, ვინ მოვა, ვინ წავა და კიდევ ბევრი ვინმეს ვინაობა-რაობის დადგენა, ვიდრე მოხერხდება, ცხოვრება მკაცრად განსაზღვრულ კალაპოტში განაგრძობს დინებას, რომელსაც მოულოდნელი (ვისთვის მოსალოდნელი) ტერაქტები ატოკავს მხოლოდ. „გიორგი აუდეტულად“ წოდებული პრეზიდენტი კი არხეინად განაგრძობს ცხოვრებას, მინისტრს მინისტრზე „ისტუმრებს“ და ეშვიდად აცხადებს, რაც არ უნდა მოიმწყოს, ვერაფერს დამაკლებენო, პრეზიდენტის სიმშვიდით და სიდინჯით გაოცებული ბევრი იმასაც ამტკიცებს, ტერაქტები კი არა, ფარსი და კომედია იყოო. ერთადერთი მომზე, ვინც 9 თებერვლის ტერაქტის ორგანიზატორის ვინაობა იცოდა, ნებაუნებლიეთ (ამაზეც არაერთგვაროვანი აზრი არსებობს და სამწუხაროდ, უმრავლესობა ხელისუფლებისათვის სამარცხვინოა) სამუდამოდ ჩააჩუმეს (გოჩა ესებუა ხომ მოკლეს) და ბუნებრივია, გაჩნდა ეჭვი იმისა, რომ ვიღაცას ტერაქტს გახსნა არ აწყობდა. ვერსიები, ვის და რატომ უნდოდა შევარდნაძის მოკვლა, ფართოდ გავრცელდა. უცნაური მხოლოდ ის არის, რომ თავად პრეზიდენტს სულაც არ აღელვებს, რას ამბობენ ამ ტერაქტებზე და კიდევ...

ნინა პრეზიდენტს ტერაქტების სერია არც ცხადში, არც სიზმარში არ მოლანდებია.

— **ბატონო თემურ, როგორც ჩრდილში მდგარ კაცი მზის გულზე დატრიალებულ ტრაგი-კომედიებს როგორ უყურებთ (ტერაქტები მაქვს მხედველობაში)?**

— როგორ შეიძლება ვინმეს სიკვდილი ვინატროთ? ყველა ქართველმა უნდა იცოცხლოს. ავია თუ კარგი, შევარდნაძეზე უარესი შეუნახავს საქართველოს... მაგრამ თუ მას (შევარდნაძეს) იმედი აქვს, რომ იმ რისხვას გადაურჩება, რაც საქართველოში დატრიალდა, ცდება. მე ყოველგვარი შს სამინისტროს, ყოველგვარი უშიშროების სამინისტროს გარეშე შემიძლია ვუთხრა, რომ მის წინააღმდეგ ყოველ თვეში იქნება ტერაქტი და მას თავისივე მომხრეები მოუნყობენ. ისინი, ვისთან ერთადაც მან ფული ვერ გაიყო. შევარდნაძემ არავის არ უნდა დააბრალოს, ტერაქტი პოლიტიკური მოტივით მომინყესო, ეს ის ხალხი იქნება, ვისთან ერთადაც საქართველო გაინაწილა, როცა 1992 წლის 7 მარტს დაბრუნდა. აქედან დაიწყო მაფიური ბრძოლა და ტერაქტიკულად მთელი ტერაქტების სერია მაფიოზურ კლანთა შეჯახებაა და მეტი არაფერი. ედუარდს შეუძლია მშვიდად იყოს, თუკი რომელიმე მანქანა აუფეთქდება და ამ „შემთხვევით უბედურებას“ გადაჰყვება, მას პოლიტიკურ მსხვერპლად არავინ მიიჩნევს საქართველოში. მთელს ამ ტრაგედიებში უმთავრესი ისაა, რომ ცოტა ხანში ბატონი ედუარდი და მისი მომხრეები სასჯელის წინაშე აღმოჩნდებიან... ვნახოთ, როგორ გაართმევენ თავს.

ჭეშმარიტად წინასწარმეტყველი უნდა იყო, პრეზიდენტის ბედ-ილბალზე რომ თქვა რამე. წინასწარმეტყველთა ბედზე კი, სახარებიელო რა მოგახსენოთ... „მკითხაობა“ კი — რა ბედი ელის შევარდნაძეს, როგორია მისი ნამდვილი სახე, ვინ არის ან რა უნდა, საქართველოში მისი ჩამოსვლის დღიდან მიმდინარეობს.

— **პრეზიდენტის პიროვნების, შინაგანი რაობის დადგენა თუ შეუძლებელი არა, ძნელი მაინც იქნება (ვისთვის, როგორ?). საქართველოში ჩამობრძანებისას მისი პირველი განცხადება ასეთი გახლდათ: მე მივესალმები ინტელიგენციას, რომელმაც ავტომატი აიღო დიქტატურის წინააღმდეგ. გარკვეული ხნის შემდეგ იგი ამხელდა გამსახურდიას, როგორც „საერთაშორისო ტერორისტს“, გავიდა წლები... ბოლოს იძულებული გახდება, მიმდინარე წლის 31 მარტს ეთქვა: ზვიად გამსახურდიამ თავისუფლების დროშა აიფრიალაო საქართველოში. რას ფიქრობთ, სინამდვილეში ვინ არის ამ სიტყვების ავტორი?**

— ჩემთვის გაუგებარია, როგორ უთავსდება ერომანეთს მისი გამოსვლები, მისი შეხედულებები, ჩემთვის მართლაც გაუგებარია მისი მსოფლმხედველობის ასეთი მონაცვლეობა. ყოველივე აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ, როცა შევარდნაძემ თქვა, ქრისტიანად მოვეფეცი, ესეც ჩვეულებრივი პოლიტიკური ფუსტი იყო და არა ადამიანური ნაბიჯი. ვინ არის შევარდნაძე? შევარდნაძე არის ის მაღალი ნომენკლატურა, რომლითაც სსრკ არსებობდა. მისი მსგავსი ადამიანები ყოველთვის იყვნენ ბოლშევიკური ხელისუფლების დასაყრდენი. ისინი დღესაც იმავე საქმეს აკეთებენ, ჩვენი უბედურება იმაშია, რომ ვერ გავიგეთ ვინ ვინ არის. შევარდნაძის ხელისუფლება წმინდა წყლის კომუნისტური ხელისუფლებაა. რაღა მე-11 არმიის შემოსვლა და რაღა შევარდნაძის დაბრუნება საქართველოში. მასთან ვერც პანტელეიმონ გიორგაძე მოვა და ვერც სხვები კიდევ, ბევრი... პანტელეიმონ გიორგაძე ჩვეულებრივი „სალდათია“, თუმცა გენერლობას კი მიაღწია, ედუარდ შევარდნაძე გენერალ-პოლკოვნიკი გახლავთ. თავისი ცხოვრების წესით, მეთოდებით, სიცრუის ხელოვნებით ის ნომერ პირველი კომუნისტია, ხალხის დასაძაბუნებლად საკნებში ჩასამწყვდევად და იოლად სამართავად, რასაც ჩინებულად ახერხებს დღევანდელი პრეზიდენტი.

— აქედან გამომდინარე გიორგაძემ, გოგუაძემ და სხვა ზოგიერთებმა თუ კომუნისტობაზე და სსრკ-ს აღდგენაზეა საუბარი, შევარდნაძეს უნდა მიმართონ. თუმცა, ვშიშობ, რომ ყოფილი სსრკ-ს არცერთი რესპუბლიკა ამას არ დათანხმდება და უფრო მეტიც, ამ კავშირის აღდგენის პირველი მტრები შევარდნაძე და ალიევი იქნებიან, რადგან ყველაზე კორუმპირებულნი არიან. ესენი არ დაუშვებენ, რომ კრემლში წავიდეს თანხა, რომელიც ახლა მათ ჯიბეში მიედინება.

გაგრძელება მე-9 გვერდზე

მეწარმეებს თოკი ყელში აქვთ წაჭერილი

რამდენიმე დღის წინ მწერალთა კავშირში ქართველი მეწარმეები ჩვენს მწერლებს შეხვდნენ. შეხვედრის მიზანი იყო ემსჯელათ საქართველოს ბედზე, მის მომავალზე და საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტის გზები ერთმანეთისავის გაეზიარებინათ. ფირმა „ჯაზბეგის“ დირექტორმა გოგი თოფაძემ აღნიშნა, რომ ეკონომიკა და კულტურა პირდაპირ ურთიერთკავშირშია და თუ ადგილობრივი წარმოება ფეხზე არ დადგა, თუ იგი გეგმაზომიერად მოკალით, არც მწერლობას და ხელოვნებას დაადგება კარგი დღე. ეროვნული ეკონომიკა ინგრევა, ქართული ჩაი აღარ იყიდება. ვერ მოება თავი ციტრუსების შეგროვებას და მათთვის ტარის დამზადებას. შესანიშნავი წვენების ქარხანა „თეთრი ბაკი“ თითქმის გაჩერებულია, როცა ამ დროს ჩვენთან იმპორტული წვენების სეროგატი შემოდის. იგივე მდგომარეობაა მეღვინეობაში. ის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც დღეს ტარდება საქართველოში, მას მალე არამწარმოებელ, მომხმარებელ ქვეყნად აქცევს. შორს რომ არ წავიდეთ, განა არ შეიძლება ქართველ ჯარისკაცს ადგილობრივმა ფაბრიკამ შეუკეროს ტანსაცმელი.

ფირმა „წიდა“-ს პრეზიდენტმა გ. დოლიძემ ასე დაასრულა თავისი ემოციური გამოსვლა: „ხანში შესული კაცი ვარ და არ მინდა ამ ქვეყნიდან ისე წავიდე, რომ ხელგაწვდილი ქართველი ერი ისევ ასეთ მდგომარეობაში დარჩეს“. ადრე დირექტორი ძალიან მცირე საკითხებს წყვეტდა, დანარჩენს უმთავრესს სახელმწიფო, ზემდგომი ორგანოები არეგულირებდნენ. დღევანდელ სამაზრო პირობებში საწარმო მომგებიანი უნდა იყოს. ნამდვილ ქართველ მეწარმეთა უმეტესობა საზღვარგარეთაა გაქცეული, უცხოელი კი ცდილობს შენს მიწაზე უბრალო შემსრულებლად, იაფფასად მუშად გაგიხადოს.

პარლამენტარმა, ბესო ჯუღელმა გულისტკივილით დასახელა არცთუ სანუგეშო ციფრები: მას შემდეგ, რაც საქართველო სავალუტო ფონდს დაუკავშირდა, მისმა ვალმა 2 მლრდ დოლარს გადააჭარბა. სავაჭრო სალდო უარყოფითი გვაქვს! წელს მარტო საგარეო ვალის მომსახურება (პროცენტების გადახდა) საქართველოს 60 მლნ დოლარი დაუჯდება. ჩვენი ეკონომიკის „ბამბა“ კი გვამშვიდებენ, რომ ყველაფერი კარგად ბოლოს. განა შეიძლება იმპორტით საქართველოში ტყემალი, ბოსტნეულის კონსერვები შემოვიტანოთ მაშინ, როცა ჩვენი საკონსერვო მრეწველობის პროდუქციის წარმოება 680 მლნ ქილიდან 3 მლნ-ზე ჩამოვიდა. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ის ნედლეული, რომელიც სახელმწიფოს არ გააჩნია, შემოტანისას იბეგრება. სიბაჟოზე დაფუძნებულია ფაქტები, როცა ერთი კოლოფის ფასი გაფორმებულია 2 თეთრად. თუ იმპორტმა უნდა გვაცხოვროს, მაშინ სად არის ის 500 მლნ დოლარი, რომელიც შემოსული იმპორტის აღებულებიდან ხაზინაში უნდა შესულიყო. გ. თოფაძეს 20000 დოლარი შესთავაზეს, რომ ლუდის ქარხანა ერთი წლით გაეჩერებინა, რათა იმპორტული ლუდი გაესაღებინათ.

მეწარმეთა კავშირის თავმჯდომარემ ბონდო ზარნაძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა დრაკონული გადასახადების დამღუპველობა. ყოველი მეწარმე არსებული საგადასახადო კოდექსით შემოსავლის 70-80%-ით იბეგრება. მან ისტორიული დადასტურა გააკეთა, გაიხსენა ჩინგის-ხანი, რომელიც მხოლოდ 10%-ით ბეგრავდა ქვეშევრდომებს. თვით, საქართველოში, ბატონყმობის დროს, საერთო გადასახადს „ნათხარი“ ერქვა, რაც მთელი შემოსავლის მეოთხედით დაბეგვრას ითვალისწინებდა.

ბევრს ლაპარაკობენ იაპონურ გენზე დაფუძნებული ბიზნესის წარმატებაზე. უნდა ითქვას, რომ ქართველი კაცი ნიჭით არ ჩამოუვარდება, თუ არ აღემატება იაპონელ კოლეგებს. ამის მაგალითია სარაჯიშვილი, ზუბალაშვილი და ბევრი სხვა დღევანდელი ბიზნესმენი, მხოლოდო პირობებია სხვადასხვა.

პურპროდუქტების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ანზორ ბურჯანაძემ მიმართა მწერლებს: „ეე მიმანჩია, დღეს აქ კარგი ღონისძიება ტარდება, თქვენ გადაარჩინეთ ქართული ენა და დღეს ამ ერთობამ უნდა გადაარჩინოს ქვეყანა“.

მან აღნიშნა, რომ მათი კავშირი კატეგორიულად შეებრძოლა პურპროდუქტებზე დღგ-ს არასწორ გადახდას, რამაც წისქვილკომბინატების გაჩერება გამოიწვია. მაინც მივაღწიეთ ჩვენს დარგში ნორმალურ დაბეგვრას. და ბოლოს, მან მოუწოდა ყველას გაერთიანებისაკენ: „ოენის“ ჩატარდება მრეწველთა და მეწარმეთა ფრონტი, ჩვენ ყველა ერთად დავდგებით“.

მასპინძლებიდან მწერალი თამაზ ჭილაძე გამოვიდა, რომელმაც გაიხსენა, რომ მწერლებს ეს შენობა თავის დროზე ცნობილმა ქართველმა მეწარმემ სარაჯიშვილმა აშენა და რომ ეს კავშირი და ურთიერთობა სიმბოლურია. „ეკულტურო ბიზნესი-სპეციალისტობაა, თქვა მან. ქართული წიგნი რომ არ იყიდება, მარტო სიღარიბის ბრალი არ უნდა იყოს. დღეს ოფიციალური პოლიტიკა უპირისპირდება ბიზნესს და კულტურას. თითქოს საქართველოს პოლიტიკოსებს გარდა, სხვა არავინ სჭირდება. თუ გვინდა გადავრჩეთ, ეროვნული ბიზნესი უნდა ავაღორძინოთ. ფეხზედამდგარ სახელმწიფოში მწერლობაც და კულტურაც აყვავდება. სამშობლო მარტო ღარიბებს ხომ არ უნდა უყვარდეს, ისიც მანამდე, ვიდრე გამდიდრდებოდნენ.

ქ. ბრეგაძე

„არსად, არცერთ ხელმძღვანელ „ამხანაგს“ არ უხსენებია, რომ შიდა ქართლისა და აფხაზეთის ომი სამამულო ომიაო“...

თუ რამ გვაკლია ქართველ ერს, ეს არის ეროვნული მეობის შენარჩუნების და სახელმწიფოებრიობის დამკვიდრების ნიჭი, ანუ „საქართველო უპირველეს ყოვლისა!“

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში ძნელად მოიძებნება ერი, რომელსაც ისეთი ზღვარგადაცილებული ტოლერანტობა ახასიათებდეს, როგორც ქართველს და სწორედ ეს ზღვარგადაცილებული ტოლერანტობა არის ჩვენი უბედურების მიზეზი.

ე. წ. სოციალ-დემოკრატები ანუ მესამე დასი — უარყოფდნენ ყოველგვარ ეროვნულს, საქართველოს თავისუფლებას და მის ავტონომიას.

ებრაელი ერი გადაარჩინა ფიცმა: „გამიმეს მარჯვენა, თუ გიღალატო შენ, იერუშალაიმ“. სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს ასეთი ფიცი, რომელსაც აკვნიდან ჩაუნერგავდნენ მშობლები შვილებს — ასეთი ფიცის შინაარსში ჩადებული უნდა იყოს თუნდ — „საქართველო უპირველეს ყოვლისა“, რომელიც ანდერძად დაგვიტოვა გალაკტიონმა და არ ხდება მისი რეალიზაცია.

სოციალ-დემოკრატების თეორიამ აღაშფოთა ნ. ნიკოლაძე: „ჩვენი სოციალ-დემოკრატები, რუსის ბელადების ზეგავლენით სასტიკად აბრალდნენ ქართული ეროვნული მეძვიდრეობის და პოლიტიკური თვითმართველობის, ავტონომიის წინააღმდეგ (გაზ. საქართველო, 1918).

ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ვერ დაინახეს რუსთა [illegible] 2 საუკუნოვანი მონობის უღელი. ვერ დაინახეს 1802 წლის კახეთის აჯანყება, 1804 წელს მთიულეთის აჯანყება 1819-20 წ. იმერეთის აჯანყება, 1832 წლის შეთქმულება და ა. შ. მონობაში დაბადებული და აღზრდილი, ძნელად იცვლის თურმე თავისს მეობას, მონურ ფსიქოლოგიას შეჩვეული, ძნელად იგებს, რომ ის მონაა, 200 წლიანმა ბატონობამ გადაგვარა ქართველი კაცის ფსიქიკა, გადაგვარა მისი ეროვნული ცნობიერება, [illegible] იმ სისხლის ღვრისა, რაც იმპერიამ დაქცია ქართულ მიწაზე — ხელი მიჰყო ქართველთა ფიზიკურ მოსპობას და ეთნიკურ გადაგვარებას, ათასი სჯულის გადამთელი დასახლა ქართულ მიწაზე და ეს ვერ დაინახეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა და ქართველმა ბოლშევიკებმა და რუსული გულით იბრძოდნენ რუსიფიკაციის დასაკვიდრებლად, თავის მიწა-წყლის, თავისი ერის, ყოველგვარი ეროვნული გადარჩენის წინააღმდეგ.

„ჩვენი სოციალ-დემოკრატები ისე გაიტაცა რუსებზე და სომხებზე ზრუნვამ, თითქოს სრულებით დავიწყდათ, თავისი უბედური სამშობლო, რომელიც დღეს ყველაზე მეტად საჭიროებს პატრონობას და დახმარებას.“ (ნ. ნიკოლაძე)



1917 წლის ნოემბერში სოჩერო თეარში მოწვეულ კრებაზე საყოველთაო ზეიმისა და სიხარულის ატმოსფეროში დისონანსი შეიტანა ფ. მახარაძემ, მან შეურაცხყო თავისუფლების იდეა და განაცხადა, დამოუკიდებლობა ეწინააღმდეგებო მშრომელთა ინტერესებს. არც ასეთი თეორია არსებობს მსოფლიო ისტორიაში, რომ დამოუკიდებლობა ეწინააღმდეგებოდეს მშრომელთა ინტერესებს — ამგვარმა ჰეროსტრატებმა დაღუპვის კარამდე მიიყვანეს საქართველო.

„პროვინციული ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში გართულნი, მეტიმსმეტად გადაკიეტრით პროვინციულ „ინტერნაციონალიზმში“, რომლის ძირითადი პრინციპია, „მთავარია სხვა ერს არ ვაწყენინოთ, ხოლო ჩემი ერი ყველაფერს აიტანს (ეურნალი „კარიბჭე“ 1994)

აი როგორ არის დეგრადირებული ქართველი კაცის ეროვნული ცნობიერება: 1918 წლის მარტში ბრესტ-ლიტოვსკში, რუსეთსა და გერმანიას შორის დაიდო ზავი, ერთი ხელის მოსმით საქართველომ დაკარგა ყარსი, არტაანი, ბათუმი. ტროცკის, რომელმაც ხელი მოაწერა ამ ზავზე, უთქვამს: მოიწვე საქართველოსა და კავკასიის წარმომადგენელი, მათი მხარეების ინტერესების დასაცავად; მინისტრმა შეშრკალა უღელვეშა: რადგან კავკასიაც და საქართველოც შედგენს რუსეთის ნაწილს, ზავის საკითხი რუსეთის კომპეტენციას შედგენსო და ასეც მოხდა, ჩვენი მიწების გაჩუქებელთ მოკამათეც არა ჰყოლია.

საინტერესო ამ დროის შესახებ ნ. ეორდანიას გამონათქვამიც: ამ დროს აიშვა ყველა მტერი — შიგნით თურქოფილები და ბოლშევიკები, გარეთ კი მოხალისეთა ჯარები, მოსკოვი და თეთრი რუსები, შეერთდნენ ჩვენი ქვეყნის სიძულვილში და დაქცევაში... საერთოდ ჩვენ დაგვლუპა რუსის ჯარში ნამსახურეობა ქართველმა ოფიცრობამ. მათ არ ჰქონდათ არავითარი პატრიოტიზმი, ყველაფერს უყურებდნენ გამორჩენის თვალსაზრისით, ძარცვავდნენ სისტემატურად პოლკებს, ერთი სიტყვით, რუსეთუმე ხალხი იყო ნამდვილი რისხვა ჩვენი საქმისა.“

დღესაც ზოგიერთნი აფხაზეთის ომში დამარცხების მიზეზად ოფიცერთა რუსულ ორიენტაციას მიიჩნევენ.

ერთ თავის წერილში გრიგოლ ონიანი ამბობს, ქათმის ჭკუა უნდა ქონდეს კაცს, რომ ვერ დაინახოს რუსის მიერ მოტანილი სიკეთეო, სამცხე-ჯავახეთი მათი წყალობით დაგვბრუნდაო და სხვა. აქვე მას მინდა ვუპასუხო, რომ 1828 წელს პასკევიჩის მეთაურობით, ნიკოლოზ პირველის ბრძანებით და გრიბოედოვის რეკომენდაციით, რომლის სახელს დიდი პატივით ინახავს საქართველო, 30 ათასი ქართველი მაჰმადიანი აყარეს დედაწულიანად, თურქეთში გადაასახლეს და მათ ნაცვლად ოსმალოთგან ლტოლვილი სომხები დასახლეს. აქ უმრავლესობად იქნენ სომხები და ახალციხე-ახალქალაქის მაზრა სომხეთის მიწა-წყლად გამოაცხადეს. მათ მიზნად დაისახეს საქართველოდან გამოყოფა და დანარჩენ სომხურ მაზრებთან შეერთება მოითხოვეს. ეს აზრი წამოყენებული იყო სომხების მიერ 1913 წელს, როცა კავკასიას სომეხთა მწყალობელი ვორონცოვდაშკოვი განაგებდა. სომხებმა ასეთი საბუთი მოიშველიეს, რომ ჯავახეთი ეკონომიურად თბილისის გუბერნიასთან კი არა, გუმბრთან (ალექსანდროპოლთან) ყოფილიყო დაკავშირებული, რაზეც გამოიყო კომისია და კომისიამ უარყო სომეხთა ეს მოსაზრება. რით გადაგვიხადეს სამაგიერო საქართველოში თავშეფარებულმა ეროვნებებმა? ჯალალედინს თბილისის კარი თათარმა გაუღო, ხოლო აღაშამაზან-ხანს სომხებმა.

განა იმის დავიწყება შეიძლება, რომ ბაგრამიანის სახლეობის სომხურმა ბატალიონმა აფხაზეთში მიწასთან გასწორა ქართული სოფლები.

საქართველო თავის მიწაზე ინახავს უცხო თესლს, რომელთა ერთგულება საეჭვოა, ვინაიდან მათი ეთნოგენეზი სხვაა და მათი სამკვიდრებელი — სხვა.

1892 წელს თბილისში პუშკინის ძეგლი დადგეს, მაშინ, როცა რუსთაველის ძეგლის შესახებ ხსენებაც არსად იყო.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

— ხმა ხალხიდან —

გულაბერ კლარჯი
სომხეთის ხელისუფლების რუსულენოვანი გაზეთიც ეზრძვის საქართველოს

მეექვსე გვერდიდან

მართალია, ტერ-აკოფიანცი და სომხეთის სამთავრობო გაზეთი ზოგ რამეს შეფარვით უუბნებიან მკითხველს, მაგრამ ჯავახეთის მომიჯნავე არტაანი, არდაგანი აშკარად გამოუცხადებიათ სომხურ მიწა-წყლად. სინამდვილეშიც ასეა? ცნობილი ბერძენი გეოგრაფის, სტრაბონის ცნობით, სომხეთის მეფეები პირველად ქრისტეს შობამდე II ს-ში გაძლიერებულან: „მოგვითხრობენ არმენიაზე, რომ პირველად ის პატარა ყოფილა, გაზრდილა არტაქსიასა და ზარიადრის მეშვეობით, რომლებიც პირველად ანტიოქ დიდის სარდლები იყვნენ, ხოლო მერე, მისი დამარცხების შემდეგ, გამეფდნენ... ამათ გაზარდეს (ქვეყანა იმის ხარჯზე), რომ მეზობელ ხალხებს ჩამოაჭრეს ნაწილები.“ სომხეთის გაძლიერება რომის იმპერიის ნებით მომხდარა. იმ დროს შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში რომაელ ხელისუფალთ ამგვარი ნაბიჯის გადადგმა მიზანშეწონილად მიუჩნევიათ. სტრაბონის თანახმად, სომეხთა მეფეებს ქართველებისთვის წაურთმევიათ არზრუმის მხარე, სპერი, ტაო, ქვემო ქართლის დიდი ნაწილი. სტრაბონის „გეოგრაფიაში“ შემორჩენილია ცნობაც იმის შესახებ, რომ ძვ. წ. II ს-ის დასაწყისამდე იბერიის სამეფოსა და სომხეთს შორის საზღვარს მდინარე არაქსი წარმოადგენდა (ალბათ, ნაგულისხმევია ამ მდინარის ზემო წელი). საფიქრებელია, რომ სომხეთის მეფემ ამ დროს არტაანიც მიიტაცა. ყოველ შემთხვევაში, სომეხთა სახელგანთქმული მეფის, ტიგრან დიდის (95-55) ძლევამოსილების უამს, რაც დაახლოებით 20 წელინადს გრძელდებოდა, არტაანიც სომხური სამეფოს საზღვრებში მოექცეოდა.



ჩვენ მოგვეპოვება უხვი მასალა იმის თაობაზე, რომ ქართველი ხალხი არც ერთი დამპყრობლის ბატონობას არ ურიგდებოდა, სომხეთზე გაცილებით ძლიერ დამპყრობლებს უმართავდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას და სომხეთისგან მიტაცებული ქართული მიწების დაბრუნებას, მით უმეტეს, არ აპირებდა. მართლაც, იგივე ანტიკური ავტორების, კერძოდ, ტაციტუსის ცნობების თანახმად, ქრისტეს შობიდან I ს-ში ქართველებს უკანვე დაუბრუნებიათ ყველა ის მხარე, რომლებიც სომეხთა მეფეებს ძვ. წ. II-I სს-ში მიუსაკუთრებიათ. სომხეთის მეფეებიც ერთხანს ქართველი უფლისწულები იყვნენ. იბერიის სამეფო ძალიან გაძლიერდა ქრისტეს შობიდან II საუკუნეშიც, ფარსმან ქველის მეფობის უამს. ამ დროსაც ქართული მიწა-წყალი არ შეიძლებოდა სომხეთის საზღვრებში ყოფილიყო მოქცეული. საქმე ეხება იმ ქართულ მხარეებს, მათ შორის, არტაანსაც, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ ფარნავაზ მეფის დროინდელ იბერიის სამეფოში. III ს-ის ვითარების შესახებ მასალა არ მოგვეპოვება, მაგრამ IV-V სს-ში არტაანი ნამდვილად იბერიის სამეფოს შემადგენლობაშია. ვახტანგ გორგასალმა არტაანში საეპისკოპოსო დაიფუძნა, რომლის ცენტრს ერუშეთი წარმოადგენდა. IX-X სს-ის მიჯნაზე სომეხთა მეფეებმა სცადეს არტაანის დაპყრობა, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, ქართველი ბაგრატიონები მედგრად დაუბვდნენ მათ ამ მხარეში. XVI ს-ში, როცა თურქეთმა დაიპყრო არტაანი, ეს მხარე ქართველი იყო და არა სომხური, რაც მკაფიოდ ჩანს თურქული დავთრიდანაც. ტერ-აკოფიანცი და მისი ამქარი, ალბათ, ასე ანგარიშობენ: არტაანი დღეს თურქეთის საზღვრებშია; ქართველების ამბავი რომ ვიცით, არტაანის სომხურ მიწა-წყლად გამოცხადების გამო არ გამოგვეკიდებიან, სამაგიეროდ, არტაანის მომიჯნავე ჯავახეთის სომხებს პოზიციას გავუმაგრებთო.

რაც შეეხება სომხეთისთვის შავ ზღვაზე გასავლელი ტერიტორიის გადაცემას, ამ საკითხის თაობაზე ა. და ჰ. სურგულაძეების „საქართველოს ისტორიაში“ (1991 წ.) ნათქვამია: 1919 წელს „სომხეთის დელეგაცია პარიზში დაეინებით ითხოვდა სომხეთის საკუთრებაში ეცნოთ სამხრეთ საქართველოს ტერიტორია და მიეცათ მისთვის შავ ზღვაზე გასასვლელი, სწორედ ამ დროს დაიბეჭდა პარიზში სომხეთის სახელმწიფოს რუკა, სადაც მის საზღვრებში მოქცეული იყო მტკვრის მთელი მარცხენა მხარე გორისა და თბილისის ჩათვლით...

ამიერკავკასიის საკითხი იდგა სანრემოს კონფერენციაზეც, რომელიც 1920 წლის აპრილში შეიკრიბა... სანრემოში თავისი ძველი პრეტენზიებით კვლავ გამოვიდა დაშნაკური სომხეთის დელეგაცია, რომელმაც მოითხოვა ბათუმის ოლქის ნაწილი, სახელდობრ ჭოროხის მხარე, რათა რკინგზით შავ ზღვაზე გასასვლელი ქონოდა. საქართველოს დელეგაცია, რა თქმა უნდა, წინ აღუდგა ამ უკანონო მოთხოვნებს, გააქარწყლა მათი საბუთიანობა.“ როგორც ვხედავთ რასაც სომხეთმა 1918 წ. საქართველოს წინააღმდეგ გაჩაღებული ომით ვერ მიაღწია, იმის მოპოვებას 1919-20 წლებში დიპლომატიური საშუალებებით აპირებდა. თურქეთში სომეხთა გენოციდის მოწყობაში ბრალი ედებოდა დიდი სახელმწიფოების პოლიტიკასაც. მსოფლიოს საზოგადოებრიობა ფართოდ გამოეხმაურა სომეხი ხალხის თავს დამტყდარ საშინელებას და „ეი, პირველი მსოფლიო ომის დამთავრებრის შემდეგ დიდი სახელმწიფოების მთავრობებმა განიზრახეს „ცრემლები შეემშრალებინათ სომეხი ხალხისათვის.“ ისინი ყოველთვის არც თუ გულწრფელად, უანგაროდ აკეთებდნენ ამას, მაგრამ ჩვენთვის მთავარი მაინც ისაა, რომ რატომღაც საქართველო დაბალ ღობედ მიიჩნიეს და მისი სასიცოცხლო ინტერესების ხარჯზე ცდილობდნენ სომხეთის დაშნაკური ხელისუფლების მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

ქართველები, ცხადია, ფრთხილობდნენ სომხებთან ურთიერთობაში, კერძოდ, სომხეთისთვის რკინგზის ზოლის (შავ ზღვამდე მიმავალის) და ბათუმში ნავსადგურის გადაცემის საკითხში, რადგან, როგორც ითქვა, სომხები ნახევარი საქართველოს დასაკუთრებაზე აცხადებედნენ პრეტენზიას და თუ ისინი ბათუმში და სომხეთიდან ბათუმამდე მისასვლელ გზაზე ფეხს მოიკიდებდნენ, საქართველოს მიმართ თავიანთი დიდი გეგმის, პროგრამა-მაქსიმუმის განხორციელებასაც შეუდგებოდნენ პრაქტიკულად. ქართველებს ამის მწარე გამოცდილება ჰქონდათ თუნდაც თბილისის მაგალითზე. ცნობილია, რომ თბილისში სომხები რუსეთის იმპერიის ნებით მომრავლდნენ XIX საუკუნისა და XX ს-ის დასაწყისში. მაგრამ მათ არავის და არაფერს ანგარიში არ გაუწიეს და ყოველი ღონით ცდილობდნენ ქართველთა დედაქალაქის მისაკუთრებას. „გულდამწვარი ქართველები“ თურმე ხშირ-ხშირად იმეორებდნენ: „ჩვენ სატახტო თბილისი წაგვართვეს, ჩაიგდეს ხელში სომხებმაო.“ აღარ გამოვუდგებით ციტატების მოტანას ი. ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადიდან“, ა. წერეთლისა და სხვათა თხზულებებიდან, დავკმაყოფილდებით რ. გაბაშვილის სიტყვებით: „სომხობა აშკარა მტრულ განწყობილებას იჩენდა ყველაფერ ქართულისადმი საქართველოს დედაქალაქში.“ ისიც ნათელია, რომ 1918 წ. საქართველოს წინააღმდეგ გაჩაღებულ ომში სომხეთის მთავრობა თბილისის დაპყრობასაც ისახავდა მიზნად და თბილისელი სომხებიც მას მხარში ედგნენ (ტერ-აკოფიანცის და სხვა წერილები დღესაც ყოველი ღონით ცდილობენ გააძლიერონ ანტიქართული განწყობილება საქართველოს, კერძოდ, ჯავახეთის მრავალრიცხოვან სომხურ მოსახლეობაში). ვითომ ინტერნაციონალისტი სომეხი ბოლშევიკებიც კი მოითხოვდნენ, რომ თბილისი გამოცხადებულიყო ამიერკავკასიის დედაქალაქად, ხოლო საქართველოს სსრ-ს დედაქალაქი ყოფილიყო ქუთაისი. ამით ისინი მიზნად ისახავდნენ მთელი აღმოსავლეთ საქართველოს გასომხებას.

არტაანის სომხურ მხარედ გამოცხადებით და შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვების გეგმის გახსენებით სომხეთის სამთავრობო გაზეთი ფაქტობრივად ინონებს სომხეთის დაშნაკური მთავრობის გეგმას საქართველოს მიმართ, ე. ი. დღესაც ფიქრობენ სომხეთში ნახევარი საქართველოს დაპყრობაზე?

აფხაზეთზე და აფხაზეთზე სინამდვილე უნდა ვწეროთ!

მკითხველს შევახსენებ, რომ ჩემს მიერ 1997 წ. ჟურნალ „ცისკრის“ მე-6 ნომერში გამოქვეყნებულ წერილთან — „ძველი აფხაზები და თანამედროვე აფსუები“ — მიმართებაში გამოქვეყნდა ნოდარ ლომოურის სტატია „აფხაზეთის ისტორიის საკითხები ფრთხილად უნდა ვიკვლიოთ“ (იხ. იგივე ჟურნალი, 1997 წ. №11).

მადლობელი ვარ ბატონ ნოდარ ლომოურის ჩვენი ნაშრომის მაღალი შეფასებისა და კრიტიკული შენიშვნებისათვის. ჩვენც ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ნოდარ ლომოური არის ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის თვალსაჩინო-ნიჭიერი მკვლევარი, რომელსაც ხელი მიუნდება ჩვენი ქვეყნის ქართული, აგრეთვე უცხოურ წერილობით წყაროებზე, ამიტომ ბუნებრივია, მისი ზოგიერთი მოსაზრება ანგარიშგასაწევია.

ხსენებული გამოხმაურება იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ საქმე რთულ და ძნელ პრობლემას ეხება, რომლის მართებულ გაშუქებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიის სრულყოფილად გამართვასა და ფალსიფიკატორთა გამოაშკარავებაში.

ცხადია, ისტორიკოსები ნათლად ვხედავთ აფხაზეთის ტრაგიკულ სურათს, რომლის მიზეზების გამოვლენისთვის საჭიროა სათანადო ცოდნა, დინჯი კვლევა-ძიება, სამართლის თქმა და მეტი არაფერი.

დღეს მაინც არ უნა იყოს საეჭვო, რომ რუსეთის იმპერიის ხელისუფლების წარმომადგენლები მე-19 საუკუნიდანვე ამზადებდნენ ნიადაგს აფხაზეთის დაპატრონებისათვის, ასე ვთქვათ „რუსული აფხაზეთისათვის“, რაც არა მხოლოდ მის სისტემატურ კოლონიზაციაში გამოიხატება, არამედ ქართველებისა და ქართული ენის სისტემატურ დევნაშიც.

ამისი უშუალო გამოხატულებაა ვინმე მოძალადე ლ. ვორონოვის რუსიფიკატორული სულისკვეთებით დაწერილი თხზულება: „აბხაზია, ეტონე გრუზია“, რომელიც 1907 წ. გამოაქვეყნა ბროშურის სახით. ამ „სწავლულის“ ცრუ და აგრესიული ქადაგებით: აფხაზეთი არც პოლიტიკურად და არც კონფესიურად არ ეკუთვნოდა ქართველებს. კიდევ მეტი, აფხაზეთისათვის ქართველები ისეთივე უცხო დამპყრობლები იყვნენ, როგორიც რომაელები, ბერძნები, თურქები და სხვ. ლ. ვორონოვი ქართველებს არა მხოლოდ აგრესიულობაში ადანაშაულებს, არამედ აფხაზეთის უდამწერლობად დატოვებაშიც, ის „პოლიგლოტური ბუნების აფხაზებს“ მოუწოდებს დიდებული სლავური ენა და წირვა-ლოცვა შეითვისონ და ზურგი შეაქციონ „გონებაჩლუნგ ქართველებს.“

აფხაზებს ასეთივე მწლაკვი აზრებს სთავაზობს „ყუბანის რესპუბლიკის“ მოხელე ნ. ვორობიოვი, რომელიც 1919 წელს შეშფოთებას ვერ მალავს აფხაზეთში ქართული ატმოსფეროს არსებობის გამო (თითქოს ქართველები გადაყლაპვით ემუქრებოდნენ აფხაზებს) და აცხადებს, რომ „რუსები ვერასოდეს დავთმობთ ჩვენს მიწა-წყალს სოჭისა და ბაგრის ოლქების სახით.“

რუსეთის ხელისუფლება აფხაზეთში ერთმეორეს უპირისპირებდა აფხაზებსა და ქართველებს, რაზეც ხშირად ეებოდა კარიერისა და ფულისმოყვარე ზოგიერთი ადამიანი. ასეთთა შორის იყო გაგაფსუებული ქართველი ს. აშხანავა, რომელმაც თავის ცრუ და გესლიან თხზულებაში — „აფხაზეთის ისტორიის განვითარების გზა“ — არა მხოლოდ აფხაზეთის ისტორიის უცოდინარობა გამოავლინა, არამედ მისი დამოუკიდებლობის იდეაც წამოატივტივა. კიდევ მეტი, მან აფხაზებს კოლხური ცივილიზაცია და ქართული დამწერლობის გამოგონებაც მიაწერა, თუმცა ყველაფერი ის, რაც აფხაზებმა თავდადებული შრომითა და უდიდესი ნიჭის წყალობით შექმნეს, ქართველებმა ნაართვეს და მითვისეს. სამწუხაროა ისიც, რომ ს. აშხანავას ამ ნაცოდვილარს (რომელიც 1925 წ. გამოიცა) ენათმეცნიერ ნ. მარის საქებარი წინასიტყვაობა ახლავს.

გაუთვითცნობიერებელ აფხაზთა (აფსუათა) გონებისა და სულის მოწამვლაში და სეპარატისტული განწყობილების დანერგვაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დ. გულიამ, რომელმაც თავის თხზულებაში „აფხაზეთის ისტორია“, არა მხოლოდ თავდაყირა დააყენა საქართველოს ისტორია (ის, რაც ქართველებსა და საქართველოს ეკუთვნის — აფხაზებს მიათვალა), არამედ მათ შორის უფსკრულიც გათხარა.

თვითგანდიდებისა და ქართველთაგან განკერძოების ტენდენცია აფხაზ-აფსუებს საბჭოთა აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ წლებში გაუღვივდათ, მაგრამ განსაკუთრებით 50-იან წლებიდან, როდესაც ი. სტალინი გარდაიცვალა და საბჭოთა სისტემა ღრმა კრიზისმა მოიცვა, სისტემის ყველა მანკიერება და ცოდვა სტალინს მშობლიურ ხალხს ქართველებს მიეწერა, როცა მათ წინააღმდეგ გაუგონარი ლაშქრობა გაჩაღდა. ამავდროულად დაიწყო ქართველთა ძალადატანებით გააფხაზება, რომელმაც საკმაოდ ფართო მასშტაბი მიიღო, მაგრამ მშველელი არავინ აღმოჩნდა.

გაზვიადებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ თანამედროვე აფხაზური სეპარატიზმის გეგმას 50-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი, როცა საბჭოთა კავშირის ახალმა მესვეურებმა — ხრუშჩოვმა, სუსლოვმა, კოსიგინმა, მიქოიანმა, ანდროპოვმა და სხვებმა — სახელმწიფოებრივი აგიტაცია გააჩაღეს ქართველების წინააღმდეგ. სწორედ კრემლსა და აფხაზეთის კურორტებზე შეიქმნა და დაიხვეწა აფხაზეთის საქართველოსაგან ჩამოცილების და რუსეთისადმი მიერთების პროგრამა, რომლის იდეურ-თეორიული საფუძველი მოამზადეს აფხაზმა და რუსმა სწავლულებმა: მ. ტრაპშმა, შ. ინალიფამ, გ. გულიამ, მ. გუნბამ, გ. ტურჩანინოვმა, ი. ვორონოვმა, მ. კოროსტოვცევმა, ვ. კოჟინოვმა, ვ. არძინბამ და სხვებმა. აფხაზური სეპარატიზმის . იდეოლოგიური იდეის მიხედვით, მთელი დასავლეთ საქართველოს (კოლხეთ-ეგრისისა და აფხაზთა სამეფოს) სახელმწიფოებრივობის და კულტურის შემოქმედი აფხაზი ხალხია, რომელიც ამასთან უძველესი ცივილიზაციის ბურჯი და მსოფლიოს უძველესი ხალხების ნათესავია (გარდა ქართველებისა) და რომელსაც სულ მცირე 2500 წლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორია მაინც აქვს.

ასეთმა ცრუ თვითგანდიდებამ სული და გონება მოუწამლა და აუფორიაქა აფხაზ-აფსუათა საზოგადოების გაუთვითცნობიერებულ მასას, რომელმაც სეპარატისტული დროშა აიტაცა და მახვილი აღმართა ქართველების წინააღმდეგ — როგორ თუ წინ გეელობებიან, ისტორიასა და სამშობლოს გვართმევენო, რაც 1989-1993 წლებში შეტაკებასა და ომში გადაიზარდა და აფხაზეთის ქართველთა გენოციდით დამთავრდა. გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ისტორიის ზოგიერთი პრობლემის გაშუქებაში.

ახლა უშუალოდ შენიშვნებზე, რომელთაც პრინციპული მნიშვნელობა აქვთ ქვეყნის ისტორიის ზოგიერთი პრობლემის გაშუქებაში. ბატონი ნოდარი კატეგორიულად აცხადებს, რომ თუ მისი შენიშვნების ნანილი „კვლავ დაფიქრებასა და აწონილ-დაწონილ განსჯას მოითხოვს, მეორე ნაწილი „არავითარ განსჯას არ ექვემდებარება.“ თან დასძენს, რომ ჩვენდამი მისი კრიტიკა მეგობრულია და კეთილგანწყობითაა ნაკარნახევი. ამაში არც ჩვენ გვეპარება ეჭვი, არც იმაში, რომ ყველაფერი პრობლემის სრულყოფილი გაშუქების სურვილითაა ნაკარნახევი.

ბატონი ნოდარი აღნიშნავს, რომ ჩვენმა წერილმა ძალზე შთამბეჭდავი და დამაჯერებელი სურათი შექმნა (სხვა მოლოდინი არც მქონდაო), მაგრამ შეუფერებლად მიიჩნევს მის სათაურსაც და დასაწყისსაც: „ბატონი გერონტის რანგის მეცნიერი არ უნდა აჰყოლოდა მოარულ, აბსოლუტურად მეცნიერულად ყალბ მტკიცებას, რომლის მიხედვით არსებობდნენ ძველი აფხაზები და თანამედროვე აფსუები.“ (იხ. ცისკარი“, 1997, გვ. 131).

სიმართლე რომ ვთქვა, ასეთი მსჯელობა, როგორსაც ჩვენი ოპონენტი აქ გვთავაზობს, მეც გულწრფელად მაკვირვებს, ისეთი რანგის მეცნიერისაგან, როგორიც ბატონი ნ. ლომოურია. მიკვირს მისგან იმის უარჰყოფა, რომ ძველი აფხაზები სავსებით განსხვავდებოდნენ თანამედროვე აფხაზი-აფსუებისაგან. გამაოცა მისმა თქმამაც, თითქოს ჩვენი მსჯელობის მოტივაცია „მოარული ხმა და მეცნიერულად ყალბია.“

ვფიქრობ, საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ იყვნენ ძველი აფხაზები (მე-8-დან მე-15 საუკუნემდე მაინც) ისტორიოგრაფიაში ძირითადად გარკვეულია. დადგენილია, რომ დასახელებულ ეპოქაში აფხაზთა სამოქმედო ენა, სარწმუნოება, სოციალურ-ეკონომიკური წყობა, კულტურა, ჰოლიტიკა და ა. შ. ქართული იყო (ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ს. ჯანაშია, ს. ყაუხჩიშვილი, ჰ. ინგოროყვა, გ. ჩუბინაშვილი, ს. ამირანაშვილი, ა. აფაქიძე, ო. ჯაფარიძე, გ. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, მ. ლორთქიფანიძე, დ. მუსხელიშვილი, ა. ონიანი და სხვ.). შესაძლებელია ამ პერიოდში საკუთრივ აფხაზეთის რომელიმე ნაწილში რაღაც განსხვავებული ენა ჯგუფიც არსებობდა, მაგრამ ეს არ ჩანს და ამისი საგნობრივი დამტკიცება არავის ძალუძს.

რაც შეეხება ძველ აფხაზთა სახელმწიფოს, მის მართვა-გამგეობას, ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურას, საზოგადოებრივ ურთიერთობას, სასულიერო სისტემას, ასევე საერო და საკულტო ნაგებობებს, მათ წარწერებსა და მოხატულობას, ოქრომჭედლობას, სნავლა-განათლებას, ყოფა-ცხოვრების ძირითად წესებსა და სხვ, ყველაფერი ეს ქართული იყო და ამისი უარყოფა შეუძლებელია.

ბატონო ნოდარ! აბა სცადეთ ხსენებული ეპოქის აფხაზეთის ყოფა-ცხოვრების განსხვავებული სურათის არსებობის დამტკიცება — თუ ამას შეძლებთ, მე მადლობელი დაგრჩებით და დაგეთანხმებით.

ბატონო ნოდარ! დასახელებული ეპოქის აფხაზები რომ ქართული სამყაროს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ, ეს დიდი ხანია დამტკიცებულია და, თუ ამის დასადასტურებლად ჩემი პროფესიული ავტორიტეტი არ კმარა, მიმმართოთ საყოველთაოდ აღიარებულ მეცნიერს ბატონ ნიკო ბერძენიშვილს. აი რას წერს ის ცნობილი მეცნიერის ზ. ანრაბაძის მტკიცების — თითქოს ფეოდალურ ეპოქაში აფხაზები ცალკე ერად ჩამოყალიბდნენ — წინააღმდეგ: ქართულმა ფეოდალურმა ურთიერთობამ ისე ძლიერ მოიკიდა ფეხი ძველ ეგრისში (სადაც აფხაზთა სამეფო ჩამოყალიბდა), რომ „საკუთრივ ქართლის უკიდურესი სივინროვის პირობებში (არაბების ბატონობა) აქ ქართული სახელმწიფო იშვა, აფხაზთა დინასტიის მეთაურობით... ქართლის პოლიტიკური დახმარების გარეშე მეორე ქართული (აფხაზეთი) წარმოიშვა...“ (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ. 1990, გვ. 590). შემდეგ მეცნიერი აღნიშნავს, რომ ქართული ფეოდალური აზროვნება მუდამ ერთ სამყაროდ სთვლიდა საქართველოს, რომლის წევრები იყვნენ ჰეროსსი, ქართლოსისა და ეგროსის ხეედრი ქვეყნები, მათ შორის სვანეთი და აფხაზეთი: „ყველა ესენი ქართველები იყვნენ და ეს არა მარტო კოფეტსიური თვალსაზრისით, არამედ ფეოდალური კულტურის თვალსაზრისით, ამდენადვე, აქ არ შეიძლება სხვადასხვა ეროვნებაზე , როგორც ეთნიკულტურულ ცნებაზე საუბარი. როგორც ფეოდალური ქვეყანა აფხაზეთი, ისეთივე საქართველო იყო, და აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორიც ეგრისი და მეგრელი, როგორიც ჰერეთი და ჰერი, როგორც ქართლი და ქართლელი... ამას ასე გრძნობდა იოანე მარუშისძე, ან ოთაღო შარვაშისძე, ცოტნე დადიანი, კახაბერ გურილი და ბეკა ჯაყელი...“ (იქვე, გვ. 608. ხაზგასმა ჩემია გ. გ.).

ბატონო ნოდარ! აქ ხომ პირდაპირაა ნათქვამი, რომ აფხაზეთი საქართველოა, ხოლო აფხაზი ისეთივე ქართველია, როგორიც მეგრელი, გურული, ჰერი, კახი, ტაოკლარჯელი, მესხი და ა. შ., არა მხოლოდ ნაწილობრივ კულტურულ-ისტორიულად, არამედ საერთოდ. თქვენ კი წერთ: „მე სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ არც ერთი პირველწყარო არავითარ, სულ მცირე მინიშნებასაც კი არ იძლევა აფსილებისა და აბაზგების ქართული (ქართველური) წარმომავლობის შესახებ...“ (იხ. წერილი, გვ. 132.). როგორ გავიგოთ ეს? თუ ამას პირდაპირ გაგებით ამბობთ, მაშინ სწორი ხართ, მართლაც არც ერთხელ არაა მითითებული, რომ აფშილები და აბაზგები ქართველები იყვნენ, რადგან მაშინ სახელწოდება ქართველი არც არსებობდა, მაგრამ არც არსად არსებობს იმაზე მითითება, რომ აფშილი აფხაზი იყო (მაშინ თქვენ რატომ თვლით მას აფხაზად!), არც იმაზე, რომ სანგები, კოლები, კორაქსები და სხვები აფხაზები იყვნენ (როგორც ამას თანამედროვე აფხაზი ისტორიკოსები თვლიან). მაგრამ თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ — რა შინაარსსაც გამოხატავენ აფშილებისა და აბაზგების ნასახლარი ტოპონიმები (სხვა მონაცემი არ გვაქვს), აგრეთვე იმათი ნაკვალევის (აფხაზების), ვისაც ისინი შეერიენ და შეერწყნენ, მაშინ ვნახავთ, რომ ისინი ქართველური არ მათი მონათესავე იყვნენ, (რადგან ხსენებული ტოპონიმები ქართული ან ქართველურია, აფსუური კი არცერთი, (ამაზე დაწერილებით ქვემოთ). ეს კი თავისთავად იმისი მაჩვენებელია, რომ აფშილებისა და აბაზგების ადიღეურ-აფსუურობის (განბავთ აბაზურობის) შესახებ არავითარი — არცერთი პირველწყარო, არც რაიმე სარწმუნო მინიშნება არ მოგვეპოვება, გარდა ენათმეცნიერული ჰიპოთეზა — ვარაუდებისა და სახელწოდებათა გარეგნული მსგავსებისა.

გაგრძელება მე-9 გვერდზე

„კუბ ფეხი გამოყო და მეც ნახირ-ნახირო...“

„ედუარდს შეუძლია მშვიდად იყოს, თუკი როველიძე მანქანა აუფეთქდება და ამ „შემთხვევით უბედურებას“ გადაკვეცა, მას პოლიტიკურ მსხვერპლად არავინ მიიჩნევს“

მეშვიდე გვერდიდან

სსრკ-ს აღდგენა, რომელიც რესპუბლიკებში არსებულმა მძლავრმა ეროვნულმა მოძრაობებმა დაანგრია, ყოვლად წარმოუდგენელია, მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა ამის მომხრე ჩვენი დღევანდელი პრეზიდენტი. რაც შეეხება მძლავრ ეროვნულ მოძრაობებს, რომელსაც დამანგრეველი ძალა ჰქონდა, ახლა იგი ჩვენში თავად არის დაშლილ-დაქუცმაცებული და ძალწართმეული, ეროვნული მოძრაობის სულისჩამდგმელთა (მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას) გარდაცვალებამ არ დაასამარა, მაგრამ კარგა ხნით კი გაყინა იდეები.

ზვიად გამსახურდიას საქმეებს მისი მეუღლე მანანა არჩვაძე აგრძელებს...



კოსტავა-გამსახურდიას მიმდევართა დიდი მონდომების მიუხედავად, ახალი გზა ხსნისა მაინც არ ჩანს...

— ბატონო თემურ, ზვიადის სიკვდილის შემდეგ მანანა არჩვაძის ფიგურამ მეტი წონა შეიძინა პოლიტიკაში. იგი მეუღლის იდეების გამგრძელებელია. თქვენი აზრით, რამდენად გააზრებულია მისი პოლიტიკური საქმიანობა? ეროვნული მოძრაობის მანანასეული ფრთა კანონიერი ხელისუფლების აღდგენას ითხოვს.

— მე გამსახურდიების ოჯახისადმი უხერხულ დამოკიდებულებას ვერავინ დამწამებს, იმდენად ახლოს ვიყავი მათთან. ერთი რამ მინდა ვთქვა, ყველა ვერ იქნება ზვიად გამსახურდია, ვერც მეუღლე, ვერც შვილი, ვერც ბიძაშვილი... მე ვუსურვებდი ქალბატონ მანანას, გაეგრძელებინოს ზვიადის გზა და არ შეჩერებულიყოს იქ, სადაც 1991-92 წლებში შევჩერდით ჩვენ ყველანი. ალბათ, ჩემი პოლიტიკური ჩამორჩენილობის, უმეცრების და უნიგნურობის ბრალია, რომ არ ვიცი, როგორ უნდა აღდგეს კანონიერი ხელისუფლება. მე ველოდები, ამას განგვიმარტავს ქალბატონი მანანა. მე მზად ვარ მის გვერდით დავდგე, თუკი რეალურ პროგრამას მოგვაწვდის. მანამდე კი... ეს არის არა ზვიად გამსახურდიას საქმის გაგრძელება, არამედ იმ წერტილთან მისვლა, ამირანის მითში რომ არის ნათქვამი: „მესამედ იქვე მივედით, გუშინ რომ დავკართ ისარი“. ეს ცოტა უხერხული საკითხია.

— საკმაოდ მწვავე იუმორის პატრონი ბრძანდებით. რამდენად სერიოზულად ელით ქალბატონ მანანასგან ჭეშმარიტი გზის დანახვას?

— ეს ქალბატონ მანანაზეა დამოკიდებული. იგი ნიჭიერი ქალია, საკმაოდ ჩახედული პოლიტიკაში, განსაკუთრებით ურთიერთობებში. ერთია მხოლოდ, თუ იგი ზვიადის მიერ დაწყებულ საქმეს ისე არ ნაიყვანს, როგორც ზვიადს მიჰყავდა, როგორც პოლიტიკოსი, დაიღუპება.

ამინდის პროგნოზი (ჰიდრომეტეოროლოგების წინასწარმეტყველება) ხშირად ამართლებს ხოლმე, მაგრამ პოლიტიკური ამინდის პროგნოზისა (ვინც არ უნდა წინასწარმეტყველებდეს), რა მოგახსენოთ.

ჩვენს რესპონდენტს მაინც შევთავაზეთ ბედი ეცადა...

— თუ ჩვენი საზოგადოება „ჭკვიანად მოიქცევა“, მას არავითარი უფლება არა აქვს, პრეზიდენტად აირჩიოს ედუარდ შევარდნაძე. ქართველი ერი თუ თავის მორალურ ვალდებულებებს შეასრულებს, თავს გადაირჩენს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაიღუპება.

მანანა ლოგაჯანიძე

„ეს ფენომენი ... ეროვნული ... ...“

მერვე გვერდიდან

აფხაზეთზე და აფხაზეთზე სინამდვილე უნდა ვწეროთ!

ჩვენი თვალსაზრისის სასარგებლოდ ნიშანდობლივია ისიც, რომ ძველ აფხაზსა და ქართველს ერთმანეთთან აიგივებენ შუა საუკუნეების არაბი, სპარსი, რუსი და ზოგიერთი სხვა უცხოელი ისტორიკოსი, მაგალითად: იაკუთი, ალ-მუჰიბი, ალ-კაშანდი, ალ-მასუდი, ბადრ ად-დინ ალ-აინი, ისფანდიარი, შარაფ ად-დინალი, ჰაფეზ-აბრუ, იაპია-ანტიოქელი, ათაბასეკიკიტინი და სხვ.

ახლა იმის თაობაზე, თუ ვინ არიან დღევანდელი აფხაზები, განსხვავდებიან თუ არა ისინი ძველი აფხაზებისაგან, ან საიდან გაჩნდა აფხაზეთში ის ხალხი, რომელმაც ვითარება შეცვალა!?

გვაქვს სრული საფუძველი ვამტკიცოთ, რომ დღევანდელი აფხაზების ნაწილი (აფსუები) ჩრდილოეთიდან არის აფხაზეთში ჩამოსახლებული საქართველოს პოლიტიკური დაძლის შემდეგ (ისე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში ოსები, ლეკები, ჩეჩნები და სხვ.).

როგორც ირკვევა, ადიღეურ-ჩერქეზულმა და აბაზურმა ტომებმა აფხაზეთის მინა-წყალზე ინტენსიური ჩამოწოლა მე-15 საუკუნიდან დაიწყო (მხედველობაში არ მაქვს ჯიქთა უძველესი ჩამოსახლება ჩრდილო დასავლეთ აფხაზეთში). ამას არა მხოლოდ ისტორიული წყაროები მოწმობს, არამედ აფსუური და ადიღეურ-ჩერქეზული ფოლკლორიც. ერთ-ერთი გადმოცემით, აფსუები ანუ აბაზები ჯერ ყუბანისპირეთში ცხოვრობდნენ, მაგრამ სიცივისაგან შეწუხებულნი აფხაზეთში ჩამოსახლდნენ და დამკვირდნენ (იხ. შ. ინალიფა, აფხაზები, სოხუმი, 1960, რუსულ ენაზე; აფხაზური ხალხური პოეზია, თბ., 1984 და სხვ.).

აფხაზეთში აფსუათა ჩამოსახლებაზე ასეთივე თქმულება-გადმოცემა არსებობს ყაბარდო-ჩერქეზეთში (აბაზეთში), რომლის მიხედვით აფხაზეთში მცხოვრები ლეგენდარული გმირები ცანდია ინალდიფი და ინალი (შესაძლებელია ორივე ერთი და იგივეა) ჩერქეზეთიდან იყვნენ მოსული. ამასვე ადასტურებს შორა ნოგმოვის ეთნოგრაფიული ჩანაწერები, რომლის მიხედვით ყუბანისპირეთის ადიღე-ჩერქეზების გაერთიანებულმა ტომებმა აბაზა აშესა და შაშეს წინამძღოლობით დაიპყრეს აფხაზეთი (შ. ნოგმოვი, ადიღეს ხალხის ისტორია, გ. კოკიევის გამოც., ნალჩიკი, 1947, გვ. 54-655, რუსულად).

მსგავსი გადმოცემა არსებობს აფხაზეთში აიგბების, აჩიპსების, აფიპსებისა და სხვათა ჩამოსახლების შესახებ.

აფხაზეთში ადიღე-ჩერქეზთა ლაშქრობას და დამკვიდრებას ადასტურებს გენუელი მოგზაურის ჯ. ინტერანოს ცნობები (მე-16 ს.), რომელიც აფხაზეთს („ავოგაზიას“) კოლხეთის ნაწილს უწოდებს.

ჩანს აფხაზეთის ათვისებას ყუბანისპირეთში მოსახლე აბაზებთან ერთად ჩერქეზული მოდგმის ჯიქები (ზიხები) და უბიხები განაგრძობდნენ მე-16 საუკუნეში.

აფხაზთა ნაწილის ვინაობასა და სადაურობაზე მოგვითხრობს ავსტრიელი დიპლომატი ს. ჰერბერშტეინი (მე-16 ს.), რომელიც, რუსეთში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, წერს რომ „აფგაზები“ ყუბანის ქვემო წელში ცხოვრობდნენ (ხოლო ჩერქეზები მთებში). ეჭვი არ არის, რომ ხსენებული ავტორი აბაზებზე ანუ აფსუებზე ლაპარაკობს, რომლებიც, ჯერ კიდევ, აფხაზეთში არ იყვნენ გადმოსახლებული (უნდა ითქვას, რომ ს. ჰერბერშტეინი ეხება იმ ხალხს, ვინც ყუბანის ქვემო წელიდან მის სათავეებში გადაადგილდნენ და მათი ნაწილი აფხაზეთში გადმოსახლდნენ ე. ი. აბაზებზე ანუ აფსუებზე). ისიც აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ავტორი ერთიმეორეში ურევს აბაზებსა და აფხაზეთს (ისე, როგორც აფსილ-აბშილებს აბაძეხებში და აბეშლაში, ჩანს სახელწოდებათა ფონეტიკურ-ფორმალური მსგავსების გამო), მაგრამ ფაქტია, რომ აბაზა-აფსუები ჩრდილო კავკასიის ხალხია, რომელთა ნაწილი მე-16-მე-19 საუკუნეებშია აფხაზეთში ჩამოსახლებული და ადგილობრივ ხალხში შერეული.

ამ გარემოებას, სხვათა შორის, ადასტურებს დიუბუა დე მონპერეს მიერ (პლინიუს უფროსის 24-79 წწ. ცნობების საფუძველზე) 1843 წ. შედგენილი რუკა, რომელშიც „აბსოე“ ანუ „აბზოე“ (ე. ი. აბაზა-აფსუა) კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზეა (მდ. ვოლგის შესართავიის მარჯვნივ-სკვითების, უდეების, სარმატების, კარასტასებისა და დაღესტნური ტომების მახლობლად) ნაჩვენები. როგორც ჩანს, „აბსოები“, როგორც მიხე

საქართველოს ნაკრები სერიოზულად ემზადება

გულშემატკივრებს შეხსენებაც არ სჭირდებათ იმისა, თუ როგორი მნიშვნელობის მატჩი ელის საქართველოს ეროვნულ ნაკრებს 30 მაისს. რუსებთან პაექრობას ორმაგი დატვირთვა აქვს. ერთი ის, რომ ამ სეზონში საქართველოს ეროვნული ნაკრები ოთხი გასვლითი მატჩის შემდეგ საკუთარ სტადიონზე, გულშემატკივართა თვალწინ პირველ მატჩს გამართავს, მეორე და უმთავრესი - ჩვენ მეტოქე თვით რუსეთის ეროვნული გუნდი იქნება. სპორტულთან ერთად, გვინდა არ გვინდა, ამ შეხვედრას პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. თუ რატომ, ყველას კარგად მოგვეხსენება. თუმცა უმჯობესია, ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვეთ.

ეროვნული ნაკრები მატჩის წინა სამშაბათს კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში გადის. ვარჯიშით კი მცხეთის „არმაზის“ სტადიონზე ვარჯიშობს. დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, მატჩამდე ორი დღით ადრე, ნაკრების თავკაცმა ვლადიმერ გუცაევმა ჟურნალისტები ჩვეული თავაზიანობით მიგვიპატიჟა პრესკონფერენციაზე და გუნდის დღევანდელ მდგომარეობაზე, მატჩისათვის სამზადისზე გულღიად ისაუბრა. ნიშანდობლივი იყო ის, რომ ამჯერად მწვრთნელთა და ჟურნალისტთა საუბარს ფეხბურთელებიც ესწრებოდნენ, მათაც გამოთქვეს თავიანთი აზრი, უპასუხეს ჟურნალისტთა შეკითხვებს.

გამოგიტყდებით, კრწანისის რეზიდენციაში შექმნილმა ატმოსფერომ, იქაურმა სიმშვიდემ კიდევ ერთხელ დამარწმუნა ვლადიმერ გუცაევის გადაწყვეტილების სისწორეში, როცა იგი აცხადებდა, რომ ნაკრებს ნებისმიერი მატჩისთვის მოსამზადებლად მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები უნდა ჰქონდესო. კრწანისის სამთავრობო რეზიდენცია ამისთვის ნამდვილად ზედგამოჭრილი გახლავთ. როგორც ზემოთ ვთქვი, შეუძლებელია აქაურმა სიტუაციამ, სიწყნარემ, სუფთა ჰაერმა დადებითი ზეგავლენა არ მოახდინოს ფეხბურთელთა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ განწყობაზე, რაც მათთან საუბარმაც ნათლად წარმოაჩინა.

პრესკონფერენცია დანიშნულ დღესა და დროზე დაიწყო. ჟურნალისტთა სამმო რეზიდენციაში პრესკონფერენციამდე რამდენიმე წუთით ადრე შეიკრიბა. ჩვენი მისვლისას ფეხბურთელებს თეორიული მეცადინეობა ჰქონდათ. მისი დასრულებისთანავე იქვე, ფოიეში, პირველ სართულზე შევიკრიბეთ და მწვრთნელებთან და ფეხბურთელებთან ჩვენი საუბარიც დაიწყო.

ვლადიმერ გუცაევმა მადლობა გადაგვიხადა მობრძანებისათვის. ჩემთან ერთად ფეხბურთელებსაც გაესაუბრეთო, გვითხრა. თან გაგვაფრთხილა და ნაკრების რეჟიმი დაგვეცვა და პრესკონფერენციისათვის ერთი საათი გამოგვიყო.

ნაკრები სრული შემადგენლობით ემზადება

შეკითხვაზე, თუ რა სიტუაციაა გუნდში, ვლადიმერ გუცაევმა ასე განგვიმარტა: „ფეხბურთელებიდან, ვისაც ველოდით, ყველა ჩამოვიდა, არ ჩამოსულა კახა კალაძე. მას კიევის „დინამოს“ შემადგენლობაში თასის ფინალი აქვს სათამაშო და ვალერი ლობანოვსკიმ ნაკრებში იგი არ გამოუშვა, ვინაიდან 30 მაისი ფიფას კალენდრით გათვალისწინებული დღე არ არის, ვერც ჩვენ დავატანეთ ძალა და ვერ მოვთხოვეთ მისი აუცილებლად გამოშვება თბილისში. რაც შეეხება ზაზა ჯანაშიას, მას ორი კვირით ადრე წესით და რიგით გავუგზავნეთ ნაკრებში მოწვევის შეტყობინება. ჩვენი წარმომადგენელი ორჯერ იყო აეროპორტში მის დასახვედრად, მაგრამ იგი დღემდე არ ჩანს. დანარჩენი ყველა ფეხბურთელი ადგილზეა და არც ტრავმები ანუხებთ.

ნაკრები ყველასთვის უმთავრესი უნდა იყოს

შეკითხვაზე, თუ რა არის ზაზა ჯანაშიას ნაკრებში გამოუცხადებლობის მიზეზი, **ვოვა გუცაევმა** ასე გვიპასუხა: .

„ლოკომოტივს“ 7 ივნისს უწევს თასის ფინალი. მანამდე კი საკმაო დრო არის. ჩემი ღრმა რწმენით, ნაკრებში გამოძახებული ნებისმიერი ფეხბურთელისთვის ეროვნული გუნდის ღირსების დაცვა უმთავრესია.

თქვენ თავად ნახავდით, თუ როგორ გამოფინეს ამსტერდამში ჩემპიონთა ლიგის ფინალში გამარჯვების შემდეგ ესპანელებმა ეროვნული დროშა, ხოლო „რეალის“ ბრაზილიელმა ლეგიონერებმა - ბრაზილიის ეროვნული დროშა. მე არ მესმის, თუ რატომ უკეთებს იგი იგნორირებას ეროვნულ ნაკრებს. თუმცა, აქ ჩამოსვლა მხოლოდ მისი გადასაწყვეტია.

მეტოქეს, როგორც წესია, ისე უნდა დავხვდეთ

მთელმა გუნდმა უყურა გუშინ პოლონეთში რუსეთისა და პოლონეთის ეროვნული ნაკრები გუნდების მატჩს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ნაკრებმა ამ მატჩში უსუსური შთაბეჭდილება დატოვა, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენთან ისინი ყურებჩამოყრილი არ იქნებიან. ნაკრებსაც გააძლიერებენ. მათ ჰყავთ რამდენიმე ფეხბურთელი, კერძოდ ონოპკო, ციმბალარი, რომელთაც შეუძლიათ ნაკრები უფრო ბრძოლისუნარიანი გახადონ. ასე რომ, ჩვენთან საპაექროდ ისინი უფრო ძლიერი შემადგენლობით ჩამოვლენ. ჩვენი მოვალეობაა, როგორც წესი და რიგია, ისე დავხვდეთ და რა თქმა უნდა, უნდა გავიმარჯვოთ.

შეკითხვაზე, თითქოს იგი ტუნისში ნაკლებ ენერგიას ხარჯავდა და ბრძოლას ერიდებოდა, **შოთა არველაძემ** ასე უპასუხა: მე ვერ გამიგია რას ეძახიან ბრძოლას, ის, რომ გოლი ვერ გავიტანე, ეს სხვა საკითხია. ვის რა ეწყინა, მე არ ვიცი, მაგრამ იმ მატჩში მე სრული დატვირთვით ვითამაშე. მოთამაშის პასუხი შემდგომ ვლადიმერ გუცაევმა გააგრძელა - როცა ნაკრებში მოდის ახალი ხელმძღვანელობა, ყოველთვის რაღაც ახალის შექმნას ცდილობს. ჩვენ ვქმნით კოლექტივს, ჩვენი მიზანია ერთმანეთს დავეხმაროთ თამაშშიც და ცხოვრებაშიც. და თუ კონკრეტულ მატჩში შოთამ გოლი ვერ გაიტანა, დარწმუნებული ვარ, მან მატჩში მთელი თავისი შესაძლებლობები ჩადო. შემპარდა კიდეც, რუსებთან შეხვედრაში გოლს აუცილებლად გავიტანო.

მთავარია, ვეცდებით ხარვეზები ნაკლები იყოს

შეკითხვაზე, თუ ძირითადად რომელ რგოლშია ყველაზე მეტი პრობლემა, **ვლადიმერ გუცაევმა** ასე უპასუხა: გუნდში არსებულ პრობლემებზე ტუნისის მატჩის წინაც ვისაუბრეთ: პრობლემა ყველა რგოლშია. ვცდილობთ გუნდი ბალანსირებული იყოს, სტაბილურად ითამაშოს, ხარვეზების აღმოფხვრაზე ვარჯიშისას ვმუშაობთ. როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი მონდომება, გარკვეული ხარვეზი გუნდს ყოველთვის ექნება, მაგრამ მთავარია მათი რაოდენობა მინიმუმამდე დავიყვანოთ რომ 5 სექტემბრის ოფიციალურ მატჩში ხარვეზები ნაკლებად გვქონდეს.

ფეხბურთი და პოლიტიკა

საერთოდ, დღევანდელი სიტუაცია რომ არ ყოფილიყო, რუსებთან ნებისმიერ დონეზე თამაში ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში მუდამ ბრძოლად იქცეოდა ხოლმე. ყველანაირად ვეცდებით, რუსებს დავანახოთ, რომ ფეხბურთს მათზე უკეთ ვთამაშობთ. თუმცა, არც იმ დიდი ტრადიციების დავიწყება შეიძლება, რაც რუსულ ფეხბურთს გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ მათ ნაკრებში ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი არ იქნება, მაინც უშეღავათო ბრძოლა მოგვიწევს. ვეცდებით მოვიგოთ და ყველას დავანახოთ, რომ ქართული ფეხბურთი არ მომკვდარა.

იგივე საკითხზე **შოთა არველაძემაც** გამოთქვა თავისი აზრი: „მატჩის ირგვლივ შექმნილ ატიოტაჟში პრესას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. რუსებთან ჩვენს თამაშში პოლიტიკური არაფერი დევს. ეს ფეხბურთია. ჩვენ გვინდა დავამტკიცოთ, რომ ფეხბურთს უკეთ ვთამაშობთ. სტუმარს საკადრისად უნდა დავხვდეთ, ღირსეულად უნდა მივიღოთ, მაგრამ უნდა გავიმარჯვოთ. ჩვენ პოლიტიკოსები არა ვართ, ჩვენი საქმე ფეხბურთის თამაშია.

თემურ ქეცბაია: ჩვენ გვჯერა საკუთარი თავის და უნდა გავიმარჯვოთ. მარტო ის რომ ვიფიქროთ, რომ ჩვენს მტრებს ვეთამაშებით, კიდევ უფრო გაგვიჭირდება, ჩვენ ფეხბურთზე უნდა ვიფიქროთ, ეს სპორტია, ვინც უკეთესია, ის მოიგებს. მერწმუნეთ, ყველა ფეხბურთელი თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს გამოავლენს და თქვენთვისაც და ჩვენთვისაც სასურველ შედეგს მივიღებთ.

ჩვენ მათთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს

ვლადიმერ გუცაევი: რუსებთან ურთიერთობაში მათი საქართველოში მოწვევით და ჩამოსვლით ერთი საქმე უკვე გავაკეთეთ. ჩემსა და ბორის იგნატიევს შორის მეგობრული და პროფესიონალური დამოკიდებულებაა.

ჩვენ არავისი გვეშინია

ვლადიმერ გუცაევი: თეორიულ მეცადინეობაზე ფეხბურთელებს ავუხსენი, რომ თუ მათ მეტოქის უხეშობის ეშინიათ, მაშინ უმჯობესია მინდორზე არ გავიდნენ. საერთოდ ასე ვთვლი, დარტყმას შენც დარტყმით უნდა უპასუხო. უხეშობის ზღვარზე თამაშს ასეთივე თამაში უნდა დაუპირისპირო. თუნდაც იტალიის ნაკრებთან მატჩში ფოცხვერიას მაგალითი გავიხსენოთ. მეც და თქვენც, როგორც კაცებს, მისი საქციელი მოგვეწონა. გასალახი გაილახა, მაგრამ დისკვალიფიკაციის გამო იგი, როგორც იცით, 2 მატჩს გამოტოვებს. ჩვენი ორიენტირია, საქართველოს ნაკრები რაც შეიძლება ბრძოლისუნარიან გუნდად იქცეს. ამ თემაზე საუბარში მწვრთნელს მხარი **კახა ცხადაძემ** აუბა და განაცხადა: „ჩვენ თავს არ დავზოგავთ და არაფერს დავთმობთ.“

ნაკრებში ოფლიც და სისხლიც უნდა დაღვარო

ვლადიმერ გუცაევი: ჩვენ ყველანი პატივს ვცემთ ჩვენი ფეხბურთელების კლუბებს, მაგრამ საქართველოს ნაკრები უპირველესია. აქ ოფლიც და სისხლიც უნდა დაღვარო, რათა სასურველ შედეგს მიაღწიო. რუსებთან გამარჯვებით ისინი თავიანთ კლუბებს თავაწეულნი დაუბრუნდებიან და მეტ პატივისცემას დაიმსახურებენ.

შოთა არველაძე: „ფეხბურთი ისეთი სპორტია, მუდამ ერთ დონეზე ვერ ითამაშებ, ჩავარდნაც გექნება და ძალიან მწყინს, როცა მეუბნებიან, რომ ნაკრებში შენს შესაძლებლობებს სრულად არ ავლენო. ჩვენთვის მთავარია, შესარჩევი ციკლის დაწყებას მზად შევხვდეთ. მე ნაკრებში თამაშზე არასოდეს მითქვამს უარი. ჩვენ სპორტსმენები ვართ და ხან კარგად ვითამაშებთ, ხანაც ცუდად. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ნაკრებს პატივს არ ვცემთ.

ხშირი შეცვლები აუცილებელი არაა

ვლადიმერ გუცაევი: არა ერთხელ მითქვამს, მატჩის მსვლელობისას აუცილებელი არ არის განაცხადში მყოფმა ყველა ფეხბურთელმა ითამაშოს, მე მათი შესაძლებლობები კარგად ვიცი. ეს ჰოკეი არ არის და თუ აუცილებლობას არ წარმოადგენს, შეცვლებს არ გავაკეთებთ. აქ საჭიროა გავითვალისწინოთ მატჩის შედეგიც, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ნაკრების საერთაშორისო რეიტინგს ანგარიში უნდა გავუწიოთ. თუ ფეხბურთელი კარგად თამაშობს, მისი გამოცვლა მიზანშეუწონლად მიმაჩნია.

თუ კარგი პიროგები შემომთავაზეს, გუნდიდან წავალ

თემურ ქეცბაია: „მთლიანობაში ინგლისში ჩატარებული სეზონით, უფრო სწორად, ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ, ჩემით ბევრი კლუბი იყო დაინტერესებული. პირადად მე ნუკასლიდან წასვლაზე არ მიფიქრია და არც გუნდის მესვეურები ცდილობენ გუნდიდან ჩემს გაშვებას. ეი. მე მათ ვჭირდები. თუმცა, სხვაგან თუ კარგი პირობები შემომთავაზეს, ალბათ, გუნდიდან წავალ. მე არ მაწყობს მუდამ სკამზე ჯდომა. მინდა, რომ ნაკრების თამაშებს სრულ მზადყოფნაში შევხვდე და ვცდილობ უკეთესი კლუბი და პირობები გამოვნახო. თუმცა, არ არის გამორიცხული, თუ შარშან „ნუკასლს“ ჩავარდნა ჰქონდა, მომავალში შეიძლება კარგად ითამაშოს. ვნახოთ, სეზონი დაიწყება და ყველაფერი მაშინ გაირკვევა. გუნდში შექმნილ ვითარებაზე საუბარი **კახა ცხადაძემ** გააგრძელა. „სიტში ჩემს ყოფნას რაც შეეხება, მეც დიდი სურვილი მაქვს, უკეთეს გუნდში ვითამაშო, რადგან ჩემი მიზანიც იგივეა - ნაკრების მატჩებს მომზადებული შევხვდე.

გოჩა ჯამარაული: „ტრაბზონ-სფორთან კონტრაქტი გამითავდა. ამჟამად უგუნდოდ ვარ. დარჩენას კი მთავაზობენ, მაგრამ კონკრეტული პასუხი ჯერ არ გამიცია. “

შეიძლება ორივე მეკარე ვათამაშო

ვლადიმერ გუცაევი: საბოლოო შემადგენლობას თამაშამდე საათნახევრით ადრე გამოვაცხადებ. მეკარეებს რაც შეეხებიან, ეს სერიოზული საკითხია და არ მინდა, რომ შეცდე. ტუნისში მომხდარი შეცდომა არ უნდა განმეორდეს. მეკარე იმისთვის არის, რომ ასაღები ბურთი უნდა აიღოს. გვარამაძე ასეთ შეცდომებს უნდა ერიდოს. ჩვენ გაშვებული გოლისთვის იგი არ დაგვისჯია და არც ვაპირებთ ამის გაკეთებას, მაგრამ ერთმა კონკრეტულმა შეცდომამ გუნდის ნამოლვაწარი წყალს არ უნდა გაატანოს. ყველანაირად უნდა ვეცადოთ, თითოეულ რგოლში შეცდომები მინიმუმამდე დავიყვანოთ. ყველას სურს და. განსაკუთრებით გულშემატკივრებს, რომ საქართველოს ნაკრები მხოლოდ უტევდეს და გოლები გაჰქონდეს, მაგრამ ჩვენს პირისპირ ისეთივე ფეხბურთელები დგანან, როგორიც ჩვენს ნაკრებშია და სახიფათო ეპიზოდები ჩვენს კართანაც უნდა იქმნებოდეს. შეგვიტევენ კიდეც, მაგრამ ჩვენი მოვალეობაა, ეს შეტევები მოვიგერიოთ და გამარჯვებას მივაღწიოთ.

პრესკონფერენციამ საკმაოდ ამაღლებულ ვითარებაში ჩაიარა. როგორც ჟურნალისტებში, ასევე ფეხბურთელებშიც ოპტიმისტური განწყობა სუფევდა. რაც იმის იმედს იძლევა, რომ საქართველოს ნაკრები 30 მაისს რუსებს ღირსეულად დაუხვდება.

P.S. *ბოლო წამს ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ზაზა ჯანაშია ჩამოვიდა მოსკოვიდან და შეუერთდა ჩვენს ნაკრებ გუნდს.*

თასი ბათუმში წავიდა

„დინამო“ (თბ.): ზოიძე, ლობჟანიძე, გუჩუა, დიდავა, მუჯირი, ჯელაძე, კიკნაძე, ალექსიძე, აშვეთია, ცქიტიშვილი, სახვაძე.

„დინამო“ (ბთ.): ტოგონიძე, იმახარაძე, (ლლონტი), მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი (მაქაცარია), მმახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, კანტიძე, სოლოლაშვილი.

გოლები: 0:1 კანტიძე (14), 1:1 ალექსიძე (35), 1-2 ჭიჭვეიშვილი (119) (დ.დ.).

გაფრთხილება: ჯელაძე, ი.მახარაძე, სოლოლაშვილი, ლობჟანიძე.

გაძევება: ჯელაძე.

მაყურებელი: ს.კვარაცხელია (ზუგდიდი), ი.კახიანი, ზ.დოლიძე (ორივე თბილისი).

საქართველოს თასის დაუფლების მეხუთე ცდა ბათუმელთათვის იღბლიანი გამოდგა. თასს ახალი მფლობელი ჰყავს. საქართველოს ლამაზი ვერცხლის თასი ზღვისპირეთში, ქალაქთა ბათუმში, ერთი წლით დაიდებს ბინას, მომავალ 26 მისამდე.

ამჯერადაც ერთმანეთის პირისპირ თასისთვის ბრძოლაში გამობრძმედილი მეტოქეები იდგნენ - თბილისისა და ბათუმის დინამოელები. განსხვავება ის იყო მხოლოდ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის 80 წლისთავზე თასს ახალი მფლობელი ჰყავს. მურთაზ ხურცილავამ შეგირდებს ვერ გაამეორებინა წინამორბედთა წარმატება და წელს მარტო ჩემპიონობას დასჯერდა.

მატჩის დასაწყისიდან ნათელი გახდა, რომ შეხვედრა უშელავათო ბრძოლაში ჩაივლიდა. მატჩს, რომელიც თითქმის 120 წუთი გაგრძელდა, სახიფათო და საგოლე მომენტების სიმცირის გამო, დაძაბულობა და სიმწვავე არ მოჰკლებია. ამის ნათელი მაგალითია ის შეხლა-შემოხლა ფეხბურთელებს შორის, რომელსაც ჯელაძე ემსხვერპლა და თბილისელები მეორე ტაიმში მე-60 წუთზე მინდორზე ათნი დარჩნენ.

თამაშის საწყისი ათი წუთი პოზიციურ ორთაბრძოლაში გაილია. მატჩის მე-14 წუთზე კი ბათუმელებმა პირველ წარმატებას მიაღწიეს. კანტიძემ ჩინებული დარტყმით თანაგუნდელთა შეტევას ლოგიკური წერტილი დაუსვა. თითქოს ამას ელოდნენო თბილისელები გამოფხიზლდნენ და სტუმრებს ნამდვილი შტურმი მოუწყეს. მასპინძელთა რიგებში გარკვეული გადაჯგუფება მოხდა. ცქიტიშვილმა, რომელმაც მთელი მატჩი აქტიურად ჩაატარა, მარცხენა ფრთაზე არაერთხელ შეაწუხა ბათუმელთა მცველები. სწორედ მის დიდებულ გარლვევას და პასს მოჰყვა 30-ე წუთზე ბათუმელთა კართან პირველი რეალური საგოლე მომენტი, ალექსიძე პირისპირ დარჩა ტოგონიძესთან. დაარტყა კიდეც, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა და მეკარეს ხელებში მიუვიდა. თბილისელთა შეტევას სიჭინავას სახიფათოდ დარტყმული ჯარმა მოჰყვა. 33-ე წუთზე კვლავ ცქიტიშვილმა ითამაშა კარგად, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი ისევ ძელმა მოიგერია. ორიოდე წუთში მოსახდენი მაინც მოხდა და მასპინძლებმა ანგარში გაათანაბრეს. 35-ე წუთზე აშვეთიამ ითამაშა დიდებულად, მეკარესთან პირისპირ გავიდა, დარტყმაც ზუსტი გამოუვიდა, მაგრამ ტოგონიძის სისხარტემ ისევ იხსნა ბათუმელები. მეკარისაგან უკუგდებულ ბურთს პირველი ალექსიძე დახვდა და ძლიერი და ზუსტი დარტყმით ანგარიში გააყაიმა. პირველი ტაიმის ბოლო ათი წუთი თბილისის „დინამოს“ სრული უპირატესობით წარმართა. მეორე ნახევრის მე-15 წუთზე ის ეპიზოდი მოხდა, რომელიც ზემოთ ვახსენე. შეხვედრა მსაჯების კონტროლს თითქოს აღარ ექვემდებარებოდა, მაგრამ სერგო კვარაცხელიამ მოახერხა და და მატჩი ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნა. აშვეთიას, მუჯირის, ცქიტიშვილის, კანტიძის, სოლოლაშვილის, მაჭუტაძის ცდებს - ანგარიში შეეცვალათ, შედეგი არ მოჰყოლია. მატჩი ფრედ 1-1 დასრულდა. გამმეორდა ორი წლის წინანდელი ამბავი, დაინშნა დამატებითი დრო. მაგრამ თბილისის „დინამოს“ რიგებში ინალიშვილის ყისმათის მქონე ფეხბურთელი არ აღმოჩნდა. სამაგიეროდ ბათუმელებში იყო ფეხბურთელი, რომელიც სულ რამდენიმე წუთში მატჩის გმირად იქცა. დამატებითი 30 წუთი ილეოდა, გოლი კი არ ჩანდა. მაყურებელი ჰენალტების საცქერად ემზადებოდა, მაგრამ ჭიჭვეიშვილის მოხერხებამ ბათუმი ფეხბურთის ფანთა მოზეიმე ქალაქად აქცია. 120-ე წუთზე მან ზღვისპირელთა ოცნება რეალობად აქცია, შოთა ჭეიშვილს და თანაგუნდელებს გარჯა დაუფასა. თავის სპორტულ კარიერაში და გუნდის ისტორიაში ოქროს გოლი გაიტანა. საქართველოს თასს ახალი მფლობელი ჰყავს. ბათუმელებმა თბილისელებს ტოლი არაფერში დაუდეს. ღირსეულ მეტოქეთა ჭიდილში, ღირსეულმა იმარჯვა. მოკლედ, წლევანდელი ქართული საფეხბურთო ჯილდოები. დინამოელებმა გაინაწილეს. ჩემპიონი თბილისის „დინამოა“. ბათუმის „დინამომ“ კი ჩემპიონატის ვერცხლს, პირველად მოპოვებული თასიც დაუმატა და ევროპის თასების თასის ტურნირში ეროვნული თასის მფლობელის რანგში ჩაებმება.

მატჩის შემდეგ გამარჯვებული გუნდის მთავარ მწვრთნელს **შოთა ჭეიშვილს** გავესაუბრეთ: „ჩვენ ამ გამარჯვებას დიდხანს ველოდით და შევძელით მიზნის მიღწევა. მე ძალიან ბედნიერი ვარ, მინდა მადლობა გადავუხადო ბათუმის გუნდის ყველა გულშემატკივარს, განსაკუთრებით იმ მცირერიცხოვან ჯგუფს, რომლებმაც არ დაიზარეს, ჩამოვიდნენ და მთელი თამაშის მანძილზე გვერდში გვედგნენ. წინ თასების თასია, ყველანაირად შევეცდებით ისეთივე სხარული მივანჭოთ ჩვენს გულშემატკივარს, როგორიც ამ თასის აღების დროს მიიღეს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმა ხალხიდან

„არსად, არცერთ ხელმძღვანელ „ამხანაგს“ არ უხსენებია, რომ შიდა ქართლისა და აფხაზეთის ომი საშინაო ომიაო“...

მეუფიდე გვერდიდან

ჩვენ ვერ ვზრდით მოქალაქეებს ისეთი იდეოლოგიით, როგორც ეს ებრაელებმა მოახერხეს და ყველა სხვა ერიც. უპირველეს ყოვლისა პირველ ადგილზე აყენებს საკუთარ ერს და არა სხვა ეროვნებას.

დღემდე არ გვაქვს ჩამოყალიბებული ერის გადარჩენის, გაერთიანების იდეოლოგია (რომლითაც სავსეა ქართული კლასიკური მწერლობა და არ ვიფენებთ). აფსუებმა და ოსმა სეპარატისტებმა კი შექმნეს ჩვენი დაცრობის და გაალეტის იდეოლოგია. მათ ფსევდომეცნიერთა დახმარებით შექმნეს იდეოლოგია, რომ აფხაზეთი და შიდა ქართლი მათი მიწა-წყალია, ხოლო ქართველები მერმე მოსული ხალხი. ამ იდეოლოგიით დაიწყეს ქართული ტოპონიმების ოსური და აფსუური ტოპონიმებით შეცვლა.

არც ასეთი ფსიქოლოგია არსებობს რომელიმე ერის ცხოვრებაში, ჰკლავდნენ, ხოცავდნენ და მაინც ძმებს ეძახდნენ თავის დამღუპველებს. აფხაზეთის ომის მონაწილენი აღნიშნავენ, სროლის ბრძანება არ გვჭონდაო. ასე როგორ მოვიგებდით ომს?

როგორ უნდა ვიწამო ნანა გოგიშვილის სიტყვები (გაზეთ „შანსი“ №7 1998) „როგორი მწვავეც არ უნდა იყოს ქართველ ლტოლვილთა და დანარჩენი ქართველების გულისწყრომა უმადურ აფხაზთა მიმართ, დღესაც ცხადზე უცხადესია რომ ეს ხალხი ჩვენი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია.“ დროა გავიცნობიეროთ, რომ მათი ეთნოგენეზი სულ სხვაა და ქართველების სულ სხვა. როგორი იდეოლოგიით და თეორიით უნდა აიხსნას, რომ აფსუა და ოსი სეპარატისტი, რომელმაც მოსპო და განადგურა 30 ათასზე მეტი ქართველი, თავის სამშობლოში ლტოლვილად აქცია ათასები — ჩემი სისხლი და ხორცია? მაშ ვინღა არიან, მათგან ცოცხლად დამარხული, ცოცხლად დამწვარი და მოხარშული ქართველები? ისინი არ არიან ჩვენი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი? ცალკე თემაა რეკლამები, ისე, როგორც ინტერნაციონალიზმის დროშით, საკუთარი მეობის უარყოფით დაქუცმაცდა საქართველო; ამ საკითხშიც პროვინციალიზმია გამეფებული: ტრანსპორტის გაჩერებაზე უაზრო, უშინაარსო რეკლამებს არ აჯობებდა ზნეობრივი რეკლამების პროპაგანდა?

არსად, არცერთ ქვეყანაში არ არსებობს სამ და ოთხენოვანი სარეკლამო წარწერები. ინგლისურენოვანმა წარწერებმა წალეკა დედაქალაქი. ხშირად უარყოფილია მშობლიური ენა, ის ჩიხშია მომწყვდეული. ხუთუ არ უნდა დადგეს მშობლიური ენის გბატონების დრო? დაეთმოს მას თავის კუთვნილი და ადგილი.

„ჩვენ ქართველები, პრაქტიკულად ნაკლებად ვუკლით საშობლოს, ვიდრე ამას უელიან სხვა ერები. მინდა გავიხსენო იაპონია, ჩინეთი, ინდოეთი, გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, ასეთი დიდი ერები საუკეთესოდ უელიან თავის რაობას... პარიზში ფრანგები ფრანგულის გარდა სხვა წარწერებს არ აჭაჭანებენ. ჩვენ ვერ ვუკლით ჩვენს რაობას, ვერ ვუკლით ისე, როგორც ამას უელიან სხვა ერები“ (ჯ. ღვინჯილია).

პრესით მიმდინარეობს სექსის თავისუფლების პროპაგანდაც. წერენ მარქსის, ტოლსტოის, ჰემინგუეის, ბრეჟნევის სექსოლოგიურ მიდრეკილებებზე, ვის რაში ჭირდება ეს? ან რა უნდა ისწავლოს ამით ახალგაზრდობამ? ეკონომიკურმა სიდუხჭირემ ისე არ უნდა გახრწნას ადამიანის სული, რომ სექსის პროპაგანდა გაიხადოს შემოსავლის წყაროდ.

კინოფილმ „დინასტიაში“ სექსის თავისუფლების პროპაგანდა უფრო მეტია, ვიდრე წმინდა, აძალეებული, შეურყნელი გრძობები. ქართულ სინამდვილეში მაზლის სიყვარულისათვის მამამ მოკლა საკუთარი შვილი, მერე თავს იმით იმართლებდნენ, ხვეისბერმაც ხომ მოკლა საკუთარი შვილიო.

ტელევიზიით დიდი დრო მიაქვს კბილების საღეჭი რეზინის პროპაგანდას, შოკოლადი „ნათსის“ პროპაგანდას: „გამდნარი კარამელის აბობოქრებული ნაკადი, სტიქიური ძალა, რომელსაც ვერაფერი დაკავებს, ტყის თხილის ენერგია, იგრძენით დღეს“ — ამგვარი პროპაგანდა რომ ეთმობოდეს ერის ერთიანობის საკითხებს, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, აფხაზეთისა და შიდა ქართლის საკითხი დღეს მოგვარებული იქნებოდა. არსად, არცერთ ხელმძღვანელ ამხანაგს (სხვა სახელითი ვერ მოიხსენებ, დღევანდელი ნაკომუნისტარი ჩინოვნიკები) არ უსხენებია, რომ შიდა ქართლისა და აფხაზეთის ომი სამშობლო ომია.

დამაფიქრებელია, რომ არაქართველ მოსახლეობას რუსულ სკოლაში შეყავს ბავშვები და ამულობით გახსნილია აზერბაიჯანულ-სომხური სკოლები, საქართველო თავის მიწაზე ზრდის და ინახავს უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. კარგად ვიცი არაქართველთა ფსიქოლოგია. ჩემმა მეზობელმა, რუსულ სკოლადამთავრებულმა, 9 აპრილს ფილით, როცა მთელი დედაქალაქი გლოვობდა დაჭრილ-დახოცილ გოგობიჭებს, მუსიკა ჩართო, როცა შენიშნა მივეცი, მიპასუხა: „გავიდე და იქ დავდგეო?!“ რუსულ სკოლადამთავრებულმა არ იცის თვედორე მღვდელი, ქეთევან წამებული და საერთოდ, საქართველოს ისტორია.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ისევე სჭირდება პროპაგანდა, როგორც დედაენის შესწავლას. აუცილებელია კულტურის, ზნეობის პროპაგანდა, კულტურა აწესრიგებს მატერიალურ-ეკონომიკურ ელემენტებს, კულტურა ცხოვრების წესია, სახელმწიფო წესრიგს განსაზღვრავს. „არამარტო პურითია ერითითაო“ — ამის მთქმელმა იცოდა, რომ პურთან ერთად აუცილებელია სულიერი საზრდო.

ციალა ბრეგვაძე
რესპუბლიკის სასტო ბიბლიოთეკარი
ეთერ ჭანაშია
დამსახურებული ჟურნალისტი

«პოეტების ბუდე»

რა დაანათლა ნათლიამ ნათლულს?



„პირიმზე“... ირგვლივ უამრავი ხალხი ტრიალებს, რომელიც დილიდან საშოვარზე გამოსულან და მანქანების ხმაურში იკარგება გარეთ მდგარ მოვაჭრეთა ხმები...

„მარიონი“... აბა, პარკები იაფად... პური არ გინდა, ლამაზო?!

როგორ წვალობს ხალხი, ვფიქრობ და თვალს განგებ ვარიდებ ჩემს ყოფილ ბაღის მასწავლებელს, რომელიც „ვაჭრად გადაქცეულა“ და პრეტენზიული „კლიენტის“ იაფფასიანი სუნამოების ჩვენებითაა გართული — თან მისი შენუხებული ხმა მესმის: „ბავშვებს გეფიცები, მე თვითონ სამ ლარად მაქვს ნაყიდი“.

ჩემდაუნებურად „პირიმზეში“ შევდივარ. მივყვები კიბეებს და მეორე სართულზე „ფეხსაცმელების მოდურ ატელიეში“ შევდივარ; რატომღაც ფეხსაცმელების ნაცვლად, კედლებს ვათვალიერებ, სადაც არც სტალინის სურათია და არც თანამედროვე ლამაზმანთა... საოცარია, აქაურობა არაფერით არ ჰგავს „საპოეტოს“ ბუტიკას“...

კედელზე ერთადერთი, მედიდური ქალის სურათია. ეს ხომ მერია შერვაშიძე! — გალაკტიონის მუზა!

ინტერესით ვაკვირდები, თან მახსენდება ამ სურათის ისტორია:

დიდმა ქართველმა მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა სიკვდილზე ცოტა ხნით ადრე, თავის წერილში — „შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი! (ჟურნალი „ჭოროხი“ №2, 1980წ), — მოასწრო გაეცნო მკითხველებისათვის გ. ტაბიძის უილბლო სიყვარულის ამბავი. ლადო გუდიაშვილის წერილს გამოქვეყნების შემდეგ საზოგადოებამ გაიგო მერი შერვაშიძის ვინაობა. იგი გადამდგარი გენერალმაიორის, რუსეთის მესამე სათათბიროს საბჭოს წევრის, პროკოფი ლევანის ძე შერვაშიძე-ჩაჩბას ქალიშვილი იყო, დედით დადიანი.

გალაკტიონ ტაბიძემ თავის ყმაწვილობისას, ეს ულამაზესი ასული ქუთაისში — გრაფინია ზარნიკაუს სასახლესთან ნახა. საქართველოს პოეტების მეფეს მერი მთელი გატაცებით შეუყვარდა:

„მარად ისმის: მარადისი
სიყვარული ძნელია
ვის ისარი მოხვდა მისი,
მუდამ ცრემლის მღვრელია“.

გალაკტიონ ტაბიძის ეს ცნობილი ლექსი პოეტმა წიგნ „მანონ ლესკოზე“ წაანერა თავისი მწარე სიყვარულის მოსაგონარად. ამის თქმისათვის, მას საამისო საბაბი ნამდვილად ჰქონდა.

თვალს სიამოვნებას ანიჭებს ამ ქალბატონის სინატ ფე და განუმეორებელი სილამაზე. ამ მშვენებამ შთააგონა გალაკტიონს ქართული ლირიკის ბრწყინვალე ნიმუში: „მერი“. აღსანიშნავია, რომ ამ სურათს მგოსანი თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე ინახავდა მანამ, სანამ დასახატავად არ გადასცა ლადო გუდიაშვილს. მხატვარმა ეს დავალება მხოლოდ 1973 წელს შეასრულა, როცა გალაკტიონი უკვე ცოცხალი აღარ იყო.

მერი შერვაშიძის პორტრეტი, გარდა გუდიაშვილისა, დახატეს ცნობილმა რუსმა მხატვარმა სორინმა და პირველმა პროფესიონალმა აფხაზმა მხატვარმა ალექსანდრე შერვაშიძე-ჩაჩბამ.

მერი შერვაშიძე ცხოვრობდა პარიზში და ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა. ამგვარად, მომხიბლავმა მერიმ სიცოცხლის ბოლო ხანს დიდ გალაკტიონს თავის სევდიანი რომანის აღსარება ათქმევინა დიდ მხატვართან.

ამ ფიქრებში გართულს, როგორც შემდეგ შევიტყვე, მასპინძელი მეკითხება: „მოგწონთ?“

— „ნამდვილად ოცნების ქალია“, — ვპასუხობ მე და ვყვები, მერი შერვაშიძის შესახებ რაც გამიგია...

„მამაჩემი გიორგი ობოლაშვილი, გალაკტიონ ტაბიძის მეგობარი იყო. მამაჩემმაც იცოდა ამ სიყვარულის ამბავი. მე შოთა მქვია, გალაკტიონის ნათლული ვარ... ეს კი, ჩემი სახელოსნოა“...

ამას კი, ნამდვილად ვერც ვიფიქრებდი და ვერც წარმოვიდგენდი... თავიდან ხუმრობაც კი მეგონა, მაგრამ შოთა ობოლაშვილის ნათქვამი გამართლდა.

— მამაჩემი გიორგი ობოლაშვილი დაიბადა საუკუნის დასაწყისში 1900 წელს კახეთში, სოფელ კარდენახში. პაპაჩემმა, რევოლუციონერმა, ზედმეტსახელად „პატარა ნიკამ“ (რომლის ძეგლი დიდხანს იდგა კახეთში), 7 წლის მამა თბილისში ჩამოიყვანა და მოაწყო სახელოსნოში შეგირდად. 17 წლის მამა ქალაქში უკვე ცნობილი „საპოეტოკი“ გახდა და მთაწმინდაზე საკუთარი სახელოსნოც გახსნა. ეს სახელოსნო მდებარეობდა ყოფილ „პეტრე დიდის“ ქუჩაზე, შემდეგ ამ ქუჩას დაერქვა ძერჟინსკის სახელი — თვით სახელოსნოს კი უწოდეს „პოეტების ბუდე“, რადგან აქ მოდიოდნენ პაოლო იაშვილი, გალაკტიონი, გრიგოლ აბაშიძე,

პაოლო იაშვილი და გიორგი ობოლაშვილი

იოსებ ნონეშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, შალვა დადიანი, მხატვარი დონი... ტიციან ტაბიძე — რომელმაც ერთხელ, სერგეი ესენინი სახელოსნოში მოიყვანა, იოსებ გრიშაშვილმა კი ვლადიმერ მაიაკოვსკი „მუშთაიდის ბაღში“ გააცნო მამაჩემს და მანაც „პოეტთა ბუდეში“ მიიპატიჟა.

ხელობა ხელობად, მაგრამ გიორგი ობოლაშვილს უყვარდა ხელოვნება და შემოქმედი ხალხი. თვითონაც წერდა ლექსებს, აგროვებდა წიგნებს, ჰქონდა პირადი არქივი — რომელიც ხანძარმა გაანადგურა.

1927 წელს გამოვიდა მისი ლექსების წიგნი, რომელშიც შესული იყო გალაკტიონისადმი მიძღვნილი რამდენიმე ლექსიც.

გიორგი ობოლაშვილს პირველი მეუღლისგან ოთხი შვილი შეეძინა: შოთა, სესილია, ნათელა, დავითი. მოხდა ისე, რომ ყველა გარდაეცვალა. მამაჩემმა ძალიან განიცადა ოჯახური ტრაგედია. მას ყველაზე მეტად გალაკტიონის გვერდით ყოფნა, მისი ლექსები ამშვიდებდა.

მერე მოიყვანა დედაჩემი მარია და ზუსტად იგივე თანამიმდევრობით გავჩნდით, იგივე სახელებით დანათლული შვილები: მე — შოთა, სესილია, ნათელა, დავითი.

მამამ გალაკტიონს სთხოვა, ჩემი ნათლია გამხდარიყო, რამეთუ სწამდა — რომ მისი ხელდადებული ვიცოცხლებდი კიდეც. ასეც მოხდა, ჩვენ გავიზარდეთ.

ვცხოვრობდით სასტუმრო „აჭარის“ ახლოს, „აკადემიის სახლის“ უკან ძველ ბარაკებში.

დღემდე მომყვება მაშინდელი მეგობრობა „აკადემიის სახლში“ მცხოვრებ ჩემი თაობის ადამიანებთან. მამუკა ჩარკვიანთან, ივიკო მახარაძესთან, გია ნილოსანთან. სხვათა შორის, მამუკას მამას ჯანსულ ჩარკვიანს ძალიან მოსწონს გიორგი ობოლაშვილის ლექსები.

მამა 1978 წელს გარდაიცვალა, მე ნათლიაზე ბევრი არაფერი მახსოვს, მაგრამ ის კი ზუსტად ვიცი, ლამაზი ქალების, ღვინისა და ხელოვნების სიყვარული რომ დამანათლა.

მამა მთელი ცხოვრება ყველაზე მეტად განიცდიდა პაოლო იაშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის სიკვდილს. სიტყვაძვირობდა, მაგრამ მაინც წამოსცდა ერთხელ, რომ პაოლო იაშვილთან ერთად საზღვარგარეთ გაპარვა გადაწყვიტა. ეს მათ გაუგეს და „პოლიტიკური სტატუსით“ დაიჭირეს კიდეც. ციხიდან მამამ წერილი მისწერა სტალინს. არ ვიცი, რა მისწერა ისეთი, გიორგი ობოლაშვილი გამოუშვეს, მაგრამ პაოლო იაშვილს შემდგომში რა ბედიც ეწია, ყველამ იცის.

ლენინის გარდაცვალების დღეს, რესტორან „თბილისში“ ქეიფობდნენ მამა, გალაკტიონი და სხვებიც... როცა ეს „სამგლოვიარო ამბავი“ გაუგიათ, ძალიან შეწუხდა თურმე ტაბიძე და მაგიდა სხვებთან ერთად დატოვა. ისინი გარეთ გავიდნენ ხალხთან მთელი საზოგადოება გარეთ იყო გამოსული. ამ ამბის გაგება თურმე, ყველას ძალიან ეწყინა.

განსაკუთრებით, ძნელაძეზე „საზაფხულო რესტორანში“ უყვარდათ ქეიფი „ძმებს“ — იქ მათ ხმამაღლა სიმღერას არ უშლიდნენ... სხვათა შორის, მამა ქუთაისის კაპელაშიც მღეროდა ადრე და ძალიან კარგი ხმა ჰქონდა.

სოფელ დიღომში საქეიფოდ ფაეტონით ხშირად ადიოდნენ მამა და გალაკტიონი. მთელი სოფელი გარეთ გამოდიოდა, „აბა, ჩქარა, გიორგის გალაკტიონი მოჰყავს, ბატკნის მწვადები კი, ორივეს უყვარსო“

ბავშვობაში, ბუნდოვნად მახსოვს, დაახლოებით ასეთი „კალამბულა“ უთხრა ღვინის ჭიქით ხელში, გალაკტიონმა მამას: „მე და გიორგი კაკაოს ვსვავდით, მე და გიორგი რამ დაგვაყვაოსო“. მამამ უპასუხა: „რას შეგადარო — ჩემო გალაკტიონ, პოეტი ხარ, თუ იულიუს — გალაკტიონ!

ერთხელ ნასვამი გალაკტიონი ტროლეიბუსში ავიდა და იქაურობა მოათვალიერა, ყველაზე ლამაზ ქალბატონს გვერდით მიუჯდა და ლაპარაკი დაუწყო.

მას უნდოდა როგორმე მოეხიბლა „მშვენიერი არსება“ და მთელი ემოციით, ხელებით დაუწყო ახსნა, როგორი დიდი კომპოზიტორი იყო ის ბახი.

ქალბატონი „ღირსეული სიჩუმით“ პასუხობდა — ამაყად იჯდა, ბოლოს წამოდგა და განაწყენებული ჩასასვლელისაკენ გაემართა...

გალაკტიონმა თითი ასწია, მთელ ტროლეიბუსში მსხდომთა გასაგონად გააგრძელა ახსნა: „ქალბატონო, ბახ! ბახ! ბახ! იცით რა დიდი ადამიანია ბახი, ბუხ, ბუხ, ბუხ! — „დაჭრილი“ ქალბატონი პირველსავე გაჩერებაზე ჩავიდა.

ასეთი ამბები ბევრი მახსოვს, ბევრიც

შოთა ობოლაშვილი და ნანა კოუენ ლუ

გაგრძელება მე-12 გვერდზე

«პოეტების ბუდე»

რა დაანათლა ნათლიამ ნათლულს?

მეთერთმეტე გვერდიდან

მერი შერვაშიძე

შეიძლება გადამავიწყდა, მაგრამ... კარგი რამე მაქვს ჩაფიქრებული.

ძველი — წარსული მინდა „დავაბრუნო“, იქნება ეს მისია დამაკისრა ღმერთმა, დღე-და ღამ ამაზე ვფიქრობ, რადაც არ უნდა დამიჯდეს, „პოეტების ბუდე“ იგივე ადგილზე მინდა გავაცოცხლო. ამისთვის ვცხოვრობ, რომ ეს ადგილი როგორმე „დავიხსნა“ — აღვადგინო. კვლავ შემოვიკრიბო ისეთი ხალხი, ვისაც გულით გაუხარდება შეხვედრა პოეზიასთან, ხელოვნებასთან. ამას ყველაფერს კი ფული სჭირდება. ამიტომ ვარ დღესდღეისობით აქ. ვმუშაობ და თან ხალხს ვეცნობი, იქნებ ვინმე დაინტერესდეს კიდეც — გვერდში დამიდგეს.

ბალტიისპირეთში, რიგაში ვსწავლობდი, უმაღლესი დავამთავრე მოდელირების სპეციალობით. თბილისში ჩამოვედი, გრიბოედოვის სახელობის თეატრში დავიწყე მუშაობა კოსტიუმების მხატვარ-მოდელიორად. ხშირად ვსავდი, ამ ცხოვრებას, აბა არ გინდა უყურო ფხიზელი თვალით?! ლექსი თუ გახსოვთ: „მე ახლა ვიცი, რატომ სვამენ კაცები ღვინოს?!“ — ასეა ჩემი ცხოვრება...

თეატრის რეჟისორი გოგი ქავთარაძე, ხშირად მაძლევდა ამის გამო შენიშვნებს, თუმცა, როგორც სპეციალისტს, ძალიან მაფასებდა ყოველთვის.

თეატრი ჩემი სუსტი წერტილია. იქ ფული არ არის, მაგრამ... სცენის მტვერმაც კი შეყვარება იცის. ძალიან მენატრება თეატრი, მაგრამ... ოჯახს რჩენა უნდა... ენთუზიაზმით ცხოვრება კი, ჩემს მიზანს ხელს შეუშლის. ცხოვრებამ ყველაზე დიდი სპექტაკლი გამიმართა. აქ„ პირიმზეში“ მოდური ფეხსაცმელების სახელოსნო გავხსენით და მამაჩემის დაწყებულ საქმესაც ვაგრძელებ.

ჩემი მეუღლე ნახევრად ჩინელია — ნანა კოფენ ლუ, მუსიკოსი. მყავს ვაჟები. ერთი 18 წლისაა, მეორე 9 წლის, სულ პატარა 5-ის გახდა.

თეატრმა სხვანაირი მიჩვევა იცის, აქ მუშაობა ერთ რამეში „ნამეტნავად“ გამომადგა. ადამიანს რომ შევხედავ, მისი ქცევებით, საუბრით, მაშინვე ვიცი, რა პროფესიის კაცია, მუსიკოსი, ექიმი თუ მასწავლებელი... მათ თვალში მე კი, მხოლოდ კარგი „მასტერი“ ვარ და რა იციან, გალაკტიონმა რომ მომნათლა?!..

გიორგი ობოლაშვილმა ხელში ლამაზი ქოში შეათამაშა და მერე ისევ დადო...

მე კი, ჩემდა უნებურად, გამახსენდა გალაკტიონის ლექსიდან, რომლის სათაურია „პირიმზე“, ერთი ნაწყვეტი:

„ცეკვავს სამეფოდ ნაქარგი ქოში,
და ხელსახოცთა ქრიან ზღაპრები
და მეძახიან მშვიდ სამეფოში
მთები, სიზმრები და წინაპრები“.

ქეთი ჩადუნელი

ჩაინვორდი



შეურჩიეთ ჩაინვორდის კითხვებს ინფორმაციები, რომ წრეებში მიღებული ასოების სათანადო განლაგებით იკითხებოდეს სოსელოს პოპულარული ლექსის სათაური

1-2. გარკვეული ზომის საწერი ქაღალდის ფურცელი; 2-3. ფარული დაცინვა; 3-5. არსება-ცრუმორწმუნეთა „საფრთხობელა“; 4-6. მთავარი ქრისტიანული მღვდელმსახურება; 6-8. ცხვრის ან თხის ფარის ადრინდელი ქართული სახელწოდება; 7-9. უარყოფითი ნაწილაკი; 9-10. კავშირი ქართულ ენაში; 10-12. ზოდიაქოს თანავარსკვლავედი; 11-13. ქართველი ისტორიკოსი, ავტორი წიგნისა „უქარქაშო ხმლები“; 13-14. ამაღლებული ფიცარნაგი, რომელზეც აღასრულებდნენ სიკვდილით დასჯას; 14-16. XI საუკ. ხუროთმოძღვრული ძეგლი კასპის რაიონში; 15-17. ქართველ კალათბურთელთა გუნდი; 18-20. ქლიავის ჯიში (აქვს პატარა მუქი ლურჯი ნაყოფი); 19-22. განსაცდელი, საფრთხე; 21-24. ჭუჭრუტანიდან ბნელში შემოსული სინათლის სხივი; 23-26. ცელით შესრულებული სამუშაო; 25-28. ღრუები მცენარეთა და ცხოველთა უჯრედებში; 27-30. ნ. დუმბაძის „მუავე“ პერსონაჟი; 29-31. ძაღლის შედგომა და დაძაბულად განაბვა მსხვერპლზე თავდასასხმელად; 31-33. გამოშვებული საქონლის ერთეულზე მიკრული ნიშანი; 32-34. მამლის მიერ შესრულებული „არია“; 34-35. ბოძებზე დადგმული ფიცრული სახლი.

ღირსეულ მამულიშვილს, ქვეყნის თავისუფლებისათვის თავდადებულ მებრძოლს, ერის მოჭირნახულეს და სასიქადულო მეცნიერს, ბატონ ნოდარ ნათაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, დღეგრძელობას და კვლავაც მამულის სამსახურში მუხლჩაუხრელ შრომას.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია
გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

გამოიწერეთ გაზეთი

„საქართველო“

ხელმოწერა შეიძლება ქთბილისის პრესის გავრცელების საქციო საზოგადოება „მაცნეს“ ხელმოწერის რაიონულ უბნებში შემდეგ მისამართებზე:

- მოსკოვის გამზირი 18, ტელ. 71-32-87
- გლდანის რაიონი, დუმბაძის 4 (ა) კორპუსი, ტელ. 62-75-32
- დ.გურამიშვილის გამზირი 30, ტელ. 60-80-22
- ივ.ჯავახიშვილის (კალინინის) ქ.№14 ტელ. 95-87-36
- ქეთევან წამებულის გამზ. 61, ტელ. 74-14-47
- აკ.წერეთლის გამზ. 73, ტელ. 34-75-51
- რ.თაბუკაშვილის ქ. №12
- ჭავჭავაძის გამზ. 46, ტელ. 22-64-58
- ცენტრალური ოფისი, კ.გამსახურდიას გამზ. 42, ტელ. 37-47-49, 93-43-97.

ორგანიზაციებს შეუძლიათ, მიიწვიონ „მაცნე“-ს წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად. ხელმოწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა.

რეკლამის განთავსების მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „საქართველო“ თავისი ნომრის ერთ გვერდს უთმობს სარეკლამო განცხადებებს.
რეკლამა კეთდება შეღავათიან ფასებში.
ყოველი მესამე გამოშვება თქვენთვის
უფასოა
დაგვიკავშირდით ტელ.: 93-18-41, 93-20-36 ან მობრძანდით
მისამართზე: თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული,
გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

1-3. ჯავშანი; 2-5. ნიახური; 4-7. რისორჯიმენტო; 6-9. ტოლიატი; 8-11. „ტბაანი“; 10-13. ნიკოლოზი; 12-15. ზიზილ-პიპილა; 14-17. ლაციცი; 16-19. „ციცინათელა“; 18-20. თელ-ავივი; 20-21. იონჯა; 22-23. ხბო; 23-25. ორფა; 24-27. ფასი; 26-29. სირმა; 28-30. მან; 31-33. სოლფეჯო; 32-34. ჯოტო; 34-35. ოთახი; 36-37. ჯირითი; 37-39. იორამი; 38-40. მილი.

იყიდება საკუთარი ორსართულიანი სახლი ნაძალადევის რაიონის კომისარიატის უკან. მაღაროს ქუჩა №26. ტელ.: 66-35-45, 66-23-68. მამუკა ან ქეთინო.

გთავაზობთ ნებისმიერი ობიექტების არქიტექტურას, მოპრკეთებას, ბაზალტის, გრანიტისა და მარმარილოს საშუალებით შელავთიან ფასად. ტელ: 36-49-46, 95-82-93

იყიდება ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) №10 5-ოთახიანი სარემონტო იზოლირებული ბინა. საერთო ფართი 200 კვმ, მე-4 სართულზე, დაშენების პერსპექტივით, დიდი ლოჯით და სამზარეულოთი, ცალ-ცალკე აბაზანა და ტუალეტი, სარდაფი, ეზოში მანქანის დასაყენებელი ადგილით. საწყისი ფასი: 110000 დოლარი. ტელ: 99-00-54, 66-44-84

იყიდება გამრეკელის №35 კერძო, 2-სართულიანი სახლიფართი 700 კვმ. ფასი შეთანხმებით. ტელ: 32-99-61

იყიდება ნაავარიევი „ბმვ“-ეს ნაწილები. ტელ: 29-12-09 ან 877-40-23-26. 877-41-87-67 რეზო გელაშვილი

იყიდება 3-ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა დიდ დიღომში მე-4 მკრ. ფასი შეთანხმებით. ტელ: 32-65-27

იყიდება 5-ოთახიანი ბინა მეტრო „300 არაგველთან“, ჭერის სიმაღლე 3მ 30სმ, საერთო ფართი 100 კვმ, მიშენებულია ლოჯი, ლოჯის ქვეშ 2 ავტოფარეხის ადგილი. წყალი და სინათლე მუდმივად არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 74-52-12 ანა

ვყიდი გერმანული კომპაქტდისკების ნაკრებს (50 ცალი) არის კლასიკის, ბაროკოს, რომანტიზმის პერიოდის კომპოზიტორთა და ქანთრის ნაწარმოებები ბერლინის ფილარმონიის ორკესტრის შესრულებით. ფასი 1200 დოლარი. ტელ: 61-71-43 ნათია

იყიდება სასწრაფოდ, იაფად, საბურთალოს ქუჩაზე იპოდრომთან მე-4 სართულზე არასტანდარტული 3-ოთახიანი ბინა ლოჯით. მიშენებული 40 კვმ, ბინა ახალი პროექტით 5-ოთახნახევრიანია. ოთახები იზოლირებულია. კედლები სათავსოებით, აქვს სარდაფი, მანქანის სადგომი, ნაწილობრივ სარემონტოა. საწ. ფასი 32000 დოლარი. ტელ: 7 35-66 დოდო ან ნათია

იყიდება 2-ოთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველაზე („საბედნიეროსთან“), 5სართულიანის მე-5 სართულზე, მანქანის გასაჩერებელი ადგილით, რკინის კარებით, ტელეფონით, სანტექნიკა გამოცვლილია. ფასი შეთანხმებით. ტელ: 32-20-41

ვყიდი 4-ოთახიან ბინას ნუცუბიძის ქ №217 მე-3 სადარბაზო, მე-9 სართული, ბინა 45, გარემონტებულია. საწყისი ფასი 20000. ტელ: 32-91-71 ალადაშვილი

სატირული იუმორი

ბასკა — კაკო, ერთი ეს მითხარი, რით განსხვავდება პირველი მაისის დღესასწაული 26 მაისის დღესასწაულისაგან?

კაკო — 1 მაისს ხელისუფლება სახლებიდან. ქუჩაში გვერეკებოდა საზეიმოდ და სადღესასწაულოდ. 26 მაისს კი ხელისუფლება ქუჩებიდან და მოედნებიდან, დემონსტრაციებიდან სახლებში გვერეკება, სახლებში იზეიმეთ და იდღესასწაულეთო.

იგორ პატარიძე

სუნამოს დეზოდორანტი სპირტის ტანმელი

თქვენი საუკეთესო არჩევანი

TURQUOISE EAU DE PARFÜM

შვილი გია, შვილიშვილები სოფიკო, დათა, მარიკა, რძალი ლანდა მასხულია და ვერა, დისშვილები ჯემალ და ლეილა ალანიები ოჯახით და ახლო ნათესავები იუწყებიან

ბონდო ელიზბარის ძე ტერტახიას

გარდაცვალებას.

დაკრძალვა შაბათს 6 ივნისს ხობის რაიონის სოფელ ქვემო ქვალონში.

მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444